ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

19 ნოემბრიდან!
ვფ[ფკბ სფჟ,ფ4+
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია
* კფჳბ
ნჯვბ№



cfvif,fsb7 @) yjtv,thb7 @)!@ 1276 (5966) afcb5 #) stshb

# თეა წულუკიანი გიგი უგულავას წინააღმდეგ



გვ. 2

„დათა ახალაიას ბრალს სანდრო გირგვლიანის საქმეზე წაუყენებენ“

## შალვა ხაჭაპურიძე: სირცხვილია, გიგი უგულავა რომ თბილისის მერია!“

გვ. 3



ბაჩო ახალაია თავისივე გუნდთან ვაჭრობს



## გოჩა ქასოშვილი: მე მქონდა არჩევანი, შემენარჩუნებინა ბიზნესი, მაგრამ დამეკარგა ღირსება“

გვ. 5

საკაშვილის მიერ დევნილი ბიზნესმენი საქართველოში ბრუნდება



## თავისუფალი საქართველო“ განათლების მინისტრს უპირისპირდება

გვ. 5

## გიორგი კალანდაძეს კიდევ ერთი ბრალდება წარედგინა

გვ. 6

## გიგი უგულავა ლას ვეგასში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა?

გვ. 3



## ნოდარ ხადური: ყველაფერს გავაკეთებთ, უბრალო ადამიანები რომ არ დაიჩაგრონ“

გვ. 4



16 ნოემბრიდან!
ვფ[ფკბ სფჟ,ფ4
+
ბცნჯჰბბჩელბლტცბ
,ჰ'ჯკტ,ბ
!) კფჰბ



2 ზვიად ძიძიგური: „უგულავა, მერაბიშვილი, ბარამიძე დასაპატიმრებლები არიან!“

3 ბიზნესმენმა სერგო ბერიძემ ვანო მერაბიშვილს პროკურატურაში უჩივლა

4 ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა პოლიტპატიმრად 180 ადამიანი გამოაცხადა

7 ვინ ახდენს გენო ადამიას და თამაზ ნადარეიშვილის სახელის დისკრედიტაციას

9 771987 933006

# ზვიად ძიძიგური: უგულავა, მერაბიშვილი, ბარამიძე დასაპატიმრებლები არიან!“

თამარ ნინიძე

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ რედაქციაში პრესკონფერენციაზე იყო მიწვეული. როგორც მოსალოდნელი იყო, პრესა დაინტერესდა გახმაურებული დაკავებების საქმით, გამოითქვა ვარაუდი, რომ შეიძლება ამ დაკავებებს პოლიტიკური დევნის საფუძველი ჰქონდეს და არის თუ არა მომავალში დაგეგმილი უფრო მაღალი თანამდებობის პირების დაკავების სპეცოპერაციები.**

ზვიად ძიძიგურის განმარტებით, ყველაზე მეტად ქვეყანაში პროცესების სამართლებრივი მიმდინარეობა სწორედ ახალ ხელისუფლებას აინტერესებს, დასავლეთი დაინტერესებულია, ქვეყანაში რევანშიზმი და პოლიტიკური დევნა კი არა, არამედ სამართლებრივი და დემოკრატიული პროცესები წარიმართოს. გამადიდებელი შუშით აკვირდებიან ამ ხელისუფლების საქმიანობას, ამიტომ ძიძიგური არ ეთანხმება ვარაუდს პოლიტიკური დევნის თაობაზე, პროცესები გამჭვირვალედ მიდის, მედიაგაშუქებაც შესაბამისად ინტენსიურად მიმდინარეობს, ამასთანავე, საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფებიც აქტიურად არიან ამ პროცესებში ჩართული, რამდენად მიიღებს ეს დაკავებები მასობრივ ხასიათს, რაკი საქმე ეხება წინა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს, ამიტომ უარი უნდა ეთქვას ამ საქმების შესწავლას? არ უნდა ეთქვას უარი. ძიძიგურმა 2003 წლის რევოლუციის შემდგომი პროცესები გაიხსენა, როცა ნამდვილად რევანშისა და პოლიტიკური დევნის ფორმა ჰქონდა მასობრივ დაპატიმრებებს. ვიცე-სპიკერის თქმით, პროკურატურის მიერ ბრალის წაყენების შემდეგ სასამართლომ რამდენიმე ადამიანი გირაოთი გაათავისუფლა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დღეს სასამართლო ზეწოლის ქვეშ არ არის. პოლიტიკური დევნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო ჯიბის სასამართლო, რომელიც ნაცმოძრაობას ჰყავდა. დღეს კი განსხვავებული ვითარებაა. მართალია ეს სასამართლო წინა ხელისუფლების მიერ იყო დაკომპლექტებული, მაგრამ დღეს ის აღარ არის პოლიტიკური წნეხის ქვეშ და თავისუფალ გადაწყვეტილებებს იღებს. სატელეფონო სამართალი ქვეყანაში აღარ არის.

შსს-ს გენინსპექციის უფროსი თენგიზ გუნავა აცხადებს, რომ მისი დაპატიმრება მოხდა უკანონოდ და მას იარაღი და ნარკოტიკები ჩაუდეს, ძველ ხელისუფლებას ოპოზიცია ხშირად აკრიტიკებდა იმის გამო, რომ ადამიანებს აკავებდნენ და მათ სწორედ ამ ბრალს უყენებდნენ, ხშირი იყო ნარკოტიკების ჩადება არასასურველი ადამიანების მიმართ, ამ შემთხვევაში როგორ აფასებს გუნავას დაპატიმრებას ძიძიგური, ამ კითხვაზე ძიძიგურის პასუხი ასეთი იყო:

– როგორც უკვე გითხარით, სასამართლო არ არის ზეწოლის ქვეშ, გუნავას საკითხი ერთ-ერთი დადასტურებაა ამისა, მას თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად შეუფარდა სასამართლომ გირაო, რაც შეეხება ბრალდებას, ეს მისი დასამტკიცებელია, სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის დიდი სტაჟი აქვს და მან იცის, როგორ დაიცვას თავისი ინტერესები. ეს არის პროცესი, რომელსაც ზომაზე მეტი ყურადღების მიქცევაც კი არ სჭირდება, არსებობს კანონი, ქვეყანა არ შედგება, თუკი მაღალჩინოსნები პასუხისმგებლობას არ მიეჩვევიან, ახალი ხელისუფლებაცმ თუკი დაარღვევს კანონს, მანაც უნდა აგოს პასუხი და როცა ჩვენი ხელისუფლებაც შეიცვლება, სხვა ხელისუფლების პირობებშიც მოგვიწევს პასუხის გება თუ რაიმეს დავაშავებთ.



უგულავა, მერაბიშვილი და მისი ცოლი, ბარამიძე, ეს არასრული სიაა იმ ყოფილი თანამდებობის პირებისა, რომლებსაც განიხილავენ დასაპატიმრებელთა შორის, სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაც თუ იქნება მოსალოდნელი, ამაზე ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ დანაშაულის შემთხვევაში არავინ არის იუპიტერი, რომელსაც არაფერი მოეთხოვება, არ შეიძლება კანონი შემწყნარებლური იყოს თანამდებობის პირის მიმართ და რიგითი ადამიანის მიმართ კი იყოს პრინციპული. გირგვლიანის, ჟვანიას გარდაცვალების დეტალები, ფოტოგრაფების საქმე, ეს და კიდევ მრავალი სხვა საქმე საზოგადოებისთვის უნდა გახდეს ცნობილი. სერიოზული საბიუჯეტო დარღვევებით აშენდა პარლამენტის შენობა ქუთაისში, ამასაც დასჭირდება შესწავლა. მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენება ჩვენი კონსტიტუციისთვისაც იოლი არ არის, იმპიჩმენტის პროცედურა თვეების მანძილზე გაიჭიმება და ამასობაში სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადაც ამოიწურება. ეს საკითხი განსხვავებულ რანგში დგას და საზოგადოება ინფორმირებული იქნება პროკურატურის მიერ გამოძიებულ საქმეებზე.

აქტუალურია პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხიც, რომლის თავმჯდომარედ თინა ხიდაშელი განიხილება. ვიცე-სპიკერის განმარტებით პარლამენტის საგამოძიებო კომისიის პრინციპი არის იმ საქმეების გამოძიება, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ არასათანადოდ იქნა გამოძიებული და მიტოვებული შუა გზაზე, ან საერთოდ არ იქნა გამოძიებული. ბევრი გახმაურებული საქმის გამოძიება უნდა დაიწყოს, ამიტომ უახლოეს ხანს, როცა ეს კომისია შეიქმნება, საზოგადოება ამაზე გაიგებს.

ამ კვირას პარლამენტი განიხილავს ამნისტიის საკითხს, ზვიად ძიძიგურს მიაჩნია, რომ ამნისტია უნდა განხორციელდეს, ადამიანებს, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი, ისინი არაორდინალურ გარემოში იხდიდნენ სასჯელს, მათ მიმართ სისტემატურად ხორციელდებოდა ღირსებაშემლახველი ღონისძიებები, მაგრამ ამნისტია არ ნიშნავს იმას, რომ კარი გააღო და ყველა გარეთ გამოუშვა. ახალი ხელისუფლება ასე არ თვლის. სასჯელაღსრულების სამინისტროში მუშაობს კომისია, რომელიც სწავლობს ვადამდე განთავისუფლების საკითხებს, ინდივიდუალურად მიდის ყველა საქმის შესწავლა, რომ საზოგადოებისთვის საშიში ადამიანები არ აღმოჩნდნენ გარეთ და ამან ზიანი არ მიაყენოს საზოგადოების უსაფრთხოებას. ოფიციალური მონაცემებით, დღეს 21 ათასი პატიმარია, მაღალი მაჩვენებელია, ეს უნდა გამოსწორდეს. ბევრი ადამიანი ზის ციხეში ეკონომიკური დანაშაულისთვის, ასევე ისეთი პირები, ვისაც ადმინისტრაციული სასჯელი შეეძლოთ მოეხადათ, ჯარიმის სახით.

– ამას გარდა მნიშვნელოვანია სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი, რომლის გაუქმება იგეგმება ჩვენ მიერ, რაც სწორია, უმაღლესი შთანთქავს უდაბლესს, ეს პრინციპი იქნება გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ევროპის ბევრ ქვეყანაშია მიღებული და ცივილიზებული პრინციპია, – აცხადებს ძიძიგური.

პოლიტიკური პატიმრების საკითხიც აქტუალურია, ვინ ადგენს, თუ რა კრიტერიუმით არის პირი პოლიტიკური პატიმარი და ამ სიაში, სავარაუდოდ, შეყვანილი იქნება ირაკლი ოქრუაშვილი, რომელსაც ძიძიგური ოპოზიციაში ყოფნის დროს ხშირად აკრიტიკებდა, როგორც რეპრესიების მთავარ შემოქმედს, ამიტომ პრესამ ამაზე განმარტებაც ითხოვა, რა პოზიცია აქვს ოქრუაშვილის მიმართ ძიძიგურს.

ვიცე-სპიკერის განცხადებით მთავარია სწორი სქემა აიგოს, რათა სამართლიანობა იყოს აღდგენილი. ვინ არის და ვინ არა პოლიტპატიმარი, როგორი იქნება პარლამენტის როლი, ამაზე უნდა იმუშაოს საზოგადოებამ და პარლამენტმა. ირაკლი ოქრუაშვილის გარდა სხვა გვარებიც შეიძლება იყოს განხილული. პოლიტპატიმარი სამართლებრივი სტატუსითაც უნდა იყოს აღიარებული და შესაბამისი კომპენსაციაც უნდა მიიღოს. ამ ცხრა წლის მანძილზე ბევრი პოლიტიკური რეპრესია მოხდა, რაც ყველამ ერთად ნახა.

ბიუჯეტის პარამეტრები არის თუ არა თანხვედრაში იმ დაპირებებთან, რასაც წინასაარჩევნოდ კოალიცია იძლეოდა. ძიძიგური აცხადებს, რომ ბიუჯეტი, რომელსაც ახლა პარლამენტი განიხილავს, არის ისევ ძველი ხელისუფლების მოტანილი. ბიუჯეტი, რომელიც 2013 წლის მიწურულს იქნება შესადგენი, ეს იქნება ახალი მთავრობის მუშაობის პირობებში მოზიდული სახსრები, ოპტიმიზაციები, რომლებიც ახალ შესაძლებლობებს გამოავლენს.

„ნოემბრის ბოლოს განხილული ბიუჯეტი არის ძველი მთავრობის მიერ განხილული ბიუჯეტი, ამიტომ შეუძლებელია ეს ბიუჯეტი ასახავდეს სრულად იმ დაპირებებს, რომლებსაც ჩვენ ვიძლეოდით. თუმცა სასიკეთო ტენდენციები უკვე 2013 წლისთვის იქნება, მინიმალური პენსიის გაზრდა მოხდება დაზღვევის პაკეტების გარეშე იქნება ას ორმოცდაათი ლარი. სოფლის მეურნეობის მიმართულებით მოხდება თანხების მობილიზება. ჯანდაცვისთვის განკუთვნილი 800 მილიონი ლარი არ იხარჯებოდა კონკრეტული ადამიანების ინტერესებისთვის, განათლების თანხები ამჯერად უფრო მიზნობრივად იქნება გადანაწილებული. მესმის ,რომ ჩვენს ოპოზიციას ძალიან ეჩქარება როგორმე სასწრაფოდ მოხდეს ჩვენი რეიტინგის კლება, ჯერარდამტკიცებულ პრემიერ-მინისტრს მოსახნავი მიწების შესახებ საყვედურებს ეუბნებოდნენ. ბიძინა ივანიშვილი არის კარგი პრემიერ-მინისტრი, ისეთი ადამიანი, რომელიც გამოცდილი ადამიანია, იცის ფინანსების მოძრაობის საკითხი, საბანკო საქმე, კერძო სექტორის საქმე, ბიზნესის შემწუხებელი აღარავინ არის საქართველოში და მას თამამად შეუძლია ჩადოს თავისი მონაგები თანხები საკუთარი ბიზნესის კიდევ უფრო განვითარებაში, რაც გულისხმობს ბევრი სამუშაო ადგილის შექმნას“ – ამბობს ძიძიგური.

კოალიციას ბევრი უმუშევარი მიაწყდა, ყველა ითხოვს დასაქმებას, ძიძიგური ამბობს, რომ კარგი არის ის ქვეყანა, სადაც სახელმწიფო სექტორში მუშაობს ცოტა ადამიანი და ბევრი მუშაობს კერძო სექტორში.

# თეა წულუკიანი გიგი უგულავას წინააღმდეგ

თეა მარხვაიძე

ძალიან მალე ბაჩო ახალაიას ბედი შესაძლოა მისმა უფროსმა ძმამ, დათამ გაიზიაროს. საქართველოს მთავარმა პროკურორმა წინა კვირაში განაცხადა, რომ დათა ახალაიას ბრალს დაუსწრებლად წაუყენებდნენ.

არჩილ კბილაშვილის ეს განცხადება საქართველოში ალბათ არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი. დათა ახალაიას სახელი ბევრ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს. ერთ-ერთი პირველი ხმაურიანი საქმე სანდრო გირგვლიანს უკავშირდება.

სანდრო გირგვლიანის და მისი ოჯახის ტრაგედია ჩვენმა საზოგადოებამ გულთან ახლოს მიიტანა. უკვე წლებია მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ საქმის გამოძიებას ითხოვს. წინა ხელისუფლების პირობებში ეს არ მოხერხდა.

ამ საქმეზე რამდენიმე პირი დააკავეს, რომლებიც ციხეში განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ძალიან მალე ისინი პრეზიდენტმა შეიწყალა.

გირგვლიანის საქმის გახმაურებას საქართველოში დიდი ამბები მოჰყვა. იმ დროს თანამდებობა დატოვა დათა ახალაიამ. უფრო სწორად, დროებით გადადგა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავკაცობიდან. ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ გამოძიებისთვის ხელი არ შეეშალა. ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა. გამოძიება ჩატარდა, თუმცა შედეგებს არავინ არ დაუჯერა. ახალმა ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ გირგვლიანის საქმეს გამოიძიებდა.

## „დათა ახალაიას ბრალს სანდრო გირგვლიანის საქმეზე წაუყენებენ“

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ დათა ახალაიასადმი პროკურატურის ინტერესი სანდრო გირგვლიანის საქმესაც უკავშირდება.

– გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონკრეტული ქმედებები, რომლის დაკონკრეტებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. დათა ახალაია არაერთ საქმეში ფიგურირებდა, სანამ ჩვენ მოვიდოდით ხელისუფლებაში. ერთ-ერთი პირველი არის გირგვლიანის საქმე. გირგვლიანის საქმეზე მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის ქმედებები, რათა განახლდეს გამოძიება. ამ მხრივ მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ, თუმცა, რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნებისგან თვის ბოლომდე თავს შევიკავებდი, რადგან თვის ბოლოს ჩვენ გაგვდის ვადა, წარვადგინოთ მინისტრთა კომიტეტში პოზიცია, თუ როგორ



მ საქმის გამოძიებას. არ მაქვს სურვილი, რომ ამ ნაბიჯების შესახებ საზოგადოებამ და მედიამ მანამდე შეიტყოს, სანამ თავად სანდრო გირგვლიანის მამა არ შეიტყობს. ჩვენ მას მოვიწვევთ მთავარ პროკურატურაში და ჩავაბარებთ ანგარიშს, თუ როგორ ვიძიებთ ამ საქმეს, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

დათა ახალაიამ საქართველო არჩევნების შემდეგ დატოვა. ის საქართველოში ჯერ არ დაბრუნებულა. ვნახოთ, ჩამოვა თუ არა ბაჩო ახალაიას მსგავსად საკუთარი ნებით საქართველოში.

იუსტიციის მინისტრმა გუშინ გიგი უგულავაზეც ისაუბრა. რომლის დაკავების ალბათობაზე ბევრს საუბრობენ. წულუკიანის განცხადებით, დედაქალაქის მერის მიმართ არაერთი შეკითხვა არსებობს.

– ქალაქის მერის მიმართ არსებობს არაერთი შეკითხვა, მაგრამ იმისათვის, რომ სისხლის სამართლებრივი პროცედურის სახე მიეცეს, მთავარია, იქნება თუ არა მტკიცებულებები სახეზე. ეს ჯერ ჩვენ არ ვიცით, – აღნიშნა წულუკიანმა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# თეა წულუკიანი გიგი უგულავას წინააღმდეგ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

იუსტიციის მინისტრმა შსს-ს ყოფილ გენინსპექციის უფროსზე გუნავაზეც ისაუბრა. ის რამდენიმე დღის წინ დააკავეს და გირაოთი გაათავისუფლეს. გუნავა ამტკიცებს, რომ მას იარაღი და ნარკოტიკი ჩაუდეს.

წულუკიანის თქმით, პროკურატურა ასევე ზედმიწევნით შეისწავლის თენგიზ გუნავას საჩივარსაც.

– გუნავას დაკავების შესახებ არის ორი ვერსია. ერთი არის შსს -ის ვერსია და ერთი თავად გუნავას ვერსია. თუკი გუნავას ან ნებისმიერი სხვა პირის დაკავებისას დარღვეული იყო დაკავებულის უფლებები, ეს უნდა გამოიძიოს პროკურატურამ. ამიტომ ის საჩივარი, რომელიც იქნა შემოტანილი, იქნება ზედმიწევნით შესწავლილი. დიდი იმედი მაქვს და ასე ვიცი, რომ ის, რაზეც მიუთითებს ბატონი გუნავა, ასე არ მომხდარა, მაგრამ ერთია რას ვფიქრობ მე და მეორეა, რას დაადგენს გამოძიება, – განაცხადა წულუკიანმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილმა უფროსმა თენგიზ გუნავამ სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე, დამოუკიდებელი ნარკოტესტი დამატებითი შემოწმება გაიარა.

ექსპერტიზა გუნავამ თავად მოითხოვა. მისი ადვოკატის ცნობით, დასკვნა ერთ თვეში გახდება ცნობილი. როგორც ადვოკატი აღნიშნავს, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ დოკუმენტაციას, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სასამართლოზე წარადგენენ. შეგახსენებთ, რომ გუნავა თავს უდანაშაულოდ თვლის და აცხადებს, რომ იარაღი და ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რომელიც ჩხრეკისას ამოიღეს, მას არ ეკუთვნოდა.

ის მისი დაკავების ფაქტს პოლიტიკურ დევნად აფასებს და აცხადებს, რომ ბაჩო ახალაიასთან მეგობრობის გამო ისჯება.

გუნავას ადვოკატებმა პროკურატურაში სარჩელი შეიტანეს, სადაც გენინსპექციის ყოფილი უფროსი დაკავების ფაქტზე გამოძიების ჩატარებას და კონკრეტული პირების დასჯას ითხოვს, რადგან თვლის, რომ მისი დაკავება პროცესუალური ნორმების დარღვევით და მტკიცებულებების ფალსიფიკაციით მოხდა.

# გიგი უგულავა ლას ვეგასში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა?



დედაქალაქის მერიის პრესსამსახური უარყოფს ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გიგი უგულავა მერიის ხარჯებით, ნათესავებთან და ახლობლებთან ერთად ლას ვეგასში დასასვენებლად იმყოფებოდა. მერიის განცხადებით ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

„თბილისის მერი გიგი უგულავა 2011-2012 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, მათ შორის, ქალაქ ლას ვეგასში, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ვიზიტების დროს, თბილისის მერმა შეხვედრები გამართა სხვადასხვა ოფიციალურ პირებთან, მათ შორის ქალაქის მერთან. შეხვედრების მიზანი, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის, ადგილობრივი საგადასახადო მიდგომების, ქალაქის დაგეგმარებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებზე გამოცდილების გაცნობა და გაზიარება იყო. ვიზიტის ფარგლებში გიგი უგულავა საქართველოში ინვესტირებით დაინტერესებული კორპორაციების პრეზიდენტებსაც შეხვდა. ერთ-ერთი ვიზიტის დროს, ასევე მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ნარჩენების გადამტანი და გადამამუშავებელი ტექნიკის გამოფენას ,დაესწრო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის ბიუჯეტიდან თანხა გამოიყო მხოლოდ მერის მივლინებასთან დაკავშირებით და ,,მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულების დაცვით“ – ნათქვამია მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მერია ადასტურებს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების პატივისცემას, ასევე ლეგიტიმურად მიიჩნევს მაღალი თანამდებობის პირების მიმართ მედიის ინტერესი, თუმცა ,,სამწუხაროა, რომ უკვე მერამდენედ, სტუდია ჯიენესი მიზანმიმართულად აწვდის საზოგადოებას არასწორ ინფორმაციას, რითიც ის უხეშად არღვევს ჟურნალისტურ ეთიკას და ბოროტად იყენებს გამოხატვის თავისუფლებას“ – ნათქვამია მერიის პრესსამსახურის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# ბიზნესმენმა სერგო ბერიძემ ვანო მერაბიშვილს პროკურატურაში უჩივლა

აჭარელმა ბიზნესმენმა სერგო ბერიძემ ექს-პრემიერ ვანო მერაბიშვილის და მისი ახლობლების წინააღმდეგ ბათუმის პროკურატურაში საჩივარი შეიტანა.

ბერიძე ამტკიცებს, რომ მას მერაბიშვილმა თავის გარემოცვასთან ერთად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში არსებული ბიზნესი წაართვა, შემდეგ კი თაღლითურად შეთითხნილი საქმის გამო დააპატიმრა.

„მერაბიშვილის მეგობარმა ლუხუმ კაპანაძემ მითხრა, რომ დიდი ბიზნესს აკეთებდა და დირექტორად მნიშნავდა, თანხაც გადმომირიცხა, შემდეგ კი ფულის გადმოცემის დროს გამოძალვაში დამადანაშაულა და დამაპატიმრეს“, – აცხადებს ბერიძე და დასძენს, რომ მან სასჯელი უკვე მოიხადა.

ბიზნესმენის მტკიცებით, მას მეცხოველეობის ფერმის, სამკერვალო ფაბრიკის და სასტუმროს ბიზნესი ჰქონდა.

**მედიანიუსი**

# შალვა ხაჭაპურიძე: სირცხვილია, გიგი უგულავა რომ თბილისის მერია!“

## ბაჩო ახალაია თავისივე გუნდთან ვაჭრობს

ნონა ცაბაძე




**ინტერვიუ**
**შალვა ხაჭაპურიძესთან**

***– ბატონო შალვა, პროკურატურამ საკმაოდ მოუხშირა დაპატიმრებებს, იმდენმა ბინძურმა საქმემ ამოიწია ზევით, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს ამის შესახებ გაგონილიც არ ჰქონდა. ნაციონალები ჩვეულ ამპლუაში რჩებიან და ამ ყველაფერს პოლიტიკურ დაპატიმრებებს უწოდებენ, როგორია თქვენი, როგორც ადვოკატის, შეფასებები?***

– დაპატიმრებები კი არ გააქტიურდა, მე უფრო ისეთ შეფასებას მივცემდი, რომ ამოტივტივდა ის დანაშაულებები, რასაც ეს ხელისუფლება სჩადიოდა ამ რვა წლის განმავლობაში. დანაშაულებრივი პოლიტიკის და დანაშაულებრივი ქმედებების შედეგია ეს ყველაფერი. საინტერესო შეფასება აქვთ საერთოდ ნაციონალებს და საინტერესო ხალხი არიან. ამბობენ, კი ბატონო, შესაძლებელია ჩადენილი ჰქონდეთ ესა თუ ის დანაშაული, რომელსაც აღიარებენ კიდეც, მაგრამ ეს დაპატიმრებები მაინც პოლიტიკურიაო. თუკი ჩადენილი აქვს დანაშაული, მაპატიეთ და პროკურატურამ და პოლიციამ რა უნდა ქნას, არ შეასრულოს თავისი ფუნქციები? პოლიციელი და პროკურორი, ვინც თვალს დახუჭავს, ისიც პასუხისგებაში უნდა მიეცეს. უამრავი ფაქტი მოდის, საჩივრები შემოდის, შეიხედეთ ერთი გენერალურ პროკურატურაში რა სიტუაციაა, რიგები დგას. შედის უამრავი საჩივარი და, ბუნებრივია, ამ საჩივრებზე რეაგირება ხდება. დღეს სასამართლო ისევ ნაციონალების ხელშია, სასამართლოს დღემდე ძმები კუბლაშვილები აკონტროლებენ. ვერ გავიგე, თუ ამ სასამართლოს ამდენ ხანს რეიტინგებით მოსახლეობის 99%-ის ნდობა ჰქონდა და იყვნენ უნიკალურები და მსოფლიოში არნახული მოსამართლეები, რატომ გამოაქვთ დაპატიმრებების ბრძანებები?! თუკი პოლიტიკური ნიშნით არიან დაპატიმრებულები, ხომ შეუძლიათ მოსამართლეებს, საერთოდ არ შეუფარდონ აღმკვეთი ღონისძიება, ხომ? ის, რომ პოლიტიკური ნიშნით ვილაც იდევნება, ეს არის აბსურდი და ორი მიზანი აქვს ამას. პირველი ის, რომ დაანახონ დაჭერილ დამნაშავე ნაციონალ პირებს, რომ ჩვენ მხარს გიჭერთ და არ ალაპარაკდეთ, ანუ არ დაიწყოთ ლაპარაკი და არ ამხილოთ სხვა უფრო მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები და მეორე, ისინი ფიქრობენ, თუ ჩვენც დაგვიჭერენ, ჩვენც პოლიტიკური ნიშნით დევნილები ვიქნებითო. ამ ორ მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი.

***– იმის თქმა გინდათ, რომ შიში აყვირებთ ნაციონალებს?***

– ქართული გამონათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო და სწორედ ეგ არის. მიმდინარეობს აბსოლუტურად დემოკრატიული პროცესი და სამართალდამცავი ორგანოები აკეთებენ იმას, რაც უნდა გააკეთონ კანონის ფარგლებში. თორემ ის, რაც ახალაიასთან დაკავშირებით ხდება, გაუგონარი რამ არის, ღია კარის დღეებს აწყობს საკანში. ვისაც უნდა შედის, ნახულობს. ასე ვთქვათ, ის პოლიტიკური თანამდებობის პირი იყო და რომ არ გაჩნდეს ბევრი კითხვა, ამიტომ ხელისუფლება კანონის ფარგლებში უშვებს ამას. კანონით ეს შესაძლებელია. პარლამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს, რომელიმე დეპუტატს მისცეს უფლება ინახულოს. ეს ადრეც იყო კანონით გათვალისწინებული, უბრალოდ, ესენი არ აკეთებდნენ ამას. საერთოდ, გადაკეტილი ჰქონდათ ეგ სისტემა. ხელისუფლება ამბობს, კი ბატონო, თუ ნახვა გინდათ, შედით და ნახეთ, არანაირი ზეწოლა ამ პატიმარზე არ ხდება. თუმცა გამოძიებას თავისი ინტერესები აქვს, არსებობს საგამოძიებო საიდუმლო, რომელიც არ შეიძლება გამოტანილ იქნას და ამასთან დაკავშირებით ალბათ სიფრთხილეა საჭირო.

***– რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოების გააქტიურებას, ცოტა ზედმეტიც ხომ არ მოსდით?***

– ჩვენ ვიცით, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვით კომისიასთან შექმნილია ჯგუფი, რომელიც იხილავს 188 პოლიტპატიმრის საკითხს. მე გული მწყდება, რომ ამდენ ხანს ვერ ამჩნევდა საერთაშორისო საზოგადოება, რვა წლის განმავლობაში ჩვენ რა დღეში ვიყავით. ახლა რა შეშფოთებასაც გამოთქვამენ, პრინციპში, შეშფოთებაში ვეთანხმები, შესაშფოთებელი და აღმაშფოთებელია, როდესაც ამოტივტივდებიან თანამდებობის პირები, რომლებსაც საძაგელი დანაშაულებები აქვთ ჩადენილი. ამიტომაც აღშფოთდნენ. მე თუ მკითხავთ, სააკაშვილია ამ ყველაფერში დამნაშავე, რა შეფასებებიც გააკეთა თავიდან საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ეს სააკაშვილის და მისი ლობისტური კომპანიების დამსახურებაა და ამას სამშობლოს ღალატი ჰქვია. ეს მუხლიც დაემატა სააკაშვილს, როცა დადგება მისი გასამართლების დრო და ეს დრო აუცილებლად დადგება, დამერწმუნეთ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება აუცილებლად გავა მაღალი რანგის მოხელეებზე და მათი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება?***

– 26 მაისს თუ ობიექტურად გამოიძიებენ, იგივე ციხის ბუნტს, 7 ნოემბერს, ცხადია, დადგება მათი პასუხისმგებლობის საკითხი. ვინ გასცემდა ასეთი სისასტიკით დარბევის ბრძანებას თუ არა სააკაშვილი და ეს ხალხი მისცემს ამ ჩვენებას. ამ შემთხვევაში აუცილებლად დადგება სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი. რა უნდა ვქნათ ამ შემთხვევაში, სამართალი გვერდზე უნდა გადავდოთ იმიტომ, რომ ისინი ნაციონალები არიან?! თანამდებობა არის იმისთვის, რომ ემსახურო ხალხს. თანამდებობას თუ ბოროტად იყენებ, ამისთვის შესაბამისი მუხლები არსებობს და ეს მუხლები უნდა იქნეს გამოყენებული. არავის არა აქვს იმის უფლება, რომ ეს მუხლები არ გამოიყენოს და ვინმეს შეღავათი გაუკეთოს. კანონი არ იძლევა ამის საშუალებას, მით უმეტეს, რომ აშკარად სახეზეა დანაშაულის ნიშნები. მე ჰააგის სარჩელში მეტი კი არაფერი ჩამიწერია, ყველაფერი ეს მაქვს აღწერილი, რაც ხდება. მეც ეს დანაშაულებები მაქვს მოყვანილი.

***– თქვენი აზრით, ახალაია რამდენად ითანამშრომლებს გამოძიებასთან, მას ხომ საკმაოდ დიდი ინფორმაცია აქვს?***

– ამ შემთხვევაში ბაჩო ახალაია თავისივე გუნდთან ვაჭრობს. მას საზღვარგარეთ ნამდვილად არ დაედგომებოდა, სხვადასხვა ორგანიზაციები მას აქტიურად ეძებენ ლაფანყურის ამბებთან დაკავშირებით და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. სწორედ ამის გამო დაბრუნდა ის საქართველოში და არა იმის გამო, რომ ის ცოტნე დადიანია. ეს ყველაფერი ზღაპარია, რომ ის დაბრუნდა იმიტომ, რომ მართალი კაცია და ასე შემდეგ... ეს პიარის შემადგენელი ნაწილია. დაბრუნდა იმიტომ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და მისი გადარჩენის ერთ-ერთი ყველაზე კარგი ადგილი იყო საკანი. ის როგორც კი დაინახავს, რომ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან მას აღარა აქვს მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, ალაპარაკდება და თავის გადარჩენის მიზნით მოყვება ყველაფერს, რა უბედურებაც ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის მაღალ ეშელონებში.

***– ნაციონალები დღეს მის დასანახად ყვირიან?***

– რასაკვირველია, ამხნევებენ, აგერ ვართ, არ მიგატოვებთო. როგორც კი ის იგრძნობს, რომ მიატოვეს, იმ წუთში ახალაია დაიწყებს აღიარებითი ჩვენებების მიცემას.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაუსწრებლად დათა ახალაიასაც წაუყენებენ ბრალს...***

– არა მარტო დათა ახალაიას, ბრალი უნდა წაეყენოს ადეიშვილს, მერაბიშვილს, კეზერაშვილს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს. მარტო მე მაქვს პროკურატურაში შეტანილი სარჩელები, სადაც მათი დანაშაულებრივი ქმედებები იკვეთება, კონკრეტული მოწმეები და კონკრეტული ფაქტებია. ვისაც გამოუვლინდება დანაშაული, ყველა უნდა მიეცეს პასუხისგებაში და მერე სამართლიანმა სასამართლომ გადაწყვიტოს, უნდა მიუსაჯოს, გაამართლოს თუ რა უნდა გააკეთოს. სამართალმა უნდა იზეიმოს. ეს უნდა იყოს ამ მთავრობის პრინციპი, შემდეგი მთავრობის პრინციპი და სამართლიანობა ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს. სამარცხვინო არ არის, ისეთი მერი ჰყავდეს თბილისს, როგორიც გიგი უგულავაა?! მისი ლასვეგასში ვოიაჟები არ არის დანაშაული? ეს კაცი ქართული პოლიტიკის სირცხვილია და თბილისისთვის, მით უმეტეს. მისი პასუხისმგებლობის საკითხიც აუცილებლად დადგება, მე კიდევ ვამზადებ ერთ საჩივარს უშუალოდ მასთან დაკავშირებით. მე არ მინდა ახლა დეტალებზე ვილაპარაკო. მას აქვს სქემები გაკეთებული ნავთობის ბიზნესთან დაკავშირებით, ამ ყველაფერს პირადად ხელმძღვანელობდა და ეს ყველაფერი ახლაც ხდება მისი მეთაურობით და ამ სქემებს მე დავულაგებ პროკურატურას ამ დღეებში.

***– შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები უკვე დაიწყო?***

– რა თქმა უნდა. სამართლიანობის აღდგენა, ეს არის დემოკრატიული პროცესი. სამართალია უმნიშვნელოვანესი. თუ ადამიანს სამართლიანობის გრძნობა არა აქვს სახელმწიფოში, იქ ილახება ადამიანის უფლებები და ასე შემდეგ. მე ვერ ვხედავ ახლა, რომ რომელიმე დაპატიმრებულის უფლებები ილახებოდეს. ჩაიდინა დანაშაული, არის მოწმეები, არის ფაქტები. აღიარებენ დანაშაულს, სასამართლო ჯერ კიდევ მაგათია. აბა, ახლა გამოვიდეს კუბლაშვილი და თქვას, სასამართლო არის მიკერძოებულიო. პროცესი აბსოლუტურად სწორად მიმდინარეობს და ეს უნდა გაგრძელდეს. უნდა დაისაჯოს ყველა დამნაშავე პირი, ვინც დანაშაული ჩაიდინა და უამრავია ასეთი. ყველა მათგანი უნდა მიეცეს პასუხისგებაში.

***– ნაციონალები პროცესების წინ კვლავაც ურეკავენ მოსამართლეებს, თუმცა მოსამართლეები მათ ზარებს აღარ პასუხობენო...***

– მოსამართლეები დღესაც ნაციონალების ზეგავლენის ქვეშ არიან, მაგრამ მე, როგორც ვხედავ, ნელ-ნელა გამოდიან ამ მდგომარეობიდან და აღარ ემორჩილებიან. თუმცა, ამის მიუხედავად, რამდენიმე მოსამართლე პასუხისგებაშია მისაცემი, იმიტომ, რომ მათ აშკარა დანაშაულებები აქვთ ჩადენილი. მათ გადაწყვეტილებებს უდანაშაულო ადამიანების უკანონო დაპატიმრებები მოჰყვა.

***– როგორც ადვოკატს, ასევე საყოველთაო ამნისტიის შესახებ მინდა რომ გკითხოთ. როგორ უყურებთ ამ პროცესს?***

– საყოველთაო ამნისტია, მე ვფიქრობ, არასწორი ტერმინია. სწორედ ქუთაისის პარლამენტში გახლავართ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაინტერესებს, რა მუხლებს შეეხება. ვიცით ჩვენ, ძალიან ბევრი ადამიანი უკანონოდ არის დაპატიმრებული. ამნისტიაც უნდა მოხდეს, უნდა გადაიხედოს საქმეები, უნდა განხორციელდეს სხვა ღონისძიებები, რომელიც პატიმარს გამოსწორების საშუალებას მისცემს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა დაირღვეს ბალანსი და კრიმინოგენური სიტუაცია გამძაფრდეს ქვეყანაში. ხელისუფლებაში არის იმის მზაობა, რომ სახელმწიფო ისე შეხვდეს ამ პატიმრების გამოსვლას, რომ ქვეყანაში ამ მხრივ მდგომარეობა არ შეიცვალოს და ვერც კანონიერი ქურდები და ვერც დამნაშავეები ვერ შეძლებენ საქართველოში რაიმე ზეგავლენის მოხდენას. ყველამ უნდა იცოდეს, რომ იქნება ობიექტური გამოძიება და სამართლიანი სასამართლო. ყველას უნდა ესმოდეს, რომ აღარავის მიეცემა შესაძლებლობა, ქვეყანა ხელში ჩაიგდოს და დანაშაულებრივი მეთოდებით მართოს.

# ნოდარ ხადური: ყველაფერს გავაკეთებთ, უბრალო ადამიანები რომ არ დაიჩაგრონ“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება ენერგომატარებლებზე ტარიფების დაწევა იყო. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით მოლაპარაკებები იწყება.**

„ინტერ რაოს“ დელეგაცია ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოყოფილ სამუშაო ჯგუფს ოთხშაბათს შეხვდება, სადაც მთავარი განსახილველი საკითხი ენერგოტარიფები იქნება.

— ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფების გადახედვა ბოლოს 2005-2006 წლებში მოხდა, — ამბობს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრყ კახა კალაძე.

მისი თქმით, ამის შემდეგ მეტი არაფერი გაკეთებულა და ამჟამად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან შეთანხმებით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები კომპანიებთან ტარიფების დაწევასთან დაკავშირებით.

კახა კალაძის განმარტებით, კონტრაქტი, რომელსაც სემეკი ტარიფის შეუცვლელობის საბაბად იშველიებს, „ინტერ რაოესთან“ ახალი გაფორმებული არ არის.

— ტარიფები ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენთვის. საზოგადოებაში ამ საკითხზე ძალიან ბევრი კითხვაა. ძალიან მალე ცნობილი იქნება ყველაფერი, რადგან სამუშაო ჯგუფი მუშაობს. განსახილველი თემა არის ტარიფი. ეს მემორანდუმი რამდენიმე წლის წინ გაფორმდა და მის თანახმად, „ინტერ რაოესს“ 2025 წლამდე 370 მილიონამდე ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა. ეს პროცესი დაწყებულია და ეხება გამრიცხველიანებას, არსებული ქსელების რეაბილიტაციას. მათ ასევე ჰქონდათ ახალი ჰესების აშენების ვალდებულება, რაც საბოლოოდ ტარიფში აისახებოდა. ამ საკითხებზეც გვექნება საუბარი „ინტერ რაოესის“ წარმომადგენლებთან, — განაცხადა კახი კალაძემ.

მინისტრის ინფორმაციით, „ინტერ რაოს“ სამუშაო ჯგუფი თბილისში დღეს ჩამოვა, ხოლო სამუშაო შეხვედრები ოთხშაბათიდან დაიწყება.

ამასთან, მთავრობის დღევანდელი სხდომის დაწყებამდე კალაძემ აღნიშნა, რომ გაზის ტარიფის შესახებ კონკრეტული საუბარი მას შემდეგ იქნება, რაც გაზისა და ნავთობის კორპორაციის ხელმძღვანელი შეიცვლება. მინისტრს არ დაუკონკრეტებია, როდისთვის შეცვლიან გაზისა და ნავთობის კომპანიის ხელმძღვანელს ზურაბ ჯანჯღავას.

— მოლაპარაკებები იქნება დათხოვნილ თანამშრომლებზეც. ადამიანები შიმშილობენ. 125 ადამიანი იქნა დათხოვნილი. ამ ადამიანების ბედი ძალიან მალე გაირკვევა. ჩვენ გვქონდა შეხვედრა სემეკთან, მოვისმინეთ მათი მოსაზრება, მათი ხედვები ტარიფებთან დაკავშირებით. ჩვენ ყველა კომპანიასთან ვთანამშრომლობთ იმ საკითხზე თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ ტარიფების დაწევა მოხდეს, — ამბობს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე.

ენერგეტიკის მინისტრი დიდი ჰესების მშენებლობის აუცილებლობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ელექტროენერგიის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება და შესაბამისად ეს აუცილებელი იქნება.

— მაგალითად, ჰუდონჰესის აშენების სურვილი თუ აქვთ, რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა მოხდეს გარემოს დაცვის სტანდარტებით. უცხოურმა კომპანიებმა უნდა დადონ და გაიაზრონ ის სტანდარტები, რომელიც ეკოლოგიას უკავშირდება. 15 ჰესის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს. 30 ჰესის მშენებლობაზე მემორანდუმია გაფორმებული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 2-3 წლის მერე საქართველოს აუცილებლობა დაუდგება ელექტროენერგიის ახალი რესურსის გამონახვის. ამიტომ მნიშვნელოვანი იქნება დიდი ჰესების მშენებლობა. თუმცა, ვიმეორებ, ეკოლოგიური სტანდარტების დაცვით. რაც შეეხება ენგურჰესს არის თუ არა ის ჩვენი ქვეყნის საკუთრებაში, მე გეუბნებით, რომ ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის საკუთრება, — განაცხადა კახა კალაძემ.

***

მიმდინარე დაკავებებთან დაკავშირებით კომენტარი შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი თენგიზ გუნავა დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, — განუცხადა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სხვა გარემოებებთან დაკავშირებით კი, ღარიბაშვილის განმარტებით, მისთვის არაფერია ცნობილი.

— დანარჩენი საკითხები პროკურატურამ შეისწავლა. მე დანიშვნისთანავე განვაცხადე, რომ აღარ მოხდებოდა ვინმესთვის იარაღის, ან ნარკოტიკის ჩადება და ეს ასეც მოხდება. მე მაქვს ინფორმაცია, რომ დაკავებისას თენგიზ გუნავა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. სხვა გარემოებების შესახებ ჩემთვის არაფერია ცნობილი, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

თენგიზ გუნავას ადვოკატებმა მთავარ პროკურატურას საჩივრით მიმართეს. როგორც ისინი განმარტავენ, დაკავების პროცესში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ პროცესუალურ დარღვევებს, მათ შორის ადვოკატების ინფორმაციით, გუნავას სამართალდამცავებმა ნარკოტიკი და იარაღი ჩაუდეს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დასაკავებელ პირთა პოლიტიკური მოტივებით შერჩევას კატეგორიულად უარყოფს.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, ყველა დაკავება სრულიად კანონიერად და სამართლიანად ხდება.

მინისტრის განმარტებით, სამართალდამცავი სტრუქტურები ცდილობენ აღმოფხვრან ის უკანონობა, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში მკვიდრდებოდა.

— თუ ოპონენტები პოლიტიკურ დაკავებას უწოდებენ კიბერშეტევისთვის ადამიანების დაკავებას, რომელიც სერიოზული დანაშაულია, ეს მათი უფლებაა. არც ერთი დაკავება პოლიტიკური მოტივებით არ არის განპირობებული. ვცდილობთ, ვიყოთ მაქსიმალურად სამართლიანი. ეს პერიოდი არის ძალიან სენსიტიური, რადგან მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება და ჩვენ ვცდილობთ არ დავძაბოთ ვითარება და ფრთხილად გავაგრძელოთ საქმიანობა, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრის თქმით, დანაშაულის გამოვლინებისას პირის პარტიულ კუთვნილებას მნიშვნელობა არ ექნება, რადგან კრიმინალზე ადეკვატური რეაგირებაა საჭირო.

— ერთ-ერთი პირველი, ვინც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა, „ქართული ოცნების“ ქარელის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო. მოხდა ასევე სხვა პარტიების წევრების დაკავებაც და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ სიაში ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღმოჩნდნენ. მე ამაში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ. ამ წლების განმავლობაში უამრავი დანაშაული იყო ჩადენილი. დანაშაულის პროვოცირება და შექმნა ხდებოდა თვითონ სამინისტროშიც



და, ბუნებრივია, ყველა ეს საკითხი რეაგირების გარეშე არ დარჩება, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

***

— არ იქნება ისეთი ამნისტია, რომელიც ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარების გაუარესებას გამოიწვევს, — ამბობს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი.

— ამნისტია არ არის ყველაზე სწორი გამოსავალი, გაცილებით მასშტაბური იქნება ის, რასაც ვგეგმავთ და ეს არის სასჯელთა შეკრებითობის გაუქმება და პირობით ვადამდე გათავისუფლების ეფექტური ამოქმედება. ორივე ეს გზა ინდივიდულაურად მიდგომას ითვალისწინებს. ორივე გზა ითვალისწინებს იმ საფრთხეებს, რომელიც გარეთ გამოსულმა ადამიანებმა წარმოშვან ან არ წარმოშვან. პირობით ვადამდე გათავისუფლება და სასჯელთა შეკრებითობის პრინციპი გაცილებით ეფექტური გზა არის იმისთვის, რომ ციხეები განვტვირთოთ, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისი თქმით, საჭირო იყო ამნისტია, რადგან ძალიან ბევრი ადამიანის დაკავება ხდებოდა უსამართლოდ.

რაც შეეხება შეწყალებას, სუბარის განმარტებით, ეს არის პრეზიდენტის პრეროგატივა. როგორც სუბარმა განაცხადა, როდესაც სახალხო დამცველი იყო და ხდებოდა შესაწყალებელი კანდიდატურების განხილვა, საბოლოოდ, მათ მიერ შედგენილი სია იცვლებოდა და სულ სხვა ადამიანები გამოდიოდნენ ციხიდან.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არ გამორიცხავს, რომ „ამნისტიის კანონის“ ამოქმედების შედეგად საპატიმრო დაწესებულებები ბევრმა „არასასურველმა ადამიანმა“ დატოვოს.

ამის შესახებ ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა.

მისი განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საკითხს ძალიან ფრთხილად უდგება და კანონპროექტსაც დაწვრილებით შეისწავლის.

— ჩვენ ამ საკითხს ძალიან ფრთხილად ვეკიდებით, რადგან ამის შედეგად შეიძლება ციხიდან ბევრი არასასურველი ადამიანის გამოშვება მოხდეს. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ქვეყანაში კრიმინალური სიტუაცია არ დაიძაბოს. ჩვენ ვიქნებით გარანტი იმისა, რომ ეს არ მოხდეს. ვიმედოვნებთ, პარლამენტი ჩვენთან ითანამშრომლებს და ჩვენს მოსაზრებებს გაითვალისწინებს, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მინისტრის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მისიის კანონპროექტთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებებს პარლამენტს ორ-სამ დღეში გადაუგზავნის.

სუბარის განცხადებით, ხშირად პრეზიდენტი შეწყალებას არჩევნების შედეგებზე მანიპულირებისთვის იყენებდა და ეს შეიცვლება.

***

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ქართველ მეზღვაურებზე გააკეთა კომენტარი.

პანამის არხში, ნიგერიის დროშის ქვეშ მცურავ გემ „მარია დელ კარმენ 2“-ზე მყოფი ქართველი მეზღვაურები მექსიკაში საქართველოს ელჩმა მალხაზ მიქელაძემ მოინახულა.

ქართველ დიპლომატს მეზღვაურები სამშობლოში დაბრუნებაში დახმარებას სთხოვენ.

— ჩვენ გვაქვს ორი მოთხოვნა — მივიღოთ კუთვნილი ხელფასები, რომელიც ზოგს 2, ზოგს კი 4 თვეა, არ მიგვიღია და დავბრუნდეთ საქართველოში. პანამა კორუმპირებული ქვეყანაა და აქ არავის ვაინტერესებთ. ვინ აღარ შევაწუხეთ, მაგრამ ჩვენი ბედით არავინ დაინტერესებულა. მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების იმედი გვაქვს, — აღნიშნა ქართველმა მეზღვაურმა.

მისივე განმარტებით, გემზე ამ დროისთვის ორი დღის საკვებისა და წყლის, აგრეთვე, 1 ტონა საწვავის მარაგია, რომელიც მაქსიმუმ 3 დღე ეყოფა, რომ „მარია დელ კარმენ 2“-ზე ელექტროენერგია იყოს.

— ასე ადვილად არ არის საქმე, როგორც ჩანს. მათ კი ძალიან უნდათ წამოსვლა, მაგრამ დეტალები არის გასარკვევი, რომელიც მეზღვაურებისთვის არის მნიშვნელოვანი. ჩვენ პარალელურად საერთაშორისო ორგანიზაციებთან ვმუშაობთ და ვიხილავთ მათი საქართველოში ჩამოყვანის შესაძლებლობებს. გემს მეზღვაურების მიმართ აქვს დავალიანება, — ამბობს მაია ფანჯიკიძე.

ნიგერიის დროშის ქვეშ მცურავ გემზე ეკიპაჟის 16 წევრი იმყოფება, მათგან 12 ქართველი მეზღვაურია.

***

იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, შსს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის, თენგიზ გუნავას განცხადება, თითქოს მას ნარკოტიკი და იარაღი ჩაუდეს, სიცრუეა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ თეა წულუკიანმა განუცხადა. მისივე თქმით, გუნავას შეუძლია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით იდავოს.

ამასთან, თეა წულუკიანი გამოეხმაურა პროკურატურის მიერ გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსის, გიორგი კალანდაძის კიდევ ერთხელ დაბარებას.

„ძალიან კარგი, თუ დაიბარეს“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

***

მთავრობა თბილისის მოსახლეობისთვის სოციალური შეღავათების გაგრძელების რამდენიმე ვარიანტს განიხილავს. ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განიხილებოდა მერიის ინიციატივა სოციალურ შეღავათებთან დაკავშირებით და ამ საკითხზე ფინანსთა სამინისტრომ მთავრობას ინფორმაცია მიაწოდა.

— განვიხილეთ სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ სოციალური შეღვათები მიიღოს ისეთივე წესით, რომლითაც იღებდა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. რაც შეეხება სამომავლო საქმიანობას, ამაზე 2013 წლის ბიუჯეტის განხილვისას ვიმსჯელებთ. ხალხზე ზრუნვა არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უბრალო ადამიანები არ დაიჩაგრონ, — განაცხადა ხადურმა.

***

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. ერთ-ერთი მთავარი კითხვა რუსთაველის თეატრიდან ხმაურით დათხოვნილ რეჟისორ რობერტ სტურუას ეხებოდა.

— ჩემი იდეაც იყო და არამხოლოდ ჩემი, ქართველი საზოგადოების მოთხოვნა იყო, რომ ეს გენიალური რეჟისორი, რომელმაც ქართულ თეატრს ძალიან გაუთქვა სახელი მთელ მსოფლიოში, დაბრუნებულიყო მშობლიურ თეატრში. სამართლიანობა აღდგენილიყო. მე ვთვლი, რომ რობერტ სტურუას უსამართლოდ მოეპყრნენ, — განუცხადა ჟურნალისტებს კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ.

კითხვაზე, სხვა შეთავაზება ხომ არ ექნება თუ ძველ თანამდებობას უბრუნდება რობერტ სტურუა, მინისტრი ასე პასუხობს:

— შესაძლოა ძველ თანამდებობაზე, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე ან სხვა, ახალი ფორმა გამოიძებნოს. ამ საკითხზე ბატონ რობერტს გავესაუბრები.

რაც შეეხება კულტურის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის იური მეჩითოვის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, მინისტრის განცხადებით, პარიზიდან დაბრუნების შემდეგ მას აქვს სურვილი, რომ ჟურნალისტებს შეხვდეს და მის ირგვლივ დაგროვილ კითხვებს ამომწურავად უპასუხოს.

— იყვნენ მოსულები ჩვენთან. ერთ-ერთი იყო ბატონი მიშა თავხელიძე, მათ პრეტენზია ჰქონდათ მეჩითოვის წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც ოკუპაციის მუზეუმს ეხებოდა. ჩვენი პასუხი იყო, რომ მსგავსი რამ არც იგეგმება და არც ვფიქრობთ ამაზე, — ამბობს გურამ ოდიშარია.

მთავრობის სხდომაზე დადგა საკითხი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში აუდიტის სამსახურის შესვლის შესახებ. აუდიტის სამსახური ნიკა რურუას სამინისტროში მუშაობის პერიოდს ფინანური კუთხით შეისწავლის.

— აუდიტის სამსახური ყველა სამინისტროში შედის, მათ შორის ჩვენს სამინისტროშიც, — გვითხრა კულტურის მინისტრმა.

## ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა პოლიტპატიმრად 180 ადამიანი გამოაცხადა

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა პოლიტპატიმრებისა და პოლიტიკური დევნილების საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო.

კომიტეტმა 220 განხილული საქმიდან პოლიტპატიმრად 180 პირი გამოაცხადა, ხოლო პოლიტიკურ დევნილის სტატუსი 22 ადამიანმა მიიღო, რომელთა შორის, არიან ბადრი ბიწაძე, ქიბარ ხალვაში, მიხეილ ქარელი და ირაკლი ოქრუაშვილი.

პოლიტიკურ პატიმართა სიაში ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე და ოპოზიციის აქტივისტი მელორ ვაჩნაძეც მოხვდნენ.

აღნიშნული 220 საქმე კომიტეტმა ორი კვირის განმავლობაში განიხილა. დამატებით ორი კვირის ვადაში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი იმ პირთა საქმეებს შეისწავლის, რომელთა განცხადებებშიც ხარვეზები გამოიკვეთა

პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სიები დასამტკიცებლად პარლამენტს სესიას წარედგინება

მედიანიუსი

# გოჩა ძასოხოვი: მე მქონდა არჩევანი, შემენარჩუნებინა ბიზნესი, მაგრამ დამეკარგა ღირსება“

თეა მარხვაიძე

## სააკაშვილის მიერ დევნილი ბიზნესმენი საქართველოში ბრუნდება

**როგორც სხვა ბევრი ბიზნესმენი, გოჩა ძასოხოვიც მხარს უჭერდა ვარდების რევოლუციას. რამდენიმე წლის განმავლობაში ის ვარდოსნებსაც აფინანსებდა. ამის პარალელურად, კარგ საქმეებსაც აკეთებდა. მის სახელს მართლა ბევრი კარგი საქმე უკავშირდება. ამის მიუხედავად ის ერთ მშვენიერ დღეს ნაცმოძმა ერის მოღალატედ გამოაცხადა. მანამდე კი სააკაშვილმა მას ჩვენი დროის გმირი უწოდა.**



მოღალატე გოჩა ძასოხოვი იმიტომ გახდა, რომ უარი თქვა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის თავკაცი გამხდარიყო. სწორედ მისი უარის შემდეგ მოუწია ვარდოსნებს დიმა სანაკოევის მოძიებამ.

ძასოხოვი მოღალატედ მაშინვე არ გამოუცხადებიათ. თავიდან მისი ბიზნესის შევიწროვება დაიწყეს. აგვისტოს ომის დროს კი მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა სკანდალური ინფორმაცია მოგვაწოდა. მან განაცხადა, რომ ცხინვალის და გორის სოფლებში შესულ ბანდფორმირებებს გოჩა ძასოხოვი მოუძღოდა წინ. არადა იმ დროს ძასოხოვი ოლიმპიადაზე იყო.

მას პეკინიდან თბილისში ჩამოსვლა არ ეღირსა. აქ ყველაფერი წაართVეს. საცხოვრებელი სახლიც კი დაუყადაღეს. იქედან მოყოლებული ძასოხოვი საქართველოში ჩამოსვლას ვერ ახერხებს.

— მე მქონდა არჩევანი — შემენარჩუნებინა ბიზნესი, მაგრამ დამეკარგა ღირსება, ან მიმეღო ღირსეული გადაწყვეტილება და დამეკარგა არა მარტო ბიზნესი გამომაქვს ჩემი გულისთქმა თქვენს სამსჯავროზე. ვწუხვარ, რომ ეს წერილით მიწევს, რადგან უკვე ოთხი წელია, რაც საქართველოში არ ვიმყოფები და დღემდე წართმეული (ამ სიტყვის ზუსტი გაგებით) მაქვს ჩამოსვლის უფლებაც. არ მინდა შთაბეჭდილება დაგრჩეთ, რომ ეხლა ვბედავ პრინციპულ საუბარს. 2009 წლის თებერვალში, მაშინ, როცა ძნელი იყო ამის გაკეთება, საჯაროდ მივმართე საქართველოს პრეზიდენტს: „პრეზიდენტო, ნუ შეურაცხყოფთ ერს!“. მიმართვა 20 თებერვალს დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. მე მაშინ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ყველა ერის წარმომადგენელს, ყველა ადამიანს, ვისთვისაც სულერთი არ იყო ქვეყნის ბედ-იღბალი, მისი მომავალი — გულახდილად ვუთხარი ჩემი პოზიცია. მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიტან ამ მიმართვიდან:

„ბატონო პრეზიდენტო, მე არ ვარ ის ადამიანი, საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანო ჩვენს შორის პირისპირ, კერძო საუბრების დროს თქვენს მიერ „გაჟღერებული“ აზრები და ამით მავანს სენსაციური აღმოჩენების, სკანდალური სჯა-ბაასის საშუალება მივცე. ერთს კი გეტყვით და მოგიწოდებთ, სანამ ჯერ კიდევ არის დრო, დრო შემობრუნებისა სიკეთისკენ, იპოვოთ ძალა საკუთარ თავში, როგორც პიროვნებაში და მიიღოთ ღირსეული გადაწყვეტილება თქვენთვის, ასევე ქვეყნისთვის და გადადექით...“

არც მაშინ მქონდა იმის ილუზია და არც ეხლა მაქვს იმის იმედი, რომ პრეზიდენტი ამას გააკეთებს, რადგან ეს მხოლოდ ძლიერთ ძალუძთ და არა ძალაუფლებაზე შეყვარებულთ, სახელისუფლებო სკამზე მიკერებულთ, როგორიც ის გახლავთ და სწორედ ეს არის საქართველოს უბედურება, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ საჭირო უამრავი რეალური პროგრესული იდეის რეალიზაციის შემაფერხებელი.

ეს რა გვჭირს, მოაზროვნე და ტვინით გატენილი ადამიანების ქვეყანაში ყველაფერს ერთ კაცს ვწირავდით და სამწუხაროდ, ეს დამანგრეველი განწყობა დღესაც არ არის დაძლეული.

ამ დღეებში არაერთი ჟურნალისტი მთხოვს, უამრავი კეთილისმსურველი მირჩევს სინათლე მოვფინო და ხალხის სამსჯავროზე გამოვიტანო ის ბარბაროსობა, რაც ჩემს ბიზნესთან დაკავშირებით ჩაიდინა პრეზიდენტმა და მისმა პოლიტიკურმა გუნდმა. დიდი მადლობა მათ ასეთი განწყობისა და დაინტერესებისათვის.

სათქმელი, მართლაც, ბევრი მაქვს. მაგრამ მე არ ვაპირებ ბოლშევიკური მეთოდებით წართმეულ ბიზნესზე საუბარს, არც იმ ადამიანებზე, რომლებიც, მინდა ვიფიქრო, შეცდომაში შეიყვანეს და უსირცხვილოდ გადაუფორმეს ჩემი საკუთრება. ამას, დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთ ადვოკატები გააკეთებენ და არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ პროკურატურა სამართლიანად გამოიძიებს და სასამართლოც სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. მხოლოდ ერთს დავაკონკრეტებ: ბარბაროსულად ჩემს ბიზნესს კი არა, ჩემს ოჯახს, ჩემი ოჯახის ცხოვრების წესს მოექცნენ. ჩემს მეუღლესთან და ხუთ შვილთან ერთად იძულებული გამხადეს ქვეყნიდან გადავხვეწილიყავი.

ჩემთვის დღეს მთავარი ის კი არ არის, რომ მე ბიზნესი წამართვეს, არამედ ის, რომ უამრავ ქართველს, ოსს, აფხაზს, საერთოდ საქართველოს მოქალაქეს — წაგვართვეს საქართველო. დღეს ჩემთვის როგორც საქართველოში მცხოვრები ყოველი მოაზროვნე ადამიანისთვის, მთავარია ამოიძირკვოს ის დამანგრეველი სისტემა, რომელიც წარმოუდგენელი სისასტიკით ებრძვის ხალხს, ქვეყანას, ადამიანს, ღირსებას.

ამ მრავალწლიანმა პროცესმა ბევრ რამეზე დამაფიქრა. ბევრი რამ მასწავლა, მაჩვენა რას ნიშნავს სახელისუფლებო ცინიზმი და ამის პარალელურად პიროვნული ტრაგედია და ტკივილი.

ცინიზმია, როცა ხელისუფალი მორჩილებას გთხოვს ბიზნესის კეთების უფლებისათვის. ეს ქვეყნის ნგრევასაც ნიშნავს.

ტრაგედიაა, როცა შენ იქცევი ღირსეულად — არ კარგავ თავისუფლებას და ამისათვის ისჯები: კარგავ ყოველგვარ მატერიალურს და არა მარტო ბიზნესს.

ისტორიამ არ იცის და დედამიწის ზურგზე არ არსებობს უფრო დიდი კორუფცია, ვიდრე ხელისუფლების კეთილგანწყობით ვაჭრობა. კორუმპირებული ხელისუფლება ყიდის კეთილგანწყობას, ვინც ყიდულობს, მდიდრდება, მაგრამ ღირსებას კარგავს. ვინც არ ყიდულობს — ღირსებას ინარჩუნებს, მაგრამ კარგავს ყველაფერს.

კაცობრიობის ისტორია იმასაც ადასტურებს, რომ ძლიერი ის ქვეყნებია, სადაც ბიზნესში და ბიზნესმენში ღირსებაა გაბატონებული.

მე მქონდა არჩევანი: შემენარჩუნებინა ბიზნესი, მაგრამ დამეკარგა ღირსება, ან მიმეღო ღირსეული გადაწყვეტილება, მაგრამ დამეკარგა ბიზნესი და არა მარტო ბიზნესი. მე მეორე ავირჩიე. ვამაყობ ამით.

ვამაყობ იმით, რომ ჩემთვის მთავარი იყო, არის და იქნება ქართველთა და ოსთა ძმობა და არა სამხრეთ ოსეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტი, თუ საქართველოს პარლამენტის წევრობა ლიახვის ხეობიდან და ამით ჩემი ბიზნესის არა მარტო შენარჩუნება, არამედ განუსაზღვრელი განვითარების შესაძლებლობის მიღება.

საშინელებაა, როცა ქვეყანას ჰყავს პრეზიდენტი, რომელიც ვერ იტანს თავისუფალ და წარმატებულ ადამიანს, რომლისთვისაც წარმატებულობის საზომი მისდამი მორჩილება და მონური ერთგულებაა.

გმირი მიწოდა — მორჩილებას ელოდა. ვერ მიიღო — გამწირა. გამწირა იმის გამო, რითაც დღეს ვამაყობ. მე უარი ვთქვი არა უბრალოდ თანამდებობაზე, არამედ უაზრობა ვუწოდე სამხრეთ ოსეთის მეორე მთვრობის შექმნის იდეას, ვთქვი, რომ ვისთვის ვქმნით იმას, რაც არც საქართველოსთვის, არც ქართველების და არც ოსებისთვის არ არის კარგი-თქო. ხალხმა განსაჯოს, სწორი ვიყავი თუ არა. ხალხმა განსაჯოს, სწორი ვიყავი თუ არა იმაში, რომ უაზრობას ვეძახდი ქუჩა-ქუჩა „კოკოითი ფანდარასტ“-ის ძახილით სიარულს. ვთვლიდი, რომ ამით კოკოითს ხელისუფლებაში ყოფნას ვუხანგრძლივებდით, ქართველთა და ოსთა გარედან ინსპირირებულ დაპირისპირებას კიდევ უფრო ვაღრმავებდით.

ერთ დღეში გმირად, წარმატებულ ბიზნესმენად და მეცენატად წოდებული — შერისხული გავხდი. პრეზიდენტის რისხვა სისრულეში მოიყვანეს მისმა მორჩილებმა. გენერალურმა პროკურორმა ადეიშვილმა თქვა: — „გოჩა ძასოხოვის მხოლოდ გვარს დავტოვებთ საქართველოშიო“ და თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილის კაბინეტში გამომიცხადეს განაჩენი — „გადააფორმე შენი ბიზნესი ჯოზეფ ქეი-ზე.“ ამოქმედდა პრეზიდენტის მორჩილი სასამართლო სისტემა — დაუსწრებლად განაჩენი გამომიტანეს, რომელზეც შემდგომ 9 წელი დამიმატეს საკუთარი, ანუ ჩემი სახლის შესყიდვის მცდელობისთვის.

საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ხელისუფლების მსახვრალ ხელს ყოველთვის ვგრძნობდი. დღემდე ამოუხსნელ ქმედებად მიმაჩნია რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოს სპეცსამსახურების მოთხოვნით სოჭში ასამბლეის დაფუძნებისას აეროპორტში რუსეთის მოქალაქე ორი ქართველი დელეგატის დაკავება, რომლებიც წლებია თავისუფლად გადაადგილდებოდნენ როგორც რუსეთში, ასევე რუსეთიდან უცხოეთში. მეორე ფაქტიც: ბევრ ეჭვს ბადებს ერთი წლის წინ ასამბლეასთან ურთიერთობის გამო ერთი კეთილი კაცის დაპატიმრება, ასევე ორჯერ ფეესბეს მიერ ასამბლეის ოფისში ჩატარებული მასშტაბური ჩხრეკა.

ყველაფერი ეს ისეთი ცინიზმითა და სისასტიკით მოხდა, თვითონაც მინდა დავივიწყო. დაე უფალმა განსაჯოს. მე კი თავს ვალდებულად ვთვლი, ბოდიში მოვუხადო ყველას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ვინც ჩემს გამოააწიოკეს, ხელოვნური პრობლემები შეუქმნეს, სასტიკად დასაჯეს. მე ვალში ვარ მათ წინაშე, მათი ოჯახების წინაშე. მე ვლოცულობ მათთვის.

ჩემს მსგავს სიტუაციაში საქართველოში უამრავი აღმოჩნდა და ეს ქვეყნის ტრაგედიაა. ალბათ, ბევრმა გაუძლო და არ გაბოროტდა. ჩემთვისაც ეს იყო მთავარი, არ გავბოროტებულიყავი და ჩემს ოჯახთან ერთად საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ დავრჩენილიყავი მადლიერებით, — წერს ძასოხოვი თავის ღია წერილში.

თავის წერილში ძასოხოვი პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 2009 წელს დაფუძნებული „საქართველოს ხალხთა ასამბლეაზეც“ საუბრობს.

ამ ასამბლეაზე სკანდალური განცხადება გააკეთა ალექსანდრე ებრალიძემ. იმ პერიოდში თბილისში ოპოზიციის საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა. ებრალიძის ნათქვამის სათავისოდ გამოყენება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

ღია წერილში ძასოხოვი სხვადასხვა შეხვედრებსაც იხსენებს და იმედოვნებს, რომ საქართველოში მშვიდობა დაისადგურებს.

— მარტივი რამ არის საჭირო, რომ არ იყო შენი ქვეყნის მტერი: გიყვარდეს შენი ხალხი და ქვეყანა, უარი თქვა სიძულვილის ენაზე, ეყრდნობოდე ბიბლიურ ჭეშმარიტებას: „გიყვარდეს მტერი შენი“, შეგეძლოს შენდობა და მონანიება.

შენდობისა და მონანიების გარეშე საქართველოს, საერთოდ კავკასიის შვილებს არ გვაქვს მომავალი. სიძულვილის ენაზე მოლაპარაკე არც ერთ ადამიანს, მით უფრო პოლიტიკოსს და კიდევ უფრო, ამ ენაზე მოლაპარაკე ხელისუფლების ქვეყანას არ აქვს მომავალი.

სიძულვილის ენის შედეგია 2007 წლის 7 ნოემბერი, 2008 წლის 8 აგვისტო, 2011 წლის 26 მაისი. სიყვარულის ენამ მოიტანა 2012 წლის 1 ოქტომბერი.

საქართველო რომ მომავლის ქვეყანაა, ეს დაადასტურეს საქართველოს მოქალაქეებმა, ქართველმა ხალხმა, საქართველოში მცხოვრებმა ოსმაც, აფხაზმაც, სომეხმაც აზერბაიჯანელმაც, რუსმაც, ებრაელმაც პირველ ოქტომბერს, როდესაც უარი უთხრეს სიძულვილის ენაზე მოლაპარაკე ხელისუფლებას.

იმედიანად ვარ. საქართველოში ტრადიციული სიყვარული ბრუნდება, ადამიანთა ურთიერთობები თბება, იმედი ძლიერდება.

ბიძინა ივანიშვილმა საოცარი გონიერებით წარმართა ის პროცესი, რომლის გამოცდილებაც საერთოდ არ ჰქონდა და მოიგო არჩევნები და დღეს იმის კეთების დრო მოიყვანა, რაც კარგად იცის, რაშიც წარმატებულია... ეჭვი არ მეპარება, რომ სამართლიანობა აღდგება, საქართველო დემოკრატიის გზით ივლის, ადამიანი თავისუფალი იქნება. თავისუფალ ადამიანთა ერთობას კი სასწაულის მოხდენა შეუძლია. მწამს და მჯერა, რომ საქართველოს მომავალიც ეს არის“, — აღნიშნულია წერილში.

გაქცეული ბიზნესმენი სამშობლოში ალბათ უახლოეს მომავალში დაბრუნდება. აქ დაბრუნებული ალბათ ბევრ საინტერესო განცხადებას გააკეთებს. მან ბევრი რამ იცის და ბევრი რამისთვის შეუძლია ნათელის მოფენა.

საინტერესოა რა ხასიათზე არის ის ხალხი, ბინც მისი ქონება გადაიფორმა. ამ ქონების დაბრუნებისთვის გოჩა ძასოხოვი აქტიურ ბრძოლას დაიწყებს. წლების წინ მან გააფრთილა ყველა არ ეყიდათ მისი ბიზნესი, რადგანაც ის ამ ქონების დაბრუნებისთვის იბრძოლებდა.

# თავისუფალი საქართველო“ განათლების მინისტრს უპირისპირდება

თეა მარხვაიძე

განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი შარში გაეხვია. მისი განცხადებით,

იგეგმება სწავლის გადასახადის გაძვირება, რათა მოხდეს განათლების ხარისხის და მიღებული ცოდნის რენტაბელურობის გაზრდა.

ამ განცხადებამ ერი აღაშფოთა. ნაციონალები მოსახლეობას უკვე ნიშნისმოგებით ესაუბრებიან. საგანგებო განცხადება გააკეთა პარტიამ „თავისუფალი საქართველო“. პარტიის პოლიტიკური და გენერალური მდივნები მარგველაშვილს საგანგებოდ მიმართავენ.

— გარდა იმისა, რომ განათლების ხელმისაწვდომობა ფართო ფენებისთვის და გადასახადის გაიაფება „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირებას წარმოადგენდა, სწავლის საფასური საქართველოში ისედაც არაადექვატურად მაღალია. მისი კიდევ უფრო გაძვირება გამოიღებს შედეგს, როცა განათლების მიღება შეეძლებათ მხოლოდ მდიდარი ფენის წარმომადგენლებს, ხოლო ახალგაზრდების 90% ვერ შეძლებს დაწესებული თანხის გადახდას და დარჩება უმაღლესი განათლების გარეშე. მარტივი სტატისტიკაც ცხადყოფს, რომ ყველაზე უფრო ნიჭიერი, სწავლისთვის მოტივირებული და მონდომებული ახალგაზრდები, სწორედ ღარიბი ფენიდან გამოდიან და ამ ხალხისთვის განათლების ხელმიუწვდომლობა, დაუშვებელია, — აცხადებენ თენგიზ ომანიძე და ალეკო შალამბერიძე.



მათი თქმით, თუკი მინისტრის ლოგიკას მივყვებით, მაშინ გაუგებარია საერთოდ რატომ უნდა არსებობდეს მისაღები გამოცდები.

— გამოცდის აზრი ისაა, რომ სწავლის შესაძლებლობა მისცეს აბიტურიენტთა ნიჭიერ და უკეთ მომზადებულ ნაწილს. ხოლო თუკი საქართველო გადადის აშშ-სა და სხვა მსგავსი ტიპის ქვეყნების სისტემაზე, სადაც უმაღლესი განათლების მისაღებად ნიჭი და მონდომება კი არა ფულია მთავარი, მაშინ მისაღები გამოცდების არსებობა აზრს კარგავს და უმჯობესია პირდაპირ დაწესდეს პრინციპი — ვინც ფულს იხდის, ის სწავლობს, — მიაჩნიათ პარტიაში.

მათი განმარტებით, საქართველოს აქვს გამოცდილება, როცა სააკაშვილის პერიოდში სწავლის საფასური რამდენიმე ეტაპად და რამენჯერმე გაიზარდა, თუმცა ამას არ მოჰყოლია განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

— ბატონი მარგველაშვილის მიდგომები უფრო წააგავს ეკონომიკის მინისტრის მიდგომებს, რადგან განათლების სისტემისგან განსხვავებით, ეკონომიკაში უმთავრესი სწორედ ფინანსური სარგებლის ნახვაა, ხოლო განათლებისგან მიღებული დივიდენდი — განათლებული თაობა და პროფესიონალი ახალგაზრდების აღზრდა უნდა იყოს და არა სახელმწიფოსთვის თუ კერძო უნივერსიტეტებისთვის შემოსავლის გაზრდა.

მივიჩნევთ, რომ სწავლის საფასურის გაძვირების ნაცვლად, უნდა გაიზარდოს 100%-ით დაფინანსებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა. 2003 წლამდე დაახლოებით 10.000 სტუდენტი იღებდა სახელმწიფოსგან სრულ დაფინანსებას. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს რიცხვი 1000-მდე შემცირდა. ახალი ხელისუფლებისგან საზოგადოების მოლოდინი ამ საკითხში, სწორედ ამგვარი პრობლემების მოგვარებაა, რაც ნამდვილად გაზრდის განათლების ხელმისაწვდომობას ფართო ფენებისთვის, — აცხადებენ ომანიძე და შალამბერიძე.

# გრძელვადიანი ბრძოლის სამზადისი

**გასულ კვირაში ნატოს გენერალური მდივნის, რასმუსენის მიერ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, რაც საპარლამენტო უმცირესობამ ქვეყნის კოლაფსის დასაწყისად შეაფასა და რამაც ქართველი საზოგადოებრიობის დიდი გულისწყრომა გამოიწვია, საქართველოს პროკურატურა ხმაურიან დაკავებებს კვლავ ახორციელებს.**



ეს ფაქტი მორალური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა „ნაციონალური მოძრაობის" მომხრეებზე ნეგატიურად აისახება და მათ შორის „ქართულ ოცნებასთან" მიმავალი გზების მაძიებელთა რიცხვს მნიშვნელოვნად გაზრდის, მითუმეტეს, რომ რასმუსენი ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ აბსოლუტურად განსხვავებულ ნოტაზე ალაპარაკდა.

ბრიუსელში პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ერთდროულმა ვიზიტმა საზოგადოება კიდევ ერთ რამეში დაარწმუნა: უცხოეთში ვიზიტის დროს მიხეილ სააკაშვილის ჩვეულ სტილს, რაც ქვეყნის მიღწევებზე საუბრით, რუსეთისგან ჩასაფრებული მტრის ხატის შექმნით და ბოლო დროს პოპულარული „პოლიტიკური ანგარიშსწორების" ფაქტების ტირაჟირებით გამოიხატებოდა, უკვე გასავალი აღარ აქვს. უფრო მეტიც, აშკარად იკვეთება, რომ სააკაშვილი ავტორიტეტს საქართველოში, ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერთა შორისაც კარგავს. ეს ჯერჯერობით მხოლოდ შიდა სამზარეულოში ჩახედული ადამიანებისთვისაა ცნობილი, ვინაიდან ამის სააშკარაოზე გამოტანა „ნაციონალური მოძრაობის" გუნდის საბოლოო დაშლას ნიშნავს და თუ ეს გუნდი დღესდღეობით ერთიანობას ისევ ინარჩუნებს, ეს საერთო დანაშაულის განცდის დამსახურებაა, ანუ „ნაციონალური მოძრაობის" ზემო ეშელონებში, კარგად აცნობიერებენ, რომ ნებისმიერი მათგანის პასუხისმგებლობის საკითხი ნებისმიერ დროს შეიძლება დადგეს. აქედან გამომდინარე, ისინი ამ ეტაპზე ერთად დგომის და სოლიდარობის მნიშვნელობასაც კარგად აცნობიერებენ, თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა, გარანტიების მიღების შემთხვევაში დიდი სიამოვნებით დაემშვიდობება ამ გუნდს და მოიხსნის თუნდაც იმ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის ვალდებულებას, რასაც ნაციონალების წევრთა უმრავლესობა დღემდე დგამს.

„ნაციონალური მოძრაობის" წევრთა მიერ ბანაკის დატოვების კიდევ ერთი მოტივაცია, პრეზიდენტის შესაძლო პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაა. ამის შესაძლებლობა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ უცხოურ გამოცემასთან ინტერვიუში არ გამორიცხა. კონკრეტულად კი, ივანიშვილის განცხადებით მას სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების არავითარი სურვილი არ აქვს, რადგან ეს დასავლეთის თვალში შესაძლოა სხვაგვარად იქნას აღქმული, თუმცა პრემიერი ასევე აცხადებს, რომ ის ვერც იუსტიციის მუშაობას დააბრკოლებს. ანუ, არ გამოირიცხება, რომ თუ ამის საჭიროება იქნება, მთავარ პროკურორს და იუსტიციის მინისტრს შესაძლებლობა ექნებათ მიხეილ სააკაშვილი დაკითხონ, ან მის მიმართ უფრო მკაცრი სამართლებრივი ქმედებები გაატარონ. სავარაუდოდ ეს დამოკიდებული იქნება თავად სააკაშვილის შემდგომ მოქმედებებზე. თუ პრეზიდენტი იმ ცილისმწამებლური რიტორიკით ეცდება ფონს გასვლას და პოლიტიკურ რეაბილიტაციას, რისი მცდელობაც მას ბრიუსელში ჰქონდა, სავარაუდოდ მისით ქართული სამართალდამცავი უწყებები მალე დაინტერესდებიან. სწორედ ამის შიშით აიხსნება სააკაშვილის ბოლოდროინდელი პათოსი ხელისუფლების მიმართ კონსტრუქციული თანამშრომლობის მოწოდების შესახებ, თუმცა საქართველოში ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც პოლიტიკაში ასე თუ ისე ჩახედულია, კარგადაა ცნობილი, რომ მიხეილ სააკაშვილის მოწოდებებზე დათანხმება ან მისი ნდობა, უკვე, მინიმუმ პოლიტიკურ სიბეცედ შეიძლება ჩაითვალოს. არც იმაში ეპარება ეჭვი ვინმეს, რომ პრეზიდენტი, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში ეცდება ნებისმიერი ფორმით დარტყმა მიაყენოს ახალ ხელისუფლებას, თუ რა თქმა უნდა ამის შესაძლებლობა მიეცემა.

ხოლო იმ ფაქტზე, რომ ყოფილი ხელისუფლება და მათი ლიდერი გრძელვადიანი ბრძოლისთვის ემზადებიან და საჭიროების შემთხვევაში არც აკრძალული ილეთების გამოყენებაზე იტყვიან უარს, ქართულ ტელებაზარზე არსებული, ჯერ კიდევ დაულაგებელი და გაურკვეველი გადანაწილების პროცესები მეტყველებს. როგორც ადრე ვწერდით, მიხეილ სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ" ყველაზე კარგად იციან ტელევიზიის ძალა და ყველა ღონეს იხმარენ ტელეარხების შესანარჩუნებლად. იგულისხმება ტელეკომპანია „რუსთავი 2", რომლის წილებიც გასულ კვირაში კიდევ ერთხელ გადათამაშდა და რომელსაც სათავეში ახალი დირექტორი ჩაუდგა. მიუხედავად, იმისა, რომ აღნიშნული ტელეკომპანიისთვის დღეს რამდენიმე სუბიექტი იბრძვის, „ნაციონალური მოძრაობა" მაქსიმალურად ცდილობს წილების გადანაწილების დაუსრულებელი პროცესით სამართლებრივად, მაქსიმალურად გაართულოს საქმე, იმ შემთხვევისთვის, თუ ტელეკომპანიის მფლობელობის კანონიერებას სასამართლო ან ძალოვანი უწყებები ეჭვქვეშ დააყენებენ. ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ს ემატება ყოფილი ტელეკომპანია „საქართველო"-ს სიხშირე, რომლის საინფორმაციო პოლიტიკის მიმართულება ძნელად პროგნოზირებადი ნამდვილად არაა. კიდევ ერთი სიახლე ქართულ ტელესივრცეში, ეს ე.წ. „ახალი არხის" კომედიური ტიპის არხად გარდაქმნაა. საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, სატირა და იუმორი ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო და ეფექტური საშუალებაა, რითაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე ძალიან ეფექტური დარტყმის მიყენებაა შესაძლებელი. სხვათა შორის, იუმორი, როგორც ბერკეტი, საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს დალესის დოქტრინაშიც. როცა ეს უკანასკნელი საუბრობს ღირებულებებისა და ეროვნული ფასეულობების მქონე ადამიანების დისკრედიტაციაზე, მათ დასამარცხებლად, როგორც ერთ-ერთ მძლავრ იარაღს, სწორედ იუმორს ასახელებს. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს ახლო ისტორიიდანაც შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე ფაქტი, როდესაც იუმორისტთა სწორედ იმ ჯგუფმა, რომლებიც ახალი კომედიური არხის ხელმძღვანელები და სახეები იქნებიან, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის იმიჯზე სერიოზულად იმოქმედა და მათ მიმართ საზოგადოების განწყობა მნიშვნელოვნად განაპირობა. ასე, რომ ყოფილი ხელისუფლების ხელში, საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არხებზე არანაკლებ ეფექტური, შეიძლება ახალი კომედიური არხი აღმოჩნდეს.

ფაქტიურად უკვე ნათელია, თუ რა საინფორმაციო მიმართულებას აირჩევს ტელეკომპანია „რუსთავი 2" იმ შემთხვევაში, თუ მისი მეპატრონეების და მენეჯმენტის კუთხით არაფერი შეიცვლება. ეს იქნება სოციალურ თემაზე ორიენტირებული საინფორმაციო არხი, რომელიც ეცდება მაქსიმალურად მკვეთრ ფერებში წარმოაჩინოს ქვეყანაში არსებული სოციალური მგდომარეობა. ამ მიმართულებით არხი განსაკუთრებით, სავარაუდოდ მომავალი წლიდან გააქტიურდება. რაც შეეხება რესპონდენტებს, არხის რესპონდენტთა უპირატესი რაოდენობა იქნება სოციალურად უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობა, რომლებიც არსებული ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამენ. გამოერევა რესპონდენტები, რომლებიც იტყვიან, რომ „ქართულმა ოცნებამ" მათ იმედები გაუცრუა. ყოველივე ამის მიზანმიმართულად და ჭკვიანურად განხორციელება კი, რისი რესურსი და გამოცდილებაც „რუსთავი 2"-ს ნამდვილად აქვს, სერიოზულ გავლენას მოახდენს საზოგადოების განწყობაზე. არცერთ გადაცდომას ეს არხი ხელისუფლების თუნდაც ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფ ჩინოვნიკსაც კი, არ აპატიებს და ამ გადაცდომის ფონზე მაქსიმალურად ეცდება შეფარვით ყოფილი ხელისუფლების უპირატესობა წარმოაჩინოს.

ჯერჯერობით, კი იქედან გამომდინარე, რომ ახალი ხელისუფლების მიმართ მხარდაჭერა და მოლოდინი საზოგადოების მხრიდან ძალიან დიდია, ეს არხი არცთუ ეფექტურად ახორციელებს თავის ამოცანებს.

ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები სათანადო პროპაგანდის გაშლას ვერ ახერხებენ, ეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, კონკრეტულად კი ძალოვან უწყებებში მოსული პირველი პირების აშკარა კომპეტენცია დ თავდაჯერებულობაა. ზოგადად თავდაჯერებულობას ორი ფაქტორი – დიდი სიბრიყვე ან დიდი პროფესიონალიზმი განაპირობებს და თუ საზოგადოება შეჩვეული იყო თავდაჯერებულობის პირველი მიზეზით გამოვლინებას, საქმე ამჯერად სხვა მოვლენასთან გვაქვს. ამას ხალხი აცნობიერებს და სწორედ ესაა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რაც გარდამავალ პერიოდში ახალი ხელისუფლებისადმი ნდობას განაპირობებს.

ნდობა, როგორც აღვნიშნეთ ახალ ხელისუფლებას საკმაოდ მაღალი აქვს, რასაც ემატება მის მიერ გადადგმული პოპულარული ნაბიჯები, ანუ სამართლიანობის აღდგენის მცდელობა. ამ შემთხვევაში ხელისუფლების ქმედებები ხალხის პოზიციას აბსოლუტურად ემთხვევა, უფრო მეტიც, ხალხი კიდევ უფრო რადიკალური და მკაცრი გადაწყვეტილებების მომხრეა, თუმცა ხალხის დაკვეთის სრულად შესრულება შეიძლება კანონის ჩარჩოებს გასცდეს. ამიტომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა ეცადონ გაუძლონ ამ ცდუნებას და არ გადადგან მოკლევადიან პოპულარობაზე გათვლილი ნაბიჯები. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ 9 წლის წინ, საზოგადოების დიდი ნაწილი ასევე პოზიტიურად ხვდებოდა საძინებელში, საცვლებისამარა მყოფი ხალხის ტელეკამერების წინაშე დაჭერებს თუ სამუშაო კაბინეტში მისული მინისტრის სპეცოპერაციით დაკავებას. სწორედ ეს ფაქტები იყო ერთ-ერთი პირველი, რითაც ყოფილი ხელისუფლება კანონის ჩარჩოებიდან აშკარად გავიდა.

ასეა თუ ისე, ხალხის დაკვეთა სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით სრულდება და რაც მთავარია ის ჯერჯერობით ყველა იმ მოთხოვნას პასუხობს, რაც ცივილიზებულ სახელმწიფოს მოეთხოვება. თუმცა ამის შემდეგ ხალხი ხელისუფლებას კონკრეტულ სოციალურ შედეგს მოსთხოვს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათ ეს შედეგი საკუთარ თავზე ვერ იგრძნო, მივიღებთ მასას, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერი არხებისთვის საუკეთესო რესპონდენტები აღმოჩნდებიან. ჯერჯერობით ხალხი კვლავ უკეთესი მოლოდინის იმედით ცხოვრობს. თუ საზოგადოება თუნდაც მცირე სოციალურ შეღავათს იგრძნობს უკვე ახალი ბიუჯეტის ამოქმედების შემდეგ, ეს ახალი ხელისუფლებისთვის საკმაოდ დიდი დივიდენდი იქნება.

გარდა სოციალური შეღავათებისა, ხალხის მოთხოვნაა დაუბრუნდეს განცდა, რომ მას საკუთარ ქვეყანაში უკანონოდ, ვინმეს ინტერესების გამო აღარ დაიჭერენ. ამისთვის კი პირველ რიგში იმ პატიმრების გათავისუფლებაა საჭირო, ვინც ბოლო წლების განმავლობაში სწორედ პირადი ინტერესების გამო იყო დაპატიმრებული. გიორგობის დღესასწაულისთვის დაგეგმილი შეწყალება ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა განსაკუთრებით საყურადრებოა პოლიტიკური ნიშნით დაკავებულ თუ დევნილ პირთა გათავისუფლება-რეაბილიტაციის საკითხი. რაც უფრო მალე გათავისუფლდებიან პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანები საპყრობილეებიდან, მით უფრო მალე დაბრუნდება საზოგადოებაში სამართლიანობის განცდა, რაც ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას შეუწყობს ხელს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არანაკლებ რთული შესასრულებელია, ესაა ქონებრივი სამართლიანობის აღდგენა, რომელიც გასული წლების განმავლობაში, ასევე კერძო პირების ინტერესს ეწირებოდა.

ეს პროცესი, გარდა იმისა, რომ იურიდიული თვალსაზრისით, იუველირის სიზუსტით მოქმედებას მოითხოვს, დიდ ფინანსურ რესურსებსაც საჭიროებს. მარტივი მაგალითისთვის, თუ ერთ პიროვნებას რაიმე ფორმით ჩამოართვეს ქონება და ეს ქონება მიჰყიდეს მეორე პიროვნებას, მაშინ ამ პიროვნებებს შორის დავა სახელმწიფო რესურსის დახმარებით უნდა გადაწყდეს, ვინაიდან პირი, რომელსაც ქონება ჩამოართვეს, რა თქმა უნდა მოითხოვს თავისი ქონების დაბრუნებას, ხოლო პირი, რომელმაც ეს ქონება იყიდა და მასში ფული გადაიხადა, რა თქმა უნდა მას არ დათმობს. ასეთ შემთხვევაში, ალბათ ყველაზე სამართლიანი იქნებოდა რომ თავის დროზე სახელმწიფო ინსტიტუციების ხელმძღვანელების მიერ ჩადენილი სავარაუდოდ უკანონო ქმედებები ისევ სახელმწიფომ გამოასწოროს, რაც სათანადო მატერიალური კომპენსაციით შეიძლება მოხდეს. მატერიალური კომპენსაცია კი, სახსრებს მოითხოვს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს ძალიან მძიმე ტვირთად შეიძლება დააწვეს, უფრო სავარაუდოდ კი, სახელმწიფო ბიუჯეტი ამას ვერ შეძლებს. ასეთ შემთხვევაში რჩება ერთადერთი გამოსავალი. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს იმ პირების პასუხისგებაში მიცემა და მათი ქონების კონფისკაცია, ვინც ამ პერიოდის განმავლობაში ე.წ. „ელიტარული კორუფციის" სათავეებთან იდგა, ხოლო კონფისკაციის შედეგად ამოღებული თანხებით დააკამყოფილოს მოდავე მხარეები სათანადო კომპენსაციით ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

აქედან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, დღეს საქართველოში ყველაზე დიდი მუშაობაა ჩასატარებელი და როგორც ზემოთ ვთქვით, ზოგიერთი მედიასაშუალების დაკვირვების, ასევე საერთაშორისო საზოგადოების დიდი ინტერესის გათვალისწინებით, ქართულ სამართალდამცავ ორგანოებს მაქსიმალური სკულპულოზულობა მართებთ, რადგან სამართლიანობის აღდგენის პროცესმა არამც და არამც რევანსისტული ელფერი არ უნდა მიიღოს.

**ალექსანდრე კაპანაძე**
**ნიუსპრესი**

## გამოიცა როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია „ხანი უნდობარი"

საბჭოთა ეპოქაში ქრისტიანული რწმენისა და სამღვდელოების დევნა-შევიწროებამ უკიდურესობას მიაღწია. ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმი მიზანმიმართულად ცდილობდა ამ რწმენის აღმოფხვრასა და მის სანაცვლოდ მარქსისტული რელიგიის დამკვიდრებას. ამ დაუნდობელი ბრძოლისას ხელისუფლებამ იარაღად გამოიყენა მწერლობაც და კინემატოგრაფიც. არაერთმა მწერალმა თუ რეჟისორმა, ზოგმა შიშით და ზოგმაც კარიერისტული მისწრაფებითა თუ კეთილდღეობის ჟინით მიიღო მონაწილეობა ღვთის რწმენისა და სამღვდელოებისათვის სახელის გატეხვასა და გაპამპულებაში.

თუმც, ცხადია, იყვნენ ის მწერლებიც, რომელნიც თავგანწირვით დაუდგნენ გვერდით ქრისტიანულ მოძღვრებასა და სასულიერო პირებს და სცადეს მათი სახელისა და ავტორიტეტის დაცვა ათასგვარი სიცრუისა და ცილისწამებისაგან, და შეინარჩუნეს მკრთალი, მაგრამ მაინც ნაკადი ღვთის რწმენის გაღვივებისა, ამასთან, მღვდელთა მოღვაწეობის სიძნელენი და დრამატიზმიც მეტ-ნაკლებად გაათვალსაჩინოეს.

როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიაში „ხანი უნდობარი", რომელსაც ავტორი ლიტერატურულ-რელიგიურ ცდას უწოდებს, სწორედ ეს ვითარებაა წარმოჩენილი მიუკერძოებლად და შთამბეჭდავად – საქართველოს ეკლესიისა და სასულიერო მოძღვრის ბედი ჩვენს XX საუკუნის ლიტერატურასა და კინემატოგრაფში.

მონოგრაფია გამოსცა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარეს ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. რედაქტორია აკაკი მინდიაშვილი, რეცენზენტი – დეკანოზი გიორგი გუგუშვილი, მხატვარი – მალხაზ იაშვილი.

როგორც ავტორმა განაცხადა ჩვენთან საუბრისას: „ხანი უნდობარი" პირველად 2004 წელს გამოიცა და იმ ინტერესმა, რაც მოჰყვა წიგნს რეცენზიებისა და განხილვების სახით თბილისსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში, ძალდაუტანებლად გამოიწვია მისი ხელახლა გამოცემა, თუმც ამ წლების მანძილზე მას დაუგროვდა კიდევ არაერთი ახალი ცნობა თუ მასალა და მონოგრაფია საგრძნობლად შეივსო. ამასთან, დამატებაში თავმოყრილია ის გამოხმაურებანი, რაც ჯერჯერობით წილად ერგო ამ წიგნს.

ეს იმ ყაიდის მონოგრაფიაა, რომ მოსალოდნელია წლების კვალობაზე კიდევ შეივსოს, ყოველ შემთხვევაში ამ სახითაც ის არის სრულიად ახალი სიტყვა და ძიებათა ეს მიმართულება არაერთ მკვლევარს გაიყოლიებს.

როგორც მაკა ჯოხაძე აღნიშნავს წიგნისათვის დართულ ესეიში „ჩვენი ბრძოლის ველი": „თავისი აქტუალური სიდინჯით მისი წიგნი უფრო ბიბლიური მდინარის მშვიდ ტალღებს გამოყოლილ კალათს წააგავს, რომლის წიაღშიც მარადიული ჩვილივით ჩაწოლილა სიტყვა. ამ სიტყვისათვის კი მხოლოდ ნამდვილი მებადურები ირჯებიან და ფხიზლობენ... ამ მონოგრაფიაში არაჩვეულებრივი სისავსითა და პირუთვნელობით წარმოჩინდა ის ტრაგიკული პროცესები, რაც თავის დროზე ქართული სამღვდელოების წიაღში, ქართულ-მართლმადიდებლური ეკლესიის გარშემო დატრიალდა და, რაც მთავარია, სკრუპულოზურად და მაღალპროფესიულ დონეზე გაანალიზდა აქამდე სრულიად შეუსწავლელი თემა..."

ამ შინაარსისა და რანგის წიგნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარსულის მართალი სურათების აღსადგენადაც და მომავალში გზის გასაგნებადაც.

**მედიანიუსი**

## გიორგი კალანდაძეს კიდევ ერთი ბრალდება წარედგინა

გაერთიანებული შტაბის ყოფილ უფროსს გიორგი კალანდაძეს კიდევ ერთი ბრალდება წარედგინა.

კალანდაძის ადვოკატის გოგოტა გაბაიძის განცხადებით, კალანდაძეს ახალი ბრალდება 143-ე მუხლის მეორე ნაწილით წარედგინა, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

ადვოკატის თქმით, ეპიზოდი ეხება ზვიად აბესაძეს, რომელმაც თავდაცვის ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ პროკურატურას ჩვენება მისცა. აღნიშნულ საქმეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან კავშირი არ აქვს და ეს უფრო პოლიტიკურ დევნას ჰგავს.

აღნიშნული ეპიზოდი, გაგა მკურნალიძის ჩვენებიდან გამომდინარე გაჩნდა. საქმე საკმაოდ ვრცელია და შესაბამისად, მის შესწავლას დრო დასჭირდება, რის შემდეგაც დამატებითი კომენტარები გაკეთდება.

გიორგი კალანდაძის დაკითხვა პროკურატურაში დღეს რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი კალანდაძე აქამდე ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ედებოდა. მას თბილისში საქალაქო სასამართლომ ორჯერ, აღმკვეთი ღონისძიების სახით 20– და 10-ათასიანი გირაოს გადახდა დააკისრა.

**მედიანიუსი**

# ვინ ახდენს გენო ადამიას და თამაზ ნადარეიშვილის სახელის დისკრედიტაციას

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ანზორ წოწონავასთან

*– ბატონო ანზორ, როგორც თქვენთვის ცნობილია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აპარატის ყოფილმა თანამშრომელმა სერგო საჯაიამ გაავრცელა მორიგი წერილი, რომელშიც უკვე არა მარტო თქვენ და თქვენს კოლეგებს შეეხო, არამედ მათი ოჯახების მიმართ ცინიკური, ღირსების შემლახავი სტრიქონებიც დაურთო. ამასთან, პირადად თქვენ მოგიხსენიათ, ვითომდა მისთვის ამ ინფორმაციების მიმწოდებლად.*



– თავშივე აღვნიშნავ, რომ ჩემი ომამდელი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინფორმაციას სამართლებრივი რეაგირებისათვის საჯაიას მსგავსი ოდიოზური, ამორალური პირების საზოგადოებისათვის მიუღებელი ქმედებების შესახებ მე თავად მაწვდიდნენ. იმას, რასაც კადრულობს თავის „ნაწარმოებში“ საჯაია, არის ამაზრზენი, ადამიანობა, სინდის–ნამუსი და საერთოდ კაცობა დაკარგული არსების საქციელი. რასაც საჯაია კადრულობს, ნამდვილად არ იმსახურებს აუცილებლად პასუხის გაცემას. როგორც მეფე სოლომონი ამბობს (ისრაელის მმართველი), „არ უპასუხო სულელს მისივე სისულელით, რათა შენც მისნაირი არ გახდე“.

თუმცა არსებობს ზოგიერთი გარემოება, რომელიც მოითხოვს ჩემი მხრიდან რეაგირებას და არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავის პასკვილებში ერთ-ერთ მთავარ მოქმედ გმირად ვყავარ გამოყვანილი. უფრო იმიტომაც, რომ მკითხველს ვაჩვენო მორალურ-ზნეობრივი დეგრადაციის გზაზე შემდგარი კაცის პორტრეტი შავ-თეთრ ფერებში. აქ მინდა დავესესხო ჭ.ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ გმირებს, რადგანაც ამ პასკვილის წაკითხვის შემდეგ ჩემს გონებაში მყისიერად გაცოცხლდა სეთურის სახე, რადგან სწორედ სეთურად ცხოვრების წესებისა და პრინციპების რეანიმირება დაისახა მიზნად ამ სინდისდაკარგულმა. სეთურად ჩამოყალიბებისათვის საჯაიას თვეები კი არა, წლებიც დასჭირდა. მთავარი ხომ მისთვის „სანიმუშო პრინციპებისადმი“ ერთგულებაა, რომელსაც პირობითად „სეთურიზმს“ დავარქმევდი. საზოგადოებისთვის სეთურის ამპლუაში საჯაიას მოვლინება რეალური ასინეთას დამსახურებაა, რომელიც ჯერჯერობით ჩრდილშია და, როგორც თვითონ ფიქრობს, უხილავია. სეთურის ქურქში მყოფმა საჯაიამ მიზნად დაისახა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, განსაკუთრებით დეპუტატებს შორის დაეთესა ქიშპი, გაუტანლობა, ეჭვი და უნდობლობა, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალებებს რა გამოლევს. ამისათვის მან ათასი ჯურის ავანტურისტის პრაქტიკაც გამოიყენა. სატანის წყალობით, დღეს არჩევანი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ნუ ქნას ეშმაკმა და შეიძლება დაიბნეს კიდევაც კაცი, უფრო სწორად, არაკაცი. ამიტომაც დაბნევის თავიდან ასაცილებლად, საჯაიამ ჭორების მეშვეობით „ჩორტების“ ჩაგდებაზე მოახდინა ყურადღების კონცენტრირება, გაიარა შესაბამისი კონსულტაციები დამრიგებელ-ასინეთასთან, გამოკვეთა ფუნა-ლაფით შესათითხნი პერსონები. კაციჭამია ფაშისტი ჰიტლერისა არ იყოს, „რამდენადაც გრანდიოზულია სიცრუე, იმდენად იოლი დასაჯერებელია.“ ჭორების ერთ-ერთ პირველ წყაროდაც მე „ალმომაჩინა“ და ამოძრავდა ბილწი ზრახვებით შეპყრობილი. მერე რა, რომ მავანნი მე მომკითხავენ, საალბათოდ, მამაკაცური წესითაც. ღირს კი ამგვარი „წვრილმანებით“ ნათელი გონების შეწუხება? – რა თქმა უნდა, ღირს, თუ მისგან პასუხის მომთხოვნი ერთმანეთს დაერევიან. ამით მიზანიც მიღწეული იქნება! სამწუხაროდ, დამოუკიდებელ საქართველოში ბევრმა მოირგო ეროვნული მოძრაობისათვის თავდადებულის მანტია, ზოგიერთი კი დეპუტატიც გახდა. არც საჯაია ჩამორჩა მათ. რა სიკეთე უნდა გაეკეთებინა ასეთ ადამიანებს, უბედურების გარდა, ეს გასაგებია. საჯაია რომ იყო ჩანერგილი უმაღლეს საბჭოში, მისი კულუარული თუ ღია განცხადებებიდანაც ჩანს. სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობისა და ინტრიგნობისათვის თანამდებობიდან განთავისუფლებულს, არაერთხელ უთქვამს: „მე ავზილავ უმაღლეს საბჭოს და დავამტკიცებ, ვინ ვარ მე“ (ვინ არის სერგო მეტსახელად „გრეკი“, კარგად გამოჩნდა მის მიერ გამოქვეყნებულ პასკვილებში). ნათლად ჩანს, რომ ეს სუბიექტი აქტიურად შეუდგა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სპეცსამსახურების დავალებების შესრულებას – განხეთქილებისა და დაპირისპირების შეტანას დევნილობაში მყოფ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში, ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებაში, რომლის არსებობა სერიოზულ დისკომფორტს უქმნის აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობას“. ძნელად წარმოსადგენი არ არის, თუ როგორ მუშაობდა პროფესიონალი ავანტიურისტი და ამორალური ტიპი ს.საჯაია სოხუმის რაიონის სკოლებში. როგორც ამ რაიონის წარმომადგენლები მოწმობენ, მას პრაქტიკულად არც ერთი სკოლა, სადაც „იღვაწა“, კონფლიქტისა და სიბინძურის გარეშე არ დაუტოვებია. ვიცოდი რა ამ პიროვნების მისწრაფებებისა და მიდრეკილებების შესახებ, როგორ შემეძლო მასთან რაიმე საკითხზე, კონკრეტულად ვინმეზე, მით უმეტეს, ოჯახზე გულახდილი საუბარი. ის კი ცდილობდა ახლო ურთიერთობის დამყარებას, მაგრამ მე პროფესიონალური გამოცდილება მაინც მაქვს, რომ მისი ნამდვილი ზრახვები გამომეცნო.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყველა ის სიბინძურე, რომელიც ჩემი კოლეგების, მათი ოჯახების, აგრეთვე სხვათა მიმართ გაავრცელა საჯაიამ, მტკნარი სიცრუეა და მხოლოდ და მხოლოდ მისი ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი და მონაჩმახია, რათა შეიტანოს კოლექტივში განხეთქილება და დაპირისპირება. პირდაპირ ვაღიარებ, რომ ბევრ რამეში მას ჰყავს თანაავტორი, რომლის ვინაობა ჩემთვის კარგად არის ცნობილი.

***– ბატონო ანზორ, საჯაია უკვე თითქმის წელიწადია, პერიოდულად ლანძღავს თქვენი კოლექტივის წევრებს, რატომ არ ღებულობთ რაიმე სამართლებრივ ზომებს?***

– ჩვენს თაობას კარგად ახსოვს, საბჭოთა პერიოდში გარკვეული შიშის, ზეწოლის გამო მოქალაქეები არსებულ უსამართლობაზე ვერ წერდნენ სათანადო ორგანოებში განცხადებებს და ამიტომ იწერებოდა ანონიმური წერილები. ხდებოდა მათი შესწავლა, გარკვეულწილად ეს იძლეოდა საშუალებას, დადგენილიყო დარღვევები, მომხდარიყო მათზე რეაგირება. ეს გარემოება ბევრმა „ანონიმშიკმა“ გამოიყენა შანტაჟისა და გამოძალვისათვის. განცხადებების უმეტესი ნაწილი მოგონილი იყო. მათი გადამოწმება, ამ მიზნით კომისიების შექმნა ქმნიდა დაძაბულობას კოლექტივებსა თუ ოჯახებში. მხოლოდ დამოუკიდებლობის პერიოდში შეწყდა ანონიმურ წერილებზე რეაგირება სათანადო სამსახურების მხრიდან. წარმოიდგინეთ, რამდენი ანონიმური წერილი ექნებოდა დაწერილი ავანტიურისტ საჯაიას, რომ გამხდარიყო ამა თუ იმ სკოლის დირექტორი, რათა ნერვები მოეშალა იმათთვის, ვინც „ხელს უშლიდა“. საჯაიას დღეს დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყანაში არავინ უშლის ხელს, წეროს რაც მოუნდება. სინდისის ქენჯნა შეაწუხებს თუ ნამუსი ამძიმებს? ამიტომაც შეუძლია ჩაყოს ცხვირი სხვის სარეცელში. ვინ დაუშლის ამას. მისთვის მორალი მძიმე ტვირთია, მას ასე უცხოვრია. სხვანაირად, როგორც ავადმყოფს, არ შეუძლია.

ვერ წარმომიდგენია, როგორ შედის ის ეკლესიაში, ან როგორ ატარებს ჯვარს სიბინძურისა და ბოროტების მატარებელი. ნუთუ ღვთის რისხვის შიში არა აქვს, როცა სხვის დასანახად ხატის წინ დადგება და ლოცულობს, მერე კი მიუჯდება მაგიდას და იმავე მარჯვენით აგრძელებს ბოლმის, შურისა და ბოროტების ქაღალდზე გადმონთხევას. ჭეშმარიტად მისი, როგორც პასკვილების ავტორის, „მოღვაწეობა“ მისივე ცხოვრების ორგანული ნაწილია. თუმცა რა? საჯაიასთვის ყოველივე ამის თქმა იგივეა, რაც მგლის თავზე სახარების კითხვა.

იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ უზენაესი იდეალების, აფხაზეთის დეოკუპაციის თუ პატრიოტიზმის თემებზე დაწერილი სტრიქონებით გაჯერებული მისი „თხზულებანი“ რამენაირად ემსახურებოდნენ სამშობლოსა და ერის, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ინტერესებს? დამიჯერეთ, ამ კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია. ისიც უნდა ითქვას, რომ საჯაიამ იოლად მოირგო საქართველოში საბჭოთა პერიოდში არსებული გარემო, როცა ერთს ფიქრობდნენ, მეორეს ამბობდნენ და მესამეს აკეთებდნენ. სწორედ ასეთ ვითარებაში გამოიკვეთა ზოგიერთი „რომანტიკული“, გარკვეულწილად ავადმყოფური ოცნება – ოღონდაც საზოგადოებაში ცნობილი სახე გამხდარიყო და მზად იყო ყველაფერზე წასულიყო. საჯაიას ნიჭმა სხვა რამეშიც იმძლავრა. ომამდელ აფხაზეთში ბევრმა იცოდა მისი ხელმრუდობის თაობაზე... ყველგან – სამეზობლოში, ბაზარში, კაბინეტებში... მისი მახვილი თვალი ყველაფერს ამჩნევდა, რაც „ცუდად“ იდო. მის ცნობიერებასა და „საშურ მოღვაწეობაში“ სამშობლოს გათავისუფლების თემა მკვიდრად ჩაიკრა, კონკრეტულად კი იმ სფეროებში, სადაც.... ფული მოძრაობდა.

სწორედ, სამშობლოს გათავისუფლების ვითომდა დაუოკებელმა სურვილმა მიიყვანა ს.საჯაია აფხაზეთში მოქმედ მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდში, სადაც იმ ოდენობის ფინანსები მაინც იდო, რომლიდანაც გარკვეული წილის ამოკრება ქაჯეთის ციხის ტყვეობაში მყოფი საქართველოს გამოხსნის ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოდგებოდა. კიდევაც ამოკრიბა სერგომ ეს თანხები, გარკვეული ნაწილი – საკუთარი ჯიბისათვისაც. დღესაც ბევრს ახსოვს ს.საჯაიას მანიპულაციები ფონდის მიერ ბერძნების კერძო სახლების შესყიდვასთან დაკავშირებით. ამ დანაშაულის ჩადენის გამო ის გაძევებული იქნა ეროვნული მოძრაობიდან. უფრო მეტიც, მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგა დღის წესრიგში, მაგრამ ქ.თბილისში (1991 წელს, შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციითა და არეულობით მან შეძლო მიმალვა. მერე ამ საკითხზე, სამწუხაროდ. პასუხი მისთვის არავის მოუთხოვია. ის კი „ეროვნული იდეალებით“ შეფუთულ ინტრიგნობასა და მზაკვრობას ამართლებდა იმით, რომ ყოველივე ამას აკეთებდა ვითომ საქართველოს საკეთილდღეოდ.

ომის შემდგომ წლებში საჯაია შეუდგა მომავალში პრემირებული „ნაშრომების“ გამოცემას, სადაც სხვების გაშავების ხარჯზე საკუთარი „დამსახურების“ წარმოჩენას შეეცადა. მის ე.წ. პუბლიცისტურ „ნაშრომებში“, რომელიც წიგნებად აქვს გამოცემული, შეურაცხყოფილია არა მარტო პიროვნებები, არამედ ქართული ენა. ამიტომ ალბათ უპრიანი იქნებოდა, საქართველოში ამისთანა „მაჭარალებისთვის“ (მწერლებისათვის) სპეციალურად ქართული ენის დამცველი პოლიციის შექმნა. სრულიად გაუგებარი და პარადოქსულია, როგორც ამ „ნაწარმოების“ ავტორს მიენიჭა აფხაზეთის გამოჩენილი მოღვაწის შერვაშიძის სახელობის პრემია. ცნობილია, რომ შერვაშიძის სახელობის კომისიის წევრებმა გარკვეული ზეწოლის შემდეგ (რასაც ისინი ადასტურებენ) მისცეს თანხმობა საჯაიას ამ პრემიის მინიჭებაზე. სამართლებრივად გასარკვევია და მისაღებია სათანადო ზომები ამ პრემიის მიღების თაობაზე. დღეს კი, როგორც სერგოს სჩვევია, ამ პრემიის მომნიჭებელ წევრებზე ავრცელებს ცილისმწამებლურ პასკვილებს. უმსგავსობითა და სიცრუით გაჟღენთილი მისი ოპუსები მიმართულია არა მარტო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მათი ოჯახის წევრების დისკრედიტაციისაკენ, არამედ აწ განსვენებული საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებების, მათ შორის თამაზ ნადარეიშვილის, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული გენო ადამიასა და სხვების დადანაშაულებისაკენ. ამით მან თავისდაუნებურად არა მხოლოდ საკუთარი პორტრეტი დახატა, სხვებიც აიძულა მისი დეგრადირებული პორტრეტი უფრო სრულყოფილად დაენახათ.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, საჯაიას მიერ გავრცელებულ ცილისწამებას მასზე, კარგა ხანია შეტანილია სარჩელი სასამართლოში.

# ოჯახში ბავშვის ცემა უნდა აიკრძალოს

მერი ნამორაძე

გუშინ ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საერთაშორისო დღე აღინიშნა. რა ვითარებაა ამ კუთხით საქართველოში, ძნელი სათქმელი არ უნდა იყოს, რადგან ბავშვის ცემა და ფიზიკური დასჯა ოჯახებში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ძალადობასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი კვლევა 2007 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. ამიტომ ციფრებით საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ბავშვი ხდება აგრესიის და არასათანადო დამოკიდებულების მსხვერპლი, ძნელია.

„იუნისეფის“ ინფორმაციით, 2007 წელს ჩატარებული კვლევის გაანალიზებისას ექსპერტები განსაკუთრებით შეაშფოთა მზრუნველთა ერთ მეხუთედზე მეტის განაცხადმა იმის თაობაზე, რომ მათ რამდენჯერმე დაურტყამთ ბავშვისათვის. თითქმის ათიდან ერთი ბავშვი აცხადებდა გარკვეული ფორმით სექსუალური ძალადობის შესახებ, რომელიც სახლში ხდება. ბავშვთა ზრუნვის დაწესებულებაში მყოფი ბავშვები კი ძალადობას და ჩაგვრას უფრო მეტად განიცდიდნენ. აქ სექსუალური ძალადობის მაჩვენებელი თითქმის 18%-მდე იზრდებოდა (საუბარია ბავშვებს შორის ძალადობაზე).



2011 წლის დასაწყისში საზოგადოებამ კვლავ გააქტიურა მსჯელობა ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ, რასაც ბიძგი მისცა საქართველოს ერთ-ერთ სოფელში მომხდარმა ტრაგედიამ, როცა 5 წლის ბიჭუნა საკუთარმა დედამ ცემით მოკლა. ჟურნალისტებთან საუბარში ოჯახის მეზობლები აცხადებდნენ, რომ იცოდნენ ბავშვის სასტიკი და რეგულარული ჩაგვრის შესახებ, თუმცა, არც ერთ მათგანს პოლიციისათვის არ მიუმართავს. საქართველოში ასევე შემაშფოთებლად მაღალია ოჯახური ძალადობის მაჩვენებელი, თუმცა ეს საკითხი კვლავაც ტაბუირებულ თემად რჩება. მასზე არ საუბრობენ და არც ამგვარ ძალადობაზე რეაგირების მექანიზმებია ქმედითი.

მაინც როგორ ცდილობს სახელმწიფო, დაარეგულიროს ეს საკითხები? საქართველოში არსებობს რამდენიმე კანონი ბავშვთა მიმართ ძალადობის, ჩაგვრისა და დაუდევარი მოპყრობის შესახებ, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსი და კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული და სხვა კანონები მნიშვნელოვან საკითხებს აწესრიგებს, არ არსებობს კანონი, რომელიც ცალსახად კრძალავს ფიზიკურ დასჯას ოჯახში. 2010 წელს მთავრობამ დაამტკიცა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის მექანიზმი, რომელიც პოლიციას, სკოლებს, ბავშვებზე ზრუნვის დაწესებულებებსა და ჯანდაცვის დაწესებულებებს ავალდებულებს, სავარაუდო ან რეალური ძალადობისა და ჩაგვრის შემთხვევები გადაამისამართონ სახელმწიფო სოციალურ მუშაკებთან, რათა მათ მიიღონ შესაბამისი საპასუხო ზომები.

ამასთან, სოციალურ მუშაკებს ხელი მიუწვდებათ ბავშვთა განთავსების 24-საათიან შესაძლებლობებზე, მათ შორის მინდობით აღზრდაზე, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებზე, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებსა და დედათა და ბავშვთა ორ თავშესაფარზე, რომლებიც სახელმწიფოს ბაზაზე არსებობს. ბავშვთა დიდი ზომის დაწესებულებების დახურვამ და მინდობით აღზრდის და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების გაფართოებამ 2011-2012 წლებში უნდა აღკვეთოს იმის შესაძლებლობა, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვი მოთავსდეს დიდი ზომის ბავშვთა სახლში.

დედათა და ახალშობილთა თავშესაფრებმა მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები უნდა გადაარჩინონ ბავშვთა სახლებში მოხვედრას, თუმცა, თავშესაფარში განთავსებიდან სამ თვეში, რადგან მარტოხელა დედებს წასასვლელი არსად აქვთ, კვლავ რისკის ქვეშ რჩებიან ბავშვები. თავშესაფარი უზრუნველყოფს ასევე იურიდიულ დახმარებას და სხვა მომსახურებას, რათა რისკის ქვეშ მყოფ მარტოხელა დედებს საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციაში დაეხმაროს. როგორც ექსპერტები ამბობენ, საქართველოში სოციალური მუშაკებისათვის ხელმისაწვდომია კლინიკური ფსიქოლოგების შეზღუდული რაოდენობა, ვისაც ძალადობის ან ჩაგვრის შემთხვევებში შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს მსხვერპლს კონსულტაციებისა და კლინიკური ინტერვენციების გზით. სოციალური მომსახურების სააგენტოს 11 რეგიონიდან მხოლოდ 3 რეგიონში ჰყავს ფსიქოლოგები სრულ განაკვეთზე. დანარჩენ 8 რეგიონში სოციალური მომსახურების სააგენტო ფსიქოლოგებს ნახევარ განაკვეთზე ამუშავებს მეურვეობისა და მზრუნველობის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისათვის. ბავშვთა დაცვის ეროვნული რეფერალური მექანიზმის ფარგლებში შემოსული განსაკუთრებით მძიმე შემთხვევების მოგვარებაში ასევე მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

გაეროს ბავშვთა ფონდში ამბობენ, რომ მიმართვიანობის სავალდებულო პროცედურები ხელს უწყობს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფარული შემთხვევების გამოვლენას. ამ პროცედურების დამტკიცებამდე 2009 წელს 30 ბავშვი გადაამისამართეს სოციალურ მუშაკებთან. 2010 წელს 90 შემთხვევის გადამისამართება მოხდა, მათ შორის 83 (92%) შემთხვევაში ხდებოდა ძალადობა მშობლების მხრიდან. თუმცა, ბევრი შემთხვევა კვლავაც გამოუვლენელი რჩება. ექსპერტთა თქმით, დედათა და ბავშვთა თავშესაფრები ეფექტიანი გამოდგა ისევე, როგორც მინდობით აღზრდა და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლები. ამდენად, იგეგმება მათი გაფართოება 2011-2012 წლებში. ასევე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგების მონაწილეობა ძალადობის ფაქტებზე სახელმწიფო რეაგირების პროცესში. კერძოდ, აუცილებელია მათი ჩართვა სოციალური სამსახურების საქმიანობაში და კონკრეტული შემთხვევების შეფასებისას პროფესიული დახმარების აღმოჩენა. იმისათვის, რომ აღნიშნული პროგრესი შენარჩუნდეს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის მექანიზმის გაძლიერებაზე. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის მექანიზმის გაფართოება აუცილებელია რისკის ქვეშ მყოფი ისეთი ახალგაზრდების მიმართაც, როგორებიც არიან ქუჩის ბავშვები და პოტენციური კანონდამრღვევი ბავშვები; აგრეთვე შესაბამისი მომსახურების გაწევა ამ ბავშვებისათვის და იმ უწყებათა რაოდენობის გაზრდა, რომლებსაც ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და გადამისამართება შეუძლიათ, თუნდაც საბავშვო ბაღებს.

აუცილებელია ჯანდაცვის დაწესებულებების ჩართვა რეფერალურ სისტემაში და სამედიცინო ექსპერტიზისა და მკურნალობისათ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ილია ჭავჭავაძის დღეები სანქტ პეტერბურგში ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებო კავშირი „რუსული კლუბი“ (საქართველო) ფონდის „რუსკი მირ“ მხარდაჭერით და სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით 25-დან 30 ნოემბრის ჩათვლით ჩაატარებს სამეცნიერო-კულტურულ ფორუმს „ილია ჭავჭავაძის დღეები სანქტ-პეტერბურგში. დაბადებიდან 175-წლისთავისადმი“.

როგორც ურსული კლუბის პიარ მენეჯერი ნინო წითლანაძე აცხადებს, ფორუმის გამართვამდე დაგეგმილია სპეციალური პრესკონფერენციის ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებო კავშირის „რუსული კლუბი“ პრეზიდენტი ნიკოლოზ სვენტიცკი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ისტორიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე როინ მეტრეველი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ირმა რატიანი, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ავთანდილ ვარსიმაშვილი, ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა ხინთიბიძე.

— ეს პროექტი მიმართულია რუსულ-ქართულ კულტურულ სივრცეში კონტაქტების განახლებაზე. ფორუმის პროგრამა იქნება რეალიზებული ღია კულტურული დიალოგის ფორმით. საიუბილეო დღეებში ჩატარდება სამეცნიერო სესიები, შემოქმედებითი შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, საჯარო ლექციები სკოლის მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის. ფორუმის მონაწილე გახდება ოცდაათზე მეტი გამოჩენილი მეცნიერი და კულტურის მოღვაწე თბილისიდან, სანქტ-პეტერბურგიდან და მოსკოვიდან.

ფორუმის ჩატარების იდეას მხარი დაუჭირა საქართველოს საპატრიარქომ და აკურთხა უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. სანქტ-პეტერბურგის მოციქულთა პეტრე და პავლეს საუნივერსიტეტო ტაძარს საჩუქრად გადაეცემა წმინდა ილია მართლის ხატი, რომელიც დაწერა ახალგაზრდა ქართველმა მხატვარმა გიორგი კუხალაშვილმა. სპეციალურად პროექტისათვის „რუსულმა კლუბმა“ გამოსცა სასაჩუქრე ბარათები „აღასრულა თავისი დიადი ვალი“, რომელშიც ასახა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფაქტები, მათ შორის დაკავშირებული მისი სანქტ-პეტერბურგში ყოფნის პერიოდთან. ხოლო ჟურნალ „რუსული კლუბის“ მიერ დაფუძნებულ სერიაში „საბავშვო წიგნი“ გამოცემულია ილია ჭავჭავაძის საბავშვო ლექსების და მოთხრობების ბილინგვალური კრებული. თუკი ვინმეს აინტერესებს რატომ აღინიშნება ილია ჭავჭავაძის იუბილე სანქტ-პეტერბურგში, შევახსენებთ, რომ მან ჩააბარა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. პეტერბურგში ყოფნის დროს იგი სწავლობდა ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ესთეტიკას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საკითხებს, მჭიდროდ ურთიერთობდა მოწინავე რუს ინტელიგენტებთან. რუსეთში ყოფნის პერიოდში, ილია ჭავჭავაძემ შექმნა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები, თარგმნა ქართულ ენაზე პუშკინი, ლერმონტოვი, ტურგენევი. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იგი გამოხატავდა პატივისცემას რუსი ხალხის მიმართ და ყოველთვის საუბრობდა რუსი და ქართველი ხალხების კულტურულ თანამეგობრობაზე. 1987 წელს კი ილია ჭავჭავაძე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად იქნა შერაცხული, როგორც ილია მართალი, — განმარტავს ნინო წითლანაძე.

რაც შეეხება უშუალოდ ფორუმს, სამეცნიერო-კულტურული ფორუმის პროგრამა მრავალფეროვანია. დელეგაცია საქართველოდან სანქტ პეტერბურგში 25 ნოემბერს ჩავა. მეორე დღიდან კი სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრეს დარბაზი ფორუმის საზეიმო გახსნას უმასპინძლებს.



— სამეცნიერო სესიის მონაწილეთა გამოსვლები უკვე დაგეგმილია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ისტორიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე როინ მეტრეველი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „გამოჩენილი ქართველოლოგები სანქტ-პეტერბურგის განათლების სისტემაში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოში პოლონელების კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „პოლონია“ პრეზიდენტი მარია ფილინა ისაუბრებს თემაზე ილია ჭავჭავაძის როლი რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში“. სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კულტურული ფონდის „სახელგანთქმული უნივერსანტების“ პრეზიდენტი ნინელი ოლესიჩი შეკრებილ საზოგადოებას გააცნობს მოხსენებას „სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის მრავალეროვანი სულიერი სამყარო“. მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ინსტიტუტის დოცენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლიანა ბაშელეიშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ახალი იდენტობის აღქმა. დავიწყება და ტრავმები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მაკა ელბაქიძე ფორუმის ფარგლებში ისაუბრებს თემაზე „ილია ჭავჭავაძე და პეტერბურგის უნივერსიტეტი“. გამომსვლელთა შორის არიან სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გენრიკო ხარატიშვილი თემით „ილია ჭავჭავაძის სტუდენტური წლები საარქივო მასალების მიხედვით“; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი, ფილოსოფიის დოქტორი, მართლმადიდებლური რადიოს „ლოგოს“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალის „მეცნიერება და რელიგია“ მიმომხილველი ვალენტინ ნიკიტინი თემით „ილია ჭავჭავაძე და რუსულ-ქართული სასულიერო კავშირი“; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი თამარ შარაბიძე — „ოთხი წელი პეტერბურგში“, — აღნიშნავს „რუსული კლუბის“ პიარ მენეჯერი.

ფორუმის ფარგლებში დაგეგმილია ექსკურსია სანქტ-პეტერბურგში. 27 ნოემბერს სანქტ-პეტერბურგის 122-ე საჯარო სკოლა ქართული ეთნოკულტურული კომპონენტით ჩაატარებს ღია გაკვეთილს და მასში მონაწილეობას მიიღებენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარია ფილინა და ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ანდრო ბედუკაძე.

ფორუმის ეგიდით გამომსვლელები საკუთარ მოხსენებებს 27 ნოემბერსაც წაიკითხავენ.

—სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრეს დარბაზში სამეცნიერო სესიის მონაწილეთა გამოსვლები უკვე შედგენილია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა ხინთიბიძე წაიკითხავს მოხსენებას „ილია ჭავჭავაძე — „ვეფხვის ტყაოსნის“ უძველესი კვალი ევროპაში“; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ირმა რატიანი — „ილია ჭავჭავაძე და მისი მკითხველი“; საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ტარიელ ფუთკარაძე; სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ია ვაშაკიძე — „ილია ჭავჭავაძის ენობრივი კონცეფცია“; საქართველოს რუსისთა ასოციაციის გენერალური მდივანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსისტიკის ინსტიტუტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოცირიძე — „ილია ჭავჭავაძის ლინგვოპერსონალოგია“; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორიტ გიორგი ჟუჟუნაშვილი — „ილია ჭავჭავაძე და თანამედროვეობა“; პოეტი, მთარგმნელი, საქართველოს მწერალთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს რუსულენოვანი ლიტერატორების და კულტურის მოღვაწეთა ასოციაციის „ახალი თანამედროვენი“ თავმჯდომარე ვლადიმერ სარიშვილი — „თარგმნის პოლიფონია“ (შენიშვნები ილია ჭავჭავაძის ლექსის „საქართველოს დედების“ რუსული ვერსიისა და ჟურნალ „ლიტერატურული საქართველო“ ფრანგული კომპილატიური გამოცემისა); სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ასისტენტი დიანა კიკნაძე — „ილია ჭავჭავაძის პროგრესული იდეები ახალგაზრდების განათლების სფეროში“; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ნიკა ნაკაიძე — „ილია ჭავჭავაძის იდეები და საქართველოს ახალგაზრდობის სოციალური აქტივობა“, — ამბობს ნინო წითლანაძე.

სანქტ-პეტერბურგის მწერალთა კავშირში ჩატარდება ღია მრგვალი მაგიდა „კლასიკოსები — თანამედროვეები“ და შემოქმედებითი დიალოგი პოეზიასა და მხატვრულ თარგმანზე ქართული დელეგაციის მონაწილეთა და სანქტ-პეტერბურგის ლიტერატორებს შორის. აქვე მოეწყობა „რუსული კლუბის“ საიუბილეო გამოცემების პრეზენტაცია — წიგნი „საშობაო ნაჩუქარი“ — ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები ბავშვებისათვის და ბარათების კრებული „აღასრულა თავისი დიადი ვალი“. სამხატვრო გალერეაში „გრემი“ საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა კავშირის წევრის გიორგი კუხალაშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნება.

— 28 ნოემბერს ქართული დელეგაცია მიწვეულია ექსკურსიაზე „ერმიტაჟში“, სანქტ-პეტერბურგის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო აკადემიაში კი დაგეგმილია გამოსვლები: ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ავთანდილ ვარსიმაშვილი ისაუბრებს თემაზე „ილია ჭავჭავაძე და თეატრი“, მოსკოვის კულტურის და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გურამ აბესაძე შეკრებილ საზოგადოებას წაუკითხავს მოხსენებას „მამები და შვილები ქართულ საზოგადოებრივ აზრში: ილია ჭავჭავაძის თეატრალური დისკურსი“, თეატრალური კრიტიკოსი და ჟურნალისტი ვერა წერეთელი მიმოიხილავს თემას „ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობა ქართულ თეატრსა და კინოში“, — აცხადებს „რუსული კლუბის“ პიარ მენეჯერი.

ქართული დელეგაციის მიერ დაგეგმილია მიხეილ ჭიაურელის ფილმის „ოთარაანთ ქვრივის“ ჩვენებაც, სადაც მთავარ როლს ვერიკო ანჯაფარიძე ასრულებს. ღმრთისმშობლის შესტაკოვსკის ხატის ტაძარში აღესრულება წმინდა ილია მართლისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა-ლოცვა. დიმიტრი შესტოკოვიჩის სახელობის სანქტ-პეტერბურგის აკადემიური ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩატარდება ნანი ბრეგვაძისა და ვოკალური ესტრადული ანსამბლის „ქართული ხმების“ კონცერტი. 29 დეკემბერს მსახიობთა სახლში გაიმართება შემოქმედებითი შეხვედრა გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან, საქართველოს და რუსეთის სახალხო არტისტთან თემურ ჩხეიძესთან. მაქსიმ გორკის სახელობის კულტურის სასახლეში დიდი დრამატული თეატრის სპექტაკლი „ბიძიას სიზმარი“ გათამაშდება, მისი რეჟისორი თემურ ჩხეიძეა და წარმოდგენას ქართული დელეგაცია დაესწრება. 30 ნოემბერს დაგეგმილია ალექსანდრე ნევსკის ნეკროპოლის ლავრის დათვალიერება.

საერთაშორისო კულტურული ფორუმის ჩატარების პარალელურად, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175-წლისთავთან დაკავშირებით საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ ატარებს საბავშვო ნახატების კონკურსს სახელწოდებით „ჩემო კარგო ქვეყანავ“.

— ამ კონკურსის მიზანია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის და ნიჭიერ ბავშვთა და მოზარდთა მხარდაჭერა. ჩვენი კონკურსის პირობების თანახმად, საკონკურსო ნამუშევრები უნდა იყოს შესრულებული ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბავშვებს და მოზარდებს 5-დან 17 წლამდე, რომლებიც ცხოვრობენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. გამარჯვებულები გამოვლინდებიან სამ ასაკობრივ ჯგუფში: პირველი ჯგუფი — 5-დან 8 წლამდე, მეორე ჯგუფი — 9-დან 13 წლამდე და მესამე ჯგუფი — 14-დან 17 წლამდე. თითოეულ ავტორს შეუძლია წარმოადგინოს არაუმეტეს 3 ნამუშევრისა. საკონკურსო ნაშრომის უკანა მხარეზე უნდა იყოს მითითებული კონკურსანტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია. ნაშრომების მიღება 10 დეკემბერს შეწყდება. ჟიური გამოავლენს სამ-სამ გამარჯვებულს თითოეულ კატეგორიაში. კონკურსის დასრულებისთანავე გაიმართება საკონკურსო ნამუშევრების გამოფენა. ყველა საკონკურსო ნახატი გამოქვეყნდება ჩვენს საიტზე. გამარჯვებულები დიპლომებით, სამახსოვრო პრიზებით და საჩუქრებით დაჯილდოვდებიან.


## უფასო(?) განცხადებები

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენებების გარეშე, ამერიკული მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ქილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის ნიჩვოვანი და ფოთოლვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგი. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგი 100%-იანი. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრ.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დინამო ისევ თავშია და დილას ელოდება

**ტორპედო – მეტალურგი 1:0**

**ქუთაისი.** ცენტრალური
1:0 კუხიანიძე (38პ)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ზ.ჭელიძე, გ.გურული, რიგვავა, შერგელაშვილი, გიგაური, კუხიანიძე, დოლიძე (ვ.ბოლქვაძე 90), საბანაძე (ფანცულაია 90), ე.გრიგალაშვილი (ფირცხალავა 76), ბერიაშვილი

**მეტალურგი:** ბათიაშვილი, ინწკირველი, რაზმაძე, ჯაფარიძე, სუხიაშვილი, მაისურაძე, ხაბელაშვილი (თექთურმანიძე 56), ტატანაშვილი (ხიდეშელი 79), მაისურაძე, გეწაძე (მიქაბერიძე 82), გავაშელიშვილი

37-ე წუთამდე მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა, მერე კი ქუთაისელმა ფეხბურთელებმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს. ბერიაშვილის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი უწყინარ სიტუაციაში ინწკირველს ხელზე მოხვდა და საჯარიმოში არ გაატარა. არბიტრმა თერთმეტმეტრიანი უყოყმანოდ დანიშნა, რომელიც კუხიანიძემ პანენკას სტილში დაარტყა – 1:0.

ანგარიშში ჩამორჩენილმა სტუმრებმა პირველი ნახევრის დასრულებამდე რამდენჯერმე სცადეს შეტევის განხორციელება. თუმცა გამოსარჩევი მხოლოდ რევაზ გეწაძის დარტყმა იყო, რომელსაც სიზუსტე დააკლდა.

მეორე ტაიმი უფრო თვალსასეირო გამოდგა. 55-ე წუთზე რიონისპირელები ვალდებულნი იყვნენ, უპირატესობა გაეზარდათ. დოლიძე-ბერიაშვილი-გიგაურის კომბინაციის შემდეგ ხუთიოდე მეტრიდან დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

ორიოდ წუთში, ბერიაშვილის აქტიურობის შემდეგ, რუსთაველთა კარისკენ მოჭრილი დარტყმა ელგუჯა გრიგალაშვილმა შეასრულა, მაგრამ სტუმართა მეკარემ ითამაშა საიმედოდ და ეფექტური ნახტომით საკმაოდ ძნელად ასაღები ბურთი მოიგერია.

რუსთაველებსაც ჰქონდათ გათანაბრების შანსი, მაგრამ ხან დარტყმას აგვიანებდნენ, ხოლო თუ დაარტყამდნენ – არაზუსტად. ერთადერთი, ვინც კარისკენ ზუსტად გაისროლა, გიორგი თექთურმანიძე იყო, რომელსაც ომარ მიგინეიშვილმა აუღო.

მატჩის ბოლოსაც შეტევაზე ძირითადად სტუმრები იყვნენ, მაგრამ საქმე საბოლოო დარტყმამდე ვერ მიჰყავდათ.

**დინამო (თბ) – ზესტაფონი 3:3**

**ქობულეთი.** ჩელე არენა
1:0 ბაციკაძე (9), 1:1 ბენაშვილი (24), 1:2 გორგიაშვილი (69), 2:2 ცნობილაძე (77), 2:3 შარვაძე (85), 3:3 ცნობილაძე (90)

**დინამო:** პიცანი, დიასამიძე, ზვ.ლობჟანიძე, ბაჯელიძე, მაკარიანი, ვარშანიძე (კლოვისი 87), კილაძე, სიჭინავა (ვ.თევდორაძე 59), ბერიძე (ცნობილაძე 60) ა.მუჯირი, ბაციკაძე



**ზესტაფონი:** მამალაძე, ღონღაძე, კობახიძე, კაჭკაჭიშვილი, თედორე გრიგალაშვილი, შარიქაძე (შარვაძე 82), მენთეშაშვილი, ბაბუნაშვილი (აფციაური 46), ბენაშვილი (გორგიაშვილი 59), მილხრაუმი, წინამძღვრიშვილი

მატჩი, რომლის გამართვაც, პროფესიული ფეხბურთის სათამაშოდ საჭირო ელემენტარული ნორმების შეუსრულებლობისა და დიდი საორგანიზაციო წუნის გამო, ჩაშლის პირას იყო, მაინც გაიმართა და ფრედ 3:3 დასრულდა.

სტადიონზე მისულ ზესტაფონელ ფეხბურთელებს მათი კუთვნილი გასახდელი დაკავებული დახვდათ. სტუმრებისთვის ცნობილი იყო იმის შესახებ, რომ ქობულეთის სტადიონზე კვლავაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, თუმცა ის, რომ კალენდარულ შეხვედრაზე ჩამოსულ უმაღლესი ლიგის გუნდს გასახდელი ყოვლად მოუმზადებელი დახვდებოდა, ეს მოულოდნელი და უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ზესტაფონელებს ტალახიან და ორთქლში გახვეულ „აპარტამენტებში" მოუხდათ განთავსება, აღმოჩნდა, რომ ამ „აპარტამენტებში" შეღწევაც არ გამოდგა იოლი საქმე და მოხერხდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მატჩის დაწყებამდე რჩებოდა საათზე ოდნავ მეტი. თავგადასავლები გაგრძელდა იმით, რომ, სანკვანძის მეტად ორიგინალური განლაგებისა და კონსტრუქციის, უფრო სწორად, ასეთის არარსებობის გამო, მატჩისწინა დარიგების გასახდელში გამართვა უბრალოდ შეუძლებელი გახდა. შექმნილი ვითარებისა და წინასამატჩო მასამზადებელი ღონისძიების ჩაშლის შესახებ სტუმრებმა საგანგებოდ აცნობეს მატჩზე მივლინებულ ოფიციალურ პირებს, რომლებიც აღშფოთებულ სტუმრებს არსებული ვითარების ასახვას ოფიციალურ პატაკში დაჰპირდნენ.

მატჩი ძალიან საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა. მასპინძელთა რიგებში განსაკუთრებული გამორჩევის ღირსია ამირან მუჯირის ბრწყინვალე ასპარეზობა. ბათუმელთა უბერებელი ნახევარმცველი საკუთარი გუნდის შეტევების სულისჩამდგმელი გახლდათ და დიდწილად მისი დამსახურებაა ის, რომ ზღვისპირელებმა თამაშის გადარჩენა მოახერხეს. სწორედ მისი ზუსტი გადაცემის შემდეგ შეხვედრის მე-10 წუთზე ალექსანდრე ბაციკაძემ თავისი გუნდის დაწინაურება შეძლო. 24-ე წუთზე ალექსი ბენაშვილმა ანგარიში საყაიმო გახადა და პირველი ტაიმიც ფრედ 1:1 დასრულდა.

ზესტაფონელები გამარჯვების მოსაპოვებლად იყვნენ მომართულები და 70-ე წუთზე თორნიკე გორგიაშვილმა წინ უკვე სტუმრები გაიყვანა, მაგრამ 8 წუთის შემდეგ ბათუმელმა ირაკლი ცნობილაძემ ანგარიში ისევ გაათანაბრა. 85-ე წუთზე სტუმრები უმაღლეს ლიგაში გატანილი სადებიუტო გოლით შეცვლაზე შესულმა ბერდია შარვაძემ ისევ დააწინაურა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ მეორე წუთზე კი ირაკლი ცნობილაძემ დუბლი შეასრულა, რითაც აჭარელ ქომაგს ძალიან დიდი სიხარული მიანიჭა – 3:3.

**კოლხეთი – დინამო (თბ) 0:2**

**ფოთი.** ფაზისი
0:1 ალვარო (45), 0:2 ჩისკო (72)

**კოლხეთი:** მიქაბერიძე, კილასონია, ფარულავა, ტყეშელაშვილი (ცხვიტარია 68), გაბუნია, გოგონაია, ქებაძე (ბუხაიძე 76), პ.დათუნაიშვილი, კობერიძე, კრასოვსკი (წაბრია 43), კვანტალიანი

**დინამო:** ლორია, ხიზანეიშვილი, გ.კვარაცხელია, სეთურიძე, ხმალაძე, მერებაშვილი (რობერტინიო 86), ალვარო, დვალი (ვოსკობოინიკოვი 82), ჩისკო (ნ.კვეკვესკირი 87), გლიშიჩი, ძარია

**დილა – ზუგდიდი 3:0**

1:0 გვალია (54), 2:0 კახელიშვილი (56), 3:0 ონიანი (66)

**დილა:** სკენდერი, ბეჭვაია, გ.ონიანი, თომაშვილი, კვირკველია, გვალია, გოგუა (სალუქვაძე 75), კახელიშვილი, ლეონარდო, მოდებაძე (ახალკაცი 70), ჟუნიორი (არზიანი 58)

**ზუგდიდი:** ძაგანია, აფაქიძე,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# საქართველოს კალათბურთშიც ესპანეთი ერგო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**ც ჯგუფი (ცელიე)**
ესპანეთი, სლოვენია, ხორვატია, საქართველო, პოლონეთი, ჩეხეთი

**ა ჯგუფი (ლიუბლიანა)**
საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, უკრაინა, ისრაელი, ბელგია

**ბ ჯგუფი (იესენიცი)**
მაკედონია, ლიტვა, ჩერნოგორია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ლატვია, სერბეთი

**დ ჯგუფი (კოპერი)**
რუსეთი, საბერძნეთი, იტალია, ფინეთი, თურქეთი, შვედეთი

**საქართველოს ნაკრების კალენდარი**

**4 სექტემბერი:** საქართველო-პოლონეთი;

**5 სექტემბერი:** ხორვატია-საქართველო;

**7 სექტემბერი:** საქართველო-სლოვენია;

**8 სექტემბერი:** ჩეხეთი-საქართველო;

**9 სექტემბერი:** საქართველო-ესპანეთი;

თითოეული ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე 3-3 საუკეთესო გუნდი გავა. შესაბამისად, ჩემპიონობისთვის ბრძოლას 12 გუნდი გააგრძელებს, რომლებიც 2 ჯგუფში გადანაწილდებიან. თითო 6-გუნდიანი ჯგუფიდან მეოთხედფინალში 4 საუკეთესო გავა.

პოსტოინაში დასრულებული კენჭისყრის შემდეგ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა კომენტარი გააკეთა, რომელიც ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ბესიკ ლიპარტელიანი:

– საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, თუმცა შეიძლებოდა კიდევ უფრო უხერხული მეტოქეები შეგვხვედროდა. ანაც პირიქით, ამაზე სუსტ ჯგუფში მოვხვედრილიყავით. მაგალითად, ამ გადმოსახედიდან ა ჯგუფი უფრო გვეიოლება, სადაც საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, უკრაინა, ბელგია და ისრაელი მოხვდნენ. სამაგიეროდ, ბ და დ ჯგუფები, ვთვლი, რომ ჩვენსაზე უფრო ძლიერია.

***– ეს მთლიანობაში და ცალკეულ მეტოქეებზე რას იტყვით?***

– ცალკეულად თუ ავიღებთ, ესპანეთი ყველაზე უხერხული მეტოქეა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთან ჯგუფში ყოფნას არავინ ისურვებდა. შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთს ჯგუფში პრობლემა არ შეექმნება და ყველა მეტოქესთან დაგეგმილ გამარჯვებას მოიპოვებს. სლოვენია წინა ევროპის ჩემპიონატზეც ჩვენს ჯგუფში იყო და ეს ერთი მხრივ კარგია, მაგრამ უარყოფითი ფაქტორია, რომ იგი მასპინძელია და ამით ძალიან დიდ უპირატესობას ფლობს. სლოვენიის ნაცვლად რომ ლიტვა შეგვხვედროდა, უმჯობესი იქნებოდა.

***– მესამე კალათიდან ხორვატია შეგვხვდა...***

– ძალიან ძლიერი და დიდი ტრადიციების გუნდია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ხორვატების დამარცხება შეგვიძლია. არაა ეს იმ დონის ნაკრები, ეს რა გრანდი დაგვეჯახაო, რომ ვთქვათ. ყველაზე პრინციპული მეტოქე სწორედ ხორვატიაა, რადგან მიმაჩნია, რომ ჯგუფიდან გამსვლელი მესამე გუნდის ვინაობა ჩვენ შორის უნდა გადაწყდეს. ამით მე არ ვაკნინებ ჯგუფის დანარჩენ წევრებს – პოლონეთსა და ჩეხეთს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გუნდების დასამარცხებლად ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება. ისე არ არის, რომ ჩეხეთთან, ან პოლონეთთან იოლი გამარჯვებები დაგეგმო. ჩეხეთი ძალიან უხერხული მეტოქეა, გვერჩივნა, შვედეთი ამოსულიყო ბოლო კალათიდან, რომელთანაც ნაღდი 2 ქულის დაგეგმვა შეიძლებოდა. ამავდროულად, ბოლო კალათაში იყვნენ სერბეთი და ისრაელი, რომელთა სიძლიერეზეც ლაპარაკი ზედმეტია.

***– მოკლედ, როგორ შეაფასებთ კენჭისყრას?***

– ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, საიდან გასვლის შანსიც გაგვაჩნია. ძალიან ბევრი რამე იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეხვდებიან ევრობასკეტს მეტოქეები და რა სიტუაციაში ვიქნებით ჩვენ. პირველ რიგში, მოთამაშეთა ჯანმრთელობა უნდა ვისურვოთ. თითოეული კალათბურთელის ტრავმა უდიდესი დანაკლისი იქნება და იმედი მაქვს, მომავალ სექტემბერს ყველა მწყობრში იქნება.

***– რას იტყვით იმ პროტესტზე, რომელიც ფიბა-ევროპის ხელმძღვანელობამ გამოთქვა ფიბა-მსოფლიოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რაც ევროპის ჩემპიონატის 2-ის ნაცვლად 4 წელიწადში ერთხელ ჩატარებას ეხება.***

– ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია და ამასთან დაკავშირებით თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დეტალურ ინფორმაციას გავავრცელებთ...

***– კენჭისყრის ცერემონიალი პირველად ისტორიაში მიწისქვეშ, მღვიმეში ჩატარდა.***

– ეს მართლაც ორიგინალური იყო და ორგანიზატორებმა დამსწრე საზოგადოებას ლამაზი სანახაობა შესთავაზეს. სასიამოვნო იყო ასეთ ატმოსფეროში ესოდენ მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება. წარმოდგენით და სლოვენიის კალათბურთის ფედერაციის მასპინძლობით კმაყოფილები ვართ. თბილისში ხვალ დავბრუნდებით.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ფულემი-სანდერლენდი ................ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 12 | 8 | 4 | 0 | 25:10 | 28 |
| 2.მანჩესტერი | 12 | 9 | 0 | 3 | 29:17 | 27 |
| 3.ჩელსი | 12 | 7 | 3 | 2 | 24:13 | 24 |
| 4.ვესტ ბრომივიჩი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:13 | 23 |
| 5.ევერტონი | 12 | 5 | 5 | 2 | 22:16 | 20 |
| 6.არსენალი | 12 | 5 | 4 | 3 | 23:13 | 19 |
| 7.ვესტ ჰემი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:11 | 18 |
| 8.ტოტენჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 20:21 | 17 |
| 9.ფულემი | 12 | 4 | 4 | 4 | 25:22 | 16 |
| 10.სუონსი | 12 | 4 | 4 | 4 | 18:16 | 16 |
| 11.ლივერპული | 12 | 3 | 6 | 3 | 17:16 | 15 |
| 12.ნიუკასლი | 12 | 3 | 5 | 4 | 13:17 | 14 |
| 13.ნორვიჩი | 12 | 3 | 5 | 4 | 9:18 | 14 |
| 14.სტოკი | 11 | 2 | 6 | 3 | 9:10 | 12 |
| 15.სანდერლენდი | 11 | 2 | 6 | 3 | 10:12 | 12 |
| 16.უიგანი | 12 | 3 | 2 | 7 | 12:21 | 11 |
| 17.რედინგი | 11 | 1 | 6 | 4 | 14:19 | 9 |
| 18.ასტონ ვილა | 12 | 2 | 3 | 7 | 10:22 | 9 |
| 19.საუთჰემპტონი | 12 | 2 | 2 | 8 | 18:30 | 8 |
| 20.ქპრ | 12 | 0 | 4 | 8 | 9:23 | 4 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

მილუოლი-ლიდსი ........................ 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-ლევანტე ................. 0:2
სელტა-მალიორკა ........................ 1:1
ხეტაფე-ვალიადოლიდი ............... 2:1
გრანადა-ატლეტიკო .................... 0:1
სევილია-ბეტისი .......................... 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 12 | 11 | 1 | 0 | 39:15 | 34 |
| 2.ატლეტიკო | 12 | 10 | 1 | 1 | 25:11 | 31 |
| 3.რეალი | 12 | 8 | 2 | 2 | 32:9 | 26 |
| 4.ლევანტე | 12 | 6 | 2 | 4 | 15:16 | 20 |
| 5.მალაგა | 12 | 5 | 4 | 3 | 15:9 | 19 |
| 6.ბეტისი | 12 | 6 | 1 | 5 | 19:22 | 19 |
| 7.სევილია | 12 | 5 | 3 | 4 | 18:14 | 18 |
| 8.ვალენსია | 12 | 5 | 3 | 4 | 16:14 | 18 |
| 9.ხეტაფე | 12 | 5 | 1 | 6 | 14:19 | 16 |
| 10.რაიო | 11 | 5 | 1 | 5 | 16:25 | 16 |
| 11.ვალიადოლიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:14 | 15 |
| 12.სარაგოსა | 12 | 5 | 0 | 7 | 15:21 | 15 |
| 13.ბილბაო | 12 | 4 | 2 | 6 | 17:26 | 14 |
| 14.სოსიედადი | 11 | 4 | 1 | 6 | 12:16 | 13 |
| 15.მალიორკა | 12 | 3 | 3 | 6 | 13:20 | 12 |
| 16.სელტა | 12 | 3 | 2 | 7 | 14:18 | 11 |
| 17.გრანადა | 12 | 3 | 2 | 7 | 11:19 | 11 |
| 18.დეპორტივო | 12 | 2 | 4 | 6 | 18:27 | 10 |
| 19.ოსასუნა | 12 | 2 | 3 | 7 | 11:15 | 9 |
| 20.ესპანიოლი | 12 | 2 | 3 | 7 | 13:20 | 9 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კორდობა-ერკულესი .................... 1:2
უელვა-საბადელი ......................... 2:5
ელჩე-ალკორკონი ....................... 1:0
უესკა-გვადალახარა .................... 2:1
მირანდესი-რეალი ბ .................... 0:0
ნუმანსია-ალმერია ...................... 0:0

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-პალერმო ..................... 3:0
ინტერი-კალიარი ........................ 2:2
კატანია-კიევო ........................... 2:1
სიენა-პესკარა ............................ 1:0
უდინეზე-პარმა ........................... 2:2
ფიორენტინა-ატალანტა ............... 4:1
სამპდორია-ჯენოა ....................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 13 | 10 | 2 | 1 | 29:9 | 32 |
| 2.ინტერი | 13 | 9 | 1 | 3 | 26:15 | 28 |
| 3.ნაპოლი | 13 | 8 | 3 | 2 | 22:11 | 27 |
| 4.ფიორენტინა | 13 | 8 | 3 | 2 | 23:10 | 27 |
| 5.ლაციო | 13 | 7 | 2 | 4 | 19:17 | 23 |
| 6.კატანია | 13 | 5 | 4 | 4 | 17:17 | 19 |
| 7.ატალანტა | 13 | 6 | 2 | 5 | 14:19 | 18 |
| 8.პარმა | 13 | 4 | 5 | 4 | 16:18 | 17 |
| 9.რომა | 12 | 5 | 2 | 5 | 28:23 | 17 |
| 10.უდინეზე | 13 | 3 | 7 | 3 | 18:20 | 16 |
| 11.კალიარი | 13 | 4 | 4 | 5 | 13:19 | 16 |
| 12.მილანი | 13 | 4 | 3 | 6 | 20:18 | 15 |
| 13.ტორინო | 12 | 3 | 6 | 3 | 13:10 | 14 |
| 14.სამპდორია | 13 | 4 | 2 | 7 | 16:19 | 13 |
| 15.კიევო | 13 | 3 | 2 | 8 | 13:25 | 11 |
| 16.ბოლონია | 13 | 3 | 2 | 8 | 15:18 | 11 |
| 17.პესკარა | 13 | 3 | 2 | 8 | 9:24 | 11 |
| 18.პალერმო | 13 | 2 | 5 | 6 | 11:20 | 11 |
| 19.სიენა | 13 | 4 | 4 | 5 | 13:14 | 10 |
| 20.ჯენოა | 13 | 2 | 3 | 8 | 13:22 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-სასუოლო .......................... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვერდერი-ფორტუნა ..................... 2:1
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი ........... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 12 | 10 | 1 | 1 | 33:5 | 31 |
| 2.შალკე | 12 | 7 | 2 | 3 | 22:14 | 23 |
| 3.აინტრახტი | 12 | 7 | 2 | 3 | 25:18 | 23 |
| 4.დორტმუნდი | 12 | 6 | 4 | 2 | 26:13 | 22 |
| 5.ლევერკუზენი | 12 | 6 | 3 | 3 | 21:17 | 21 |
| 6.ჰანოვერი | 12 | 5 | 2 | 5 | 25:20 | 17 |
| 7.ვერდერი | 12 | 5 | 2 | 5 | 20:18 | 17 |
| 8.მაინცი | 12 | 5 | 2 | 5 | 15:14 | 17 |
| 9.ჰამბურგი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:14 | 17 |
| 10.ფრაიბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 16:14 | 16 |
| 11.გლადბახი | 12 | 4 | 4 | 4 | 18:23 | 16 |
| 12.შტუტგარტი | 12 | 4 | 4 | 4 | 14:20 | 16 |
| 13.ვოლფსბურგი | 12 | 4 | 2 | 6 | 12:19 | 14 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 12 | 3 | 3 | 6 | 18:26 | 12 |
| 15.ნიურნბერგი | 12 | 3 | 3 | 6 | 10:18 | 12 |
| 16.ფორტუნა | 12 | 2 | 5 | 5 | 11:18 | 11 |
| 17.ფიურტი | 12 | 1 | 4 | 7 | 10:23 | 7 |
| 18.აუგსბურგი | 12 | 1 | 3 | 8 | 8:22 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-ზანდჰაუზენი .................. 5:2
დუისბურგი-აუე ........................... 2:1
რეგენსბურგი-უნიონი ................. 3:3

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლიონი-რეიმსი ............................ 3:0
ნიცა-ტულუზა .............................. 1:0
ბორდო-მარსელი ......................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 12 | 7 | 4 | 1 | 23:11 | 25 |
| 2.ბორდო | 13 | 6 | 6 | 1 | 18:10 | 24 |
| 3.პსჟ | 13 | 6 | 5 | 2 | 19:10 | 23 |
| 4.მარსელი | 12 | 7 | 2 | 3 | 16:11 | 23 |
| 5.სენტ ეტიენი | 13 | 6 | 4 | 3 | 23:10 | 22 |
| 6.ვალანსიენი | 13 | 6 | 4 | 3 | 27:15 | 22 |
| 7.რენი | 13 | 7 | 1 | 5 | 18:16 | 22 |
| 8.ლილი | 13 | 5 | 5 | 3 | 16:14 | 20 |
| 9.ტულუზა | 13 | 5 | 4 | 4 | 20:16 | 19 |
| 10.ლორიანი | 13 | 4 | 6 | 3 | 21:25 | 18 |
| 11.ნიცა | 13 | 3 | 7 | 3 | 18:19 | 16 |
| 12.ბრესტი | 13 | 5 | 1 | 7 | 14:18 | 16 |
| 13.რეიმსი | 13 | 4 | 3 | 6 | 13:14 | 15 |
| 14.მონპელიე | 13 | 3 | 5 | 5 | 18:18 | 14 |
| 15.აიაჩო | 13 | 4 | 4 | 5 | 14:18 | 14 |
| 16.სოშო | 13 | 4 | 2 | 7 | 13:19 | 14 |
| 17.ბასტია | 13 | 4 | 2 | 7 | 19:32 | 14 |
| 18.ევიანი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:22 | 12 |
| 19.ტრუა | 13 | 1 | 5 | 7 | 14:25 | 8 |
| 20.ნანსი | 13 | 1 | 3 | 9 | 8:24 | 6 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ვიტესი-ნაიმეგენი ....................... 4:1
***ვიტესელთა მეორე გოლი გურამ კაშიამ გაიტანა***
უტრეხტი-ტვენტე ......................... 1:1
ფეინოორდი-ტილბურგი .............. 3:0
ერაკლესი-როდა .......................... 5:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ცსკა-ამკარი ................................ 3:0
მორდოვია-ყუბანი ........................ 0:3
ანჟი-როსტოვი ............................. 0:

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ინვერნესი-მოზერველი ................. 1:5

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-სიონი ............................ 0:2
იანგ ბოიზი-სტ.გალენი ................. 0:0
ბაზელი-გრასჰოპერსი .................. 4:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ინსბრუკი ................. 2:0

**ბელგია. პროლიგა**

ვარეგემი-სტანდარდი .................. 0:0
ანდერლეხტი-კორტრაიკი ........... 1:0
ლოკერენი-ბეერსხოტი ................. 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოფი-ლევადიაკოსი ....................... 0:2
ვერია-აეკი ................................... 0:4
ქსანთი-პანთრათიკოსი ................. 0:0
პანათინაიკოსი-პაოკი ................. 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკხისარი-ქაშიმფაშა .................... 0:2
ქაისერი-გაზიანთეპი ..................... 1:1
ანთალია-ბეშიქთაში ...................... 3:5
ბურსა-მერსინი ............................ 3:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბრნო-პრჟიბრჟამი ........................ 1:0
ჰრადეც კრალოვე-სლავია ........... 3:2
სიგმა-იაბლონეცი ........................ 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-ლეგია ................................ 1:3
ვისლა-შლიონსკი ......................... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ტავრია-დნიპრო .......................... 1:2
ილიჩევეცი-მეტალისტი ............... 0:2
კრივბასი-ვორსკლა ...................... 3:2
კარპატი-ვოლინი ......................... 2:0
***კარპატელთა მე-2 გოლი ლევან ყენიამ გაიტანა***

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-ჰორსენსი ................... 2:0
ბრონდბიუ-ესბიერგი ................... 2:2
კოპენჰაგენი-მიდტიულანდი ........ 2:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვიკინგი-ვალერენგა ..................... 2:1
ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი ........ 0:0
ალესუნდი-ულფი ......................... 3:1
სონგდალი-ბრანი ......................... 2:0
სტრომგოდსეტი-სტაბეკი ............ 3:1
ტრომსო-ოდ გრელანდი ............... 0:1
ფრედრიკსტადი-მიოლდე ............ 0:2
ჰონეფოსი-რუსენბორგი .............. 1:4

**აშშ. მლს**

**პლეი ოფი**

დს იუნაიტედი-დინამო ............... 1:1
სიეტლი-ლოს ანჯელესი .............. 2:1

**ბრაზილია. სერია ა**

ბაია-პონტე პრეტა ...................... 1:0
სან პაულუ-ნაუტიკუ .................... 2:1
ფლამენგო-პალმეირასი .............. 1:1
ფლუმინენსე-კრუზეირო .............. 0:2
ინტერნასიონალი-კორინთიანსი . 0:2
პორტუგეზა-გრემიო .................... 2:2
რესიფე-ბოტაფოგო ..................... 2:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

არსენალი-გოდოი ....................... 3:0
კოლონი-უნიონი ......................... 2:0
სან მარტინი-ტიგრე ................... 2:2
ოლდ ბოიზი-ოლ ბოიზი .............. 1:2
ველეჟი-ბოკა ............................... 0:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ნიუ ...................... იორკი-ინდიანა 88:76
ტორონტო-ორლანდო .............. 97:86
საკრამენტო-ბრუკლინი ........... 90:99
ფილადელფია-კლივლენდი ..... 86:79
ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი . 119:109
დეტროიტი-ბოსტონი ............. 103:83
პორტლენდი-ჩოკაგო ............. 102:94
ლეიკერსი-ჰიუსტონი ............ 119:108

# საქართველოში გენდერული პოლიტიკა უნდა გატარდეს

ნათია ხურცილავა

გენდერული თანასწორობა, შეიძლება ითქვას, საუკუნეების წინ იყო ჩვენს ქვეყანაში პოპულარული. თუმცა, გენდერული თანასწორობის პოლიტიკა დღეს საქართველოში თანამედროვე გაგებით იკიდებს ფეხს და მის სწორ აღქმასა და გაგებაში საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) გვეხმარება.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ინიციატივით, გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტების ქსელი იქმნება. ქსელის მიზანია ქვეყანაში გენდერული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, მედიის გააქტიურება და გენდერული თანასწორობის საკითხების პოპულარიზაცია.

ქსელის შექმნის ინიციატივით შაბათს, ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გამართულ ტრენინგზე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) გამოვიდა. (IFES)-ის გენდერისა და ინფორმირების პროგრამის მენეჯერმა ლადო მკერვალიშვილმა ისაუბრა მედიის როლზე გენდერული საკითხების გაშუქებასა და პოპულარიზაციაში და მოუწოდა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, ქვეყანაში გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში აქტიური ჩართულობისაკენ.




ტრენინგს ესწრებოდა გენდერული თანასწორობის ქსელის ხელმძღვანელი მანანა მებუკე, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა, მჭიდროდ ითანამშრომლოს გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა ქსელთან. მანანა მებუკის განცხადებით, გენდერული თანასწორობის ქსელი, რომელიც IFES-ის მხარდაჭერით შეიქმნა, აერთიანებს ათეულობით ორგანიზაციას და ფუნქციონირებს მთელი საქართველოს მასშტაბით. გენდერული თანასწორობის ქსელი და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა ქსელი კი იქნება 2 უმნიშვნელოვანესი მექანიზმი და ბერკეტი პოლიტიკურ პროცესებში გენდერული თანასწორობის მიღწევის, გენდერული პოლიტიკის გატარების და პოპულარიზაციის საქმეში.

ტრენინგზე დამსწრე ჟურნალისტებმა გამოთქვეს სურვილი, აქტიურად ჩაერთონ ქსელის მუშაობაში, თუმცა, ამავე დროს განაცხადეს, რომ გენდერული პრობლემატიკის შესახებ არ აქვთ საკმარისი ცოდნა და ხედვა და სჭირდებათ გარკვეული მუშაობა ამ კუთხით. ტრენინგს ასევე ესწრებოდნენ მედია სკოლის სტუდენტები, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან როგორც ჟურნალისტების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაარსებული ქსელის მუშაობაში.

ტრენინგი „ქალი და პოლიტიკა“ შაბათს, სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში გაიმართა. ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეთა ცნობიერების ამაღლებას გენდერულ საკითხებზე, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის და ურთიერთობების განმტკიცებას, ერთობლივი ინიციატივების, ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობის გაზრდას და ხელშეწყობას. ტრენინგზე განხილული იყო გენდერული თანასწორობის და ქალის პოლიტიკურად გაძლიერების მექანიზმები და საშუალებები.

ტრენინგი გაიმართა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პროექტის „ნდობის გაზრდა საარჩევნო პროცესებისადმი“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო“-ს (USAID) მხარდაჭერით.

IFES არის დამოუკიდებელი, არაკომერციული ორგანიზაცია – ლიდერი არჩევნებისა და დემოკრატიის ხელშეწყობის სფეროში. 1987 წელს მისი დაარსებიდან, IFES მუშაობს 135-ზე მეტ, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყანაში. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ WWW.ifes.org.

# ოჯახში ბავშვის ცემა უნდა აიკრძალოს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ვის სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა ძალადობის შემთხვევებში.

ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ კანონმდებლობის გადასინჯვას ოჯახში ფიზიკური სასჯელის აკრძალვის მიზნით, მაგრამ რამდენად მოახერხებს ჩვენი სოცმუშაკი თუ სამართალდამცავი ოჯახში შესვლას და ტაბუირებულ ძალადობაზე ინფორმაციის მიღებას, ძნელი სათქმელია. ამასთან, ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისათვის აუცილებელია ძალადობაზე რეაგირების მექანიზმების გაძლიერება, მათ შორის ფსიქოლოგების ჩართულობის გაზრდა, კრიზისული ინტერვენციის ცენტრების, დედათა და ახალშობილთა თავშესაფრების შექმნა და სოციალური სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება, ასევე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ძალადობის შემთხვევების გამოვლენის ხელშესაწყობად.

როგორც აღმოჩნდა, არასათანადო მოპყრობას განიცდიდნენ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებიც. მაშინ, როცა ბავშვები განრიდებულნი უნდა იქნენ მართლმსაჯულების სისტემიდან და თავისუფლების აღკვეთა უნდა გამოიყენებოდეს უკიდურესი ზომის სახით, ვარდების რევოლუციის შემდეგ მსჯავრდებულ ბავშვთა რაოდენობა 100%-ზე მეტად გაიზარდა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გატარების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 500-მა პროფესიონალმა, მოსამართლეებმა, პროკურორებმა, ადვოკატებმა გაიარეს სწავლება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან პირობით ვადამდე განთავისუფლებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა საკმაოდ დაბალი იყო. 2008 წელს მხოლოდ 4 არასრულწლოვანი იყო განთავისუფლებული. მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ახლად შექმნილი საბჭოს მიერ, მუშაობის პირველი 5 თვის განმავლობაში, (2010 წლის ნოემბერი – 2011 წლის მარტის პერიოდი) როცა 8 არასრულწლოვანი გათავისუფლდა. ასე რომ, აუცილებელი ხდება რეფორმის შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია, ყურადღების გამახვილება პრევენციაზე, განრიდებასა და სხვა ღონისძიებებზე, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნისა და პატიმრობის ალტერნატივა.

# დინამო ისევ თავშია და დილას ელოდება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ს.თოდუა, გამეზარდაშვილი, რ.ონიანი, ტყემალაძე, სიხარულია, კოშკაძე, გუგუჩია (ფარჯიკია 72), კუტალია, კუკავა (ეხვაია 75)

**ჩიხურა – მერანი 1:0**

**საჩხერე.** ივანწმინდის სტადიონი

1:0 ქარქუზაშვილი (32სკ)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ოდიკაძე, გუშარაშვილი, საჯაია, ჩიკვაიძე, დიღმელაშვილი (ზაბახიძე 90), ლომაშვილი, ნ.კვასხვაძე, კირკიტაძე (ბაკურაძე 66), დეკანოიძე, შარაშენიძე (ნ.მაისურაძე 66)

**მერანი:** შეროზია, გეგეჭკორი, ჟვანია, ქარქუზაშვილი, მელიავა, ბუკია, ნოზაძე, ფონიავა, კუჭუხიძე, ტორონჯაძე, ს.ლომია (ამბროლაძე, 66)

**ვიტ ჯორჯია – სიონი 0:0**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, ხურცილავა, გოგიაშვილი, გეთიაშვილი, ჯავაშვილი, კასრაძე, ლიბრაძე, დავლაშელიძე, გურეშიძე, კორიფაძე, გაბრიჭიძე (ლობჟანიძე 71)

**სიონი:** ბობღიაშვილი, მაჭავარიანი, სვანიძე, ორბელაძე, ჩიკვილაძე, ჯოჯუა, ქუცურუა (ჭანკოტაძე 88), ფეიქრიშვილი (ისიანი 64), თარხნიშვილი, ჭედია (ნემსაძე 78), ჯიქია

**ბომბარდირები:** ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 12 ბურთი; ალვარო, ჩისკო (ორივე დინამო თბ) – 9-9; ნიკა საბანაძე (ტორპედო) – 7; მიხეილ ჯორბენაძე (დინამო ბთ), რევაზ ჯიქია (სიონი).

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 15 | 11 | 3 | 1 | 43:13 | 36 |
| 2.დილა | 15 | 11 | 1 | 3 | 27:8 | 34 |
| 3.ტორპედო | 15 | 9 | 2 | 4 | 30:13 | 29 |
| 4.ჩიხურა | 15 | 9 | 2 | 4 | 22:14 | 29 |
| 5.ზუგდიდი | 15 | 7 | 5 | 3 | 19:12 | 26 |
| 6.ზესტაფონი | 15 | 7 | 4 | 4 | 20:12 | 25 |
| 7.მეტალურგი | 15 | 5 | 2 | 8 | 9:19 | 17 |
| 8.ვიტ ჯორჯია | 15 | 4 | 4 | 7 | 10:20 | 16 |
| 9.მერანი | 15 | 4 | 2 | 9 | 7:24 | 14 |
| 10.სიონი | 15 | 3 | 5 | 7 | 11:22 | 14 |
| 11.დინამო (ბთ) | 15 | 2 | 3 | 10 | 16:34 | 9 |
| 12.კოლხეთი | 15 | 0 | 3 | 12 | 5:28 | 3 |

## განცხადება

**ნოტარიუსი ნათელა გაგაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ.თბილისში, ქ.წამებულის ქ.№92-ში, პირველ სართულზე, გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება 1944 წლის 15 აპრილს გარდაცვლილი პრაკოფი კარალოვის დანაშთ სამკვიდრო ქონებაძე, კერძოდ, უძრავ ქონებაზე, საცხოვრებელ სახლზე, თავისი კუთვნილი მიწის ნაკვეთით, მდებარე: ქ.თბილისი, ბაბისხევის ქ.№7ა-ში.**

**მემკვიდრეებს, რომელთაც პრეტენზია გააჩნიათ ზ/აღნიშნულ უძრავ ქონებაზე და სამოქალაქო კოდექსის თანახმად ითვლებიან 15.04.1994 წ. გარდაცვლილი პრაკოფი კარალოვის მემკვიდრეებად, გთხოვთ მიმართოთ ნოტარიუს ნათელა გაგაძეს, რომლის სანოტარო ბიუროც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ქ.წამებულის ქ.№92-ში, პირველ სართულზე.**

პატივისცემით, ნოტარიუსი ნათელა გაგაძე

# რობერტ სტურუა: ვბრუნდები!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვებული სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან რობერტ სტურუა კულტურის ყოფილმა მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ გასული წლის აგვისტოში გაათავისუფლა. ბრძანების დაწერის მიზეზად კი კულტურის აწ უკვე ყოფილმა მინისტრმა რეჟისორის მიერ ქსენოფობიური განცხადებების გაკეთება დაასახელა.

საქართველოს დატოვებამდე რეჟისორმა ქართველ საზოგადოებას ახალი სპექტაკლი დაუტოვა სახელწოდებით „ნადირობის სეზონი“, რომელიც მან თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა. სპექტაკლი თეატრალური პრემიების სრული ტრიუმფატორი გახდა – მოიპოვა თითქმის ყველა ნომინაცია და წლის საუკეთესო სპექტაკლადაც დასახელდა.

რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნის შემდეგ უამრავი შეთავაზება მიიღო როგორც რუსეთის თეატრებიდან, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნის თეატრებიდან, თუმცა რეჟისორმა მისი უახლოესი მეგობრის ალექსანდრ კალიაგინის და მისი თეატრის „ეტ ცეტერას“ შეთავაზება მიიღო და უკვე წელიწადზე მეტია ამ თეატრში მთავარ რეჟისორად მუშაობს. მას შემდეგ, რაც საქართველოში არჩევნების გზით მთავრობა შეიცვალა, რობერტ სტურუა საქართველოშიც ჩამოვიდა, ბიძინა ივანიშვილის პრემიერ მინისტრობაც მიულოცა, თუმცა განაცხადა, რომ მისი პიროვნება არანაირ თანამდებობაზე არ განიხილებოდა. ერთი თვის წინ მოსკოვში რობერტ სტურუას მოღვაწეობის ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ საგანგებო პრესკონფერენციაზე რობერტ სტურუამ აღნიშნა, რომ საქართველოში დასაბრუნებლად ჯერჯერობით მზად არ იყო. რეჟისორი ამის შესახებ „ფეისბუქშიც“ ხშირად წერდა და აღნიშნავდა, რომ ასეთი შეურაცხყოფის გამო, მას საქართველოში დარჩენის და მით უმეტეს, მუშაობის არანაირი სურვილი არ ჰქონდა.

პრესკონფერენციაზე შეკრებილ რუს ჟურნალისტებს რობერტ სტურუამ განუცხადა:

– რომც შემომთავაზონ, როგორ შემიძლია, ყველაფერი ასე უცებ მივატოვო? როდესაც მე რუსთაველის თეატრიდან გამომიშვეს, ალექსანდრე კალიაგინმა დახმარების ხელი გამომიწოდა. მე მაშინ 10-სულიანი ოჯახის ერთადერთი მარჩენალი ვიყავი და რომ არა მოსკოვი, არ ვიცი, როგორ იცხოვრებდა ჩემი ოჯახი ეს ერთი წელი. აქვე მინდა დავამატო, რომ ჯერჯერობით საქართველოდან რაიმე სახის კონკრეტული შეთავაზება არ მიმიღია და როდესაც შემომთავაზებენ, მაშინ განვიხილოთ.

როგორც ჩანს, რობერტ სტურუამ ხელსაყრელი შეთავაზება მიიღო და ის საქართველოში კვლავ ბრუნდება, თანაც მშობლიურ რუსთაველის თეატრში. თუმცა მის მიერ გავრცელებული განცხადების თაობაზე ინფორმაციას არ ფლობენ არც რუსთაველის თეატრში და არც კულტურის სამინისტროში.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განაცხადა, რომ ის რეჟისორთან შეხვედრას გეგმავს და არ არის გამორიცხული რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე დაბრუნდეს ან სხვა ფორმა გამოიძებნოს.

– რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრში დაბრუნება მეც შევთავაზე. ეს ჩემი იდეაც იყო და საზოგადოების მოთხოვნაც, რომ ეს გენიოსი რეჟისორი, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი ქართულ თეატრს, რუსთაველის თეატრში დაბრუნებულიყო და აღდგენილიყო სამართლიანობა. მიმაჩნია, რომ თავის დროზე რობერტ სტურუას უსამართლოდ მოექცნენ, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

აქვე კულტურის მინისტრმა გააკეთა განმარტება, რომ კულტურის სამინისტროში აუდიტის შესვლა დროებით გადაიდო, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და სამინისტროს ფინანსურ დოკუმენტაციას აუდიტის სამსახური აუცილებლად შეისწავლის. მინისტრის თქმით, აუდიტის სამსახური შევა როგორც კულტურის სამინისტროში ასევე სხვა უწყებებშიც და ეს ჩვეულებრივი პროცედურაა.

ცნობილია, რომ რობერტ სტურუა ბიძინა ივანიშვილს პრემიერ მინისტრის თანამდებობის დაკავების შემდეგ შეხვდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ რეჟისორი საქართველოს პრემიერ მინისტრს რუსეთში მის მიერ დადგმული სპექტაკლების თბილისში ჩამოტანაში დახმარებას სთხოვდა. ამჯერად საზოგადოებაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 30 ნოემბრიდან 6 დეკემბრის ჩათვლით მოსკოვის თეატრი „ეტ სეტერა“ თბილისს ეწვევა და ალექსანდრე კალიაგინის ხელმძღვანელობით რობერტ სტურუას სპექტაკლებს წარმოადგენს.

## კროსვორდი



შვეულად: 1. რაიმე მნიშვნელოვანი თარიღის საზეიმო აღნიშვნა; 2. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა, კაოლინი; 3. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 5. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 6. დარიშხანის საბადო ამბროლაურის რაიონში; 8. ამერიკული ჯიპი; 11. ტონიოს ციხე-სიმაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 13. აეროპორტი რომში; 14. ღამის პეპელა; 15. ხურდა ფული სირია, იორდანიასა და ლიბანში; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

თარაზულად: 1. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 4. წმინდა ოქრო; 7. ერთ-ერთი რელიგია; 8. პროსპერ მერიმეს ნოველა; 10. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. ლითონის კორპუსიანი ბარომეტრი; 16. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 17. კინოთეატრი თბილისში; 18. მოდუღებული ტყემლის მჟავე სქელი წვენი; 20. ალპინისტთა წრიაპიანი ფეხსაცმელი; 21. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 22. მწვერვალი კავკასიონზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**კროსვორდი ა**

**თარაზულად:** 5. კვარტეტი; 6. ოპერეტა; 8. დავრიში; 10. რიკოშეტი; 11. არაბია; 13. კრიზისი; 16. თანატოსი; 18. ასალი; 19. ატენი; 21. პარტია; 22. აგრარული; 23. პასტორი.

**შვეულად:** 1. ავლაბარი; 2. პეშვი; 3. რეკვიემი; 4. ნატურა; 7. აშიკი; 9. პიტნა; 12. ესკალატორი; 14. თორიტი; 15. ინტრიგა; 17. ესკორტი; 20. ფაილი.

**სკანვორდი**

**პასუხები:** 1. აისი; 2. ია; 3 ქარი; 4. პალტო; 5. ლაშქარი; 6. შაური; 7. ანაშა; 8. კაპიცა; 9. ფრისტაილი; 10. რანგი; 11. აპაში; 12. მარაო; 13. სირ; 14. რეა; 15. სი; 16. ბრიგადირი; 17. ბარგი; 18. როტონდა; 19. კარმა; 20. ბოი; 21. აკრედიტაცია; 22. დეიდა; 23. ონი; 24. ტრაპი; 25. ტაიგა; 26. იაკობი; 27. იმიტაცია; 28. იატაკი; 29. კონკა; 30. ავი; 31. ალიონი; 32. აბი; 33. აცხა.

**სურათებზე:** კატე დელ კასტილიო; რიკარდო კაკა.

# ისრაელის ხელისუფლებამ ჰამასს 36-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა



**ისრაელის ხელისუფლებამ ჰამასს 36-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა**

ისრაელის ხელისუფლებამ ტერორისტულ მოძრაობა ჰამასს 36-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა.

ულტიმატუმის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით სარაკეტო თავდასხმები არ შეწყდება, ისრაელი სამხედრო ოპერაციას გააფართოვებს.

ამის შესახებ განცხადება ისრაელის ფინანსთა მინისტრმა იუვალ შტაინიცმა გააკეთა.

„ჩვენ გზაგასაყარზე ვიმყოფებით. ან მდგომარეობა დაწყნარდება, ან ოპერაციის გაძლიერება გველოდება. მათ შორის განიხილება საკითხი პრობლემის მთლიანად სამხედრო გზით გადაწყვეტის შესახებ", – აღნიშნა შტაინიცმა.

წუხელ ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით სარაკეტო თავდასხმები არ განხორციელებულა.

„სამხრეთით მდებარე ქალაქების მაცხოვრებლებს მშვიდად დაძინების საშუალება მიეცათ, არ ყოფილა განგაშის სიგნალები", – წერს „იზრუსი".

ამავდროულად, ისრაელის საჰაერო-სამხედრო ძალები ღაზას სექტორში ტერორისტთა ბაზების დაბომბვას განაგრძობენ. გასულ ღამეს, მათ ღაზას სექტორში მდებარე დაახლოებით 80 ობიექტზე მიიტანეს იერიში.

მედიკოსების მონაცემებით, დაღუპული პალესტინელების რაოდენობამ დაპირისპირების დაწყებიდან უკვე 80 ადამიანს მიაღწია. კონფლიქტის მსხვერპლი ასევე გახდა სამი ებრაელი.

შეგახსენებთ, რომ ისრაელი 14 ნოემბრიდან ღაზას სექტორიდან ისრაელის ტერიტორია იბომბება. ისრაელი კი საპასუხო დარტყმებს ახორციელებს.

ბოლო დღეებში ისრაელში დაახლოებით 500 რაკეტა ჩამოვარდა, მათ შორის პირველად დაიბომბა დედაქალაქი იერუსალიმი და თელ-ავივი.

ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის ვაჟი გილარ შარონი გაზეთ „იერუსალემ პოსტში" გამოქვეყნებულ სტატიაში ხმამაღლა ამბობს იმას, რაზეც ებრაელი პოლიტიკოსები დუმილს ამჯობინებენ. შარონი ღაზადან მომავალი პალესტინური ტერორიზმის პრობლემის „საბოლოოდ გადაწყვეტას" მოითხოვს.

შარონი წერს: „სურვილი იმისა, რომ თავიდან აირიდო ღაზაში მცხოვრები უდანაშაულო ადამიანების სიკვდილი, საბოლოო ჯამში მივა იმ ადამიანების სიკვდილამდე, რომლებიც მართლაც არაფერში არ არიან დამნაშავენი – ეს ისრაელის სამხრეთ ნაწილის მცხოვრებლებია. ღაზას მცხოვრებლები უდანაშაულოები არ არიან. მათ „ჰამასი" აირჩიეს. ღაზას მცხოვრებლები მძევლები არ არიან, მათ თავისუფლად აირჩიეს თავიანთი მთავრობა და ახლა შედეგებზე პასუხი უნდა აგონ".

„რატომ უნდა ცხოვრობდნენ ჩვენი მოქალაქეები რაკეტების ქვეშ და რატომ უნდა იყოს ჩვენი ხელები ზურგსუკან გაკრული? რატომ აქვთ ღაზას მცხოვრებლებს იმუნიტეტი? სირიელებს რომ დაეცხრილათ ჩვენი ქალაქები, ჩვენ დამასკოს არ დავბომბავდით? კუბას რომ იერიში მიეტანა მაიამიზე, შედეგებით ჰავანა არ დაზარალდებოდა? არ არსებობს არავითარი გამართლება იმისა, რომ ღაზდან ჩვენი ქალაქები იცხრილება. ჩვენ მიწასთან უნდა გავასწოროთ ღაზას კვარტლები. მთელი ღაზა მიწასთან უნდა გავასწოროთ. ამერიკელები არ გაჩერებულან ჰიროსიმაზე – იაპონელები ძალიან ნელა ნებდებოდნენ და ამერიკელებმა ნაგასაკი დაბომბეს", – წერს შარონი.

მისივე თქმით, ღაზაში არ უნდა არსებობდეს ელექტროენერგია, წყალი და მოძრავი ავტომობილები. აი, მაშინ მოითხოვენ ისინი მართლაც ცეცხლის შეწყვეტას.

„ეს რომ მოხდეს ჩვენი ჯარისკაცებისა და სამოქალაქოების სიცოცხლე შენარჩუნებული იქნება. თუ მთავრობა ამისათვის მზად არ არის, ამისი ერთადერთი ალტერნატივა ღაზის სრული ოკუპაციაა – არა რამდენიმე კვარტლის ოკუპაცია, როგორც ეს ერთ დრო უკვე იყო – არამედ მთელი ღაზას – ისე, რომ სარაკეტო იერიშები შეწყდეს", – წერს გილარ შარონი. თავის მხრივ, გაერო-ს გენერალური მდივანი, ბან კი მუნი ისრაელსა და „ჰამასს" მოუწოდებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი. უცხოური მედიის ინფორმაციით, გაერო-ს გენერალური მდივანი აპირებს, კაიროში გაემგზავროს, სადაც უნდა გაიმართოს მოლაპარაკებები ცეცხლის შესაძლო შეწყვეტაზე. ისრაელსა და პალესტინურ დაჯგუფება „ჰამასს" შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებში მთავარი მედიატორის როლი ეგვიპტემ იკისრა. კვირას, კაიროში ეგვიპტის უმაღლესი ოფიციალური პირები მხარეთა წარმომადგენლებს შეხვდნენ. ებრაული მედიის ინფორმაციით, ისრაელის დელეგაცია ეგვიპტეში ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე მოსალაპარაკებლად ჩავიდა, თუმცა თვითონ მთავრობის წარმომადგენლებმა ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება არ ისურვეს. სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვის მიზნით, ეგვიპტის პრეზიდენტი მუჰამედ მურსი „ჰამასის" ლიდერ ხალიდ მეშალს და „ისლამური ჯიჰადის" გენერალურ მდივანს, რამადან შალაჰს შეხვდა, თუმცა უცნობია მიღებულ იქნა თუ არა კონკრეტული გადაწყვეტილებები ამ შემთხვევაზე.

მიუხედავად ამისა, სოციალურ ქსელებში გავრცელდა არაოფიციალური განცხადებები იმის თაობაზე, თუ რა პირობებში დათანხმდებიან მხარეები საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას. „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე ხალიდ მეშალის თანაშემწემ, იზატ რიშაქმა განაცხადა, რომ პალესტინა ზავს დათანხმდება, თუკი „ისრაელი შეაჩერებს საკუთარ აგრესიას, შეწყვეტს შერჩევითი ლიკვიდაციების პოლიტიკას, და მოხსნის ბლოკადას ღაზას სანაპიროს".

თავის მხრივ, ისრაელის ვიცე პრემიერმა, მოშე იაალონმა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ ისრაელი მზადაა შეწყვიტოს ცეცხლი, თუ „სამხრეთში სიწყნარე დაისადგურებს, ღაზას სექტორიდან ისრაელის მოქალაქეებს რაკეტებსა და ჭურვებს არ დაუშენენ და ტერორისტული აქტების ორგანიზების პოლიტიკას შეწყვეტენ".

ბოლო ინფორმაციით კი, ღაზას სექტორში არსებული კონფლიქტის ფონზე, პალესტინის ადმინისტრაციის ორმა წამყვანმა პარტიამ „ჰამასმა" და „ფატჰმა" გაერთიანება გადაწყვიტეს. აღნიშნულის შესახებ „ფრანს პრესი" იუწყება.

„ჩვენ დაყოფას წერტილს დავუსვამთ", – განაცხადა „ფატჰის" მაღალჩინოსანმა ჯიბრალ რაჰუბმა რამალაში გამართულ მიტინგზე. „ფატჰი"" მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირს აკონტროლებს, „ჰამასს" კი ღაზას სექტორი ეკუთვნის.

# სტამბულმა ნატოს თურქეთში პეტრიოტის" რაკეტების განთავსება შესაძლოა დღესვე სთხოვოს



სირიაში სიტუაციის უკიდურესად გამწვავების გამო, თურქეთმა ამ ქვეყნის საზღვართან „პეტრიოტის" ტიპის რაკეტების განთავსების მოთხოვნით ნატოს შესაძლოა დღესვე მიმართოს. ამის შესახებ განცხადებები გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ტომას დე მეზერმა გააკეთა.

ოფიციალური ანკარას წარმომადგენლები მანამდე აცხადებდნენ, რომ ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითხოვდნენ, თუ სირიის შეტევები არ შეწყდებოდა. მაშინ კულუარულად ითქვა ისიც, რომ ანკარა და ნატო უკვე მუშაობენ გეგმაზე, რომელიც სირიის საზღვართან რაკეტსაწინაღო სისტემების განთავსებას ითვალისწინებს. მუშაობა გეგმაზე კი, მას შემდეგ დაიწყო, რაც რამდენიმე სირიული ჭურვი თურქეთის ტერიტორიაზე ჩამოვარდა.

გერმანიამ და ჰოლანდიამ უკვე გამოთქვეს მზადყოფნა, ნატოში მათი მოკავშირე თურქეთი „პეტრიოტის" რაკეტებით აღჭურვონ. ხოლო ამ ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა მათი განთავსების საკითხი გასულ კვირას განიხილეს.

ამ ფონზე, „ბი-ბი-სის" ცნობით, საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი პარიზში სირიის რევოლუციური და ოპოზიციური ძალების ეროვნული კოალიციის ლიდერს მოაზ ხატიბს შეხვდა.

შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთი თანახმაა, სირიის კანონიერ წარმომადგენლად სირიის ოპოზიციის ელჩი მიიღოს.

საფრანგეთი, ამ დროისათვის, დასავლეთის ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც სირიის ოპოზიცია ოფიციალურად აღიარა.

როგორც ხატიბმა განაცხადა, ელჩად, სავარაუდოდ, მონზირ მახუსს დანიშნავენ. შეგახსენებთ, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა 2012 წლის მარტში შეწყდა, როდესაც მაშინდელი სირიელი ელჩი ლამია შაკური პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს.

# პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს



პაკისტანის ყოფილმა პრეზიდენტმა პერვეზ მუშარაფმა განაცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნებას და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მუშარაფი დუბაისა და ლონდონში ცხოვრობს. პაკისტანში მის წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული; პრეზიდენტი ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბენაზირ ბხუტოს მკვლელობაშიც არის ეჭვმიტანილი. შეგახსენებთ, რომ ბხუტოს მეუღლე ასიფ ალი ზარდარი ამჟამად პაკისტანის პრეზიდენტია.

„ჩემს წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის ყველა საქმე პოლიტიკურად არის მოტივირებული. კონსტიტუციიდან გამომდინარე ჩემ მისამართით ბრალდებების არავითარი საფუძველი არ არსებობს", – განაცხადა მუშარაფმა ტელეკომპანია „სქაი ნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში. გენერალი პერვეზ მუშარაფი პაკისტანის პრეზიდენტი იყო 2001-2008 წწ.

დაიბადა 1943 წლის 11 აგვისტოს ნიუ-დელიში, ინდოეთში. 1947 წელს მან მშობლებთან ერთად დატოვა ინდოეთი და პაკისტანში გადავიდა საცხოვრებლად. იქ მუშარაფმა სამხედრო განათლება მიიღო და არმიაში დაიწყო სამსახური. მან ინდოეთის წინააღმდეგ ორივე ომში მიიღო მონაწილეობა. ომის შემდეგ იგი პაკისტანის არმიის პირველი გენერალი გახდა. 1999 წლის 12 ოქტომბერს მუშარაფის მეთაურობით (იგი ამ დროს გენშტაბის უფროსი იყო) არმიამ პუტჩი მოაწყო და პრემიერ-მინისტრი ნავაზ შარიფი შინაპატიმრობაში აიყვანა. პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ 1999 წლის 22 დეკემბერს მუშარაფის 30.000-მდე მებრძოლმა ქვეყნის ყველა ელექტროსადგური დაიკავა, რითაც კონტროლი დაამყარა პაკისტანის ეკონომიკაზეც. 2001 წლის 20 ივნისს მუშარაფი ოფიციალურად გახდა პაკისტანის პრეზიდენტი.

დასავლეთის ქვეყნებში მუშარაფი მოიაზრებოდა, როგორც გაწონასწორებული პოლიტიკოსი. ის დასავლეთთან თანამშრომლობდა კიდეც. მისი პრეზიდენტობის დროს პაკისტანში ეკონომიკური რეფორმები გატარდა და ქვეყანა მოდერნიზაციის გზაზე დადგა. რელიგიურ საკითხში პერვეზ მუშარაფი შემწყნარებელი და გაწონასწორებულია. პუტჩის შემდეგ პაკისტანის არმია და უშიშროების სამსახური გაიწმინდა ისლამისტური ელემენტებისაგან.

2001 წლის 11 სექტემბერის ტერაქტების შემდეგ მუშარაფი აშშის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მოკავშირე იყო ტერორიზმის წინააღმდეგ ომში. 2003 წლის 14 დეკემბერს იგი აფეთქებას გადაურჩა რავალპინდიში, როცა ტერორისტებმა ააფეთქეს ის ხიდი, რომელზეც პრეზიდენტის ესკორტმა გაიარა. ეს მუშარაფზე მოწყობილი მესამე ტერაქტი იყო. პრეზიდენტობის უკანასკნელ წლებში მუშარაფი ინდოეთთან შერიგების გზას ადგა. ეს მოლაპარაკებები ცნობილია „კრიკეტ-დიპლომატიის" სახელწოდებით. 2008 წლის 18 აგვისტოს პრეზიდენტი მუშარაფი გადადგა სამთავრობო კოალიციის მხრიდან იმპიჩმენტის საშიშროების გამო.

# ცფვუკჯდბფჲჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



ციცინო, სოფიო ჯერვალიძეები, პეტრე ხვედელიძე, ვლადიმერ ჩარგაზია, ივანე ჯაფარიძე, ჯუმბერ, ლევან, მურთაზ ჯიშკარიანები თანაუგრძნობენ ქალბატონ ჯულიეტა შამუგიას მეუღლის

**ემილ დიხამინჯიას**

გარდაცვალების გამო.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მუსიკალური სტუდიის კულტურის დამსახურებული მუშაკის, სახალხო განათლების წარჩინებული, ღირსების მედლისა და ორდენის კავალერი პედაგოგის

**ეთერ გოგატიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ცფვუკჯდბფჲჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბპბს უფჲლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფფლტ8

# მსოფლიო ბანკი კლიმატურ ცვლილებებზე საგანგაშო ანგარიშს ავრცელებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რომლის შედეგადაც ძლიერდება ატმოსფეროს სათბურის ეფექტი, რაც დედამიწის ქერქისა და ქვემო ატმოსფეროს გახურებას იწვევს.

21-ე საუკუნეში მოსალოდნელია დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის შემდგომი ზრდა 1,1 – 6,4 გრადის ცელსიუსით. სათბური აირების კონცენტრაციის ზრდის შეჩერების შემთხვევაშიც კი ეს დათბობა კიდევ ათას წელს გაგრძელდება. მხოლოდ ამის შემდეგ არის მოსალოდნელი დარღვეული წონასწორობის ხელახალი დამყარება და საშუალო ტემპერატურის დასტაბილურება. ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა გამოიწვევს ზღვის დონის აწევას. გაიზრდება კატასტროფული კლიმატური მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე, შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება. შეიცვლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, შემცირდება მყინვარები, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობები, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი.

ჯერჯერობით უცნობია დედამიწის რომელი რეგიონი უფრო მეტად დაზარალდება ამ ცვლილებების შედეგად. სახელმწიფოთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა კიოტოს ოქმს, რომელიც ატმოსფეროში სათბურის აირების გაფრქვევათა შემცირებას ისახავს მიზნად. თუმცა არ წყდება დებატები იმის შესახებ, თუ რა უფრო რაციონალურია: გლობალური დათბობის შეჩერების ან შემოტრიალების მცდელობა თუ ადაპტაცია არსებულ და მოსალოდნელ ცვლილებებისადმი. საერთაშორისო ორგანიზაცია „გლობალ ჰუმანიტარიენ ფორუმმა", რომლის თავმჯდომარეც გაეროს გენერალური დირექტორია, გამოაქვეყნა დასკვნა, რომელშიც გლობალური დათბობის მსხვერპლთა ზუსტი რაოდენობაა დასახელებული. ამის შესახებ „ნიუ საიენტისტი" წერს. მკვლევართა მონაცემებით, ამჟამად გლობალური დათბობის გამო მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 300 ათასი ადამიანი იღუპება.

საქმე ისაა, რომ კლიმატის ცვლა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების რაოდენობის ზრდას იწვევს, ისეთების, როგორიცაა გვალვა და წყალდიდობა. ამას გარდა ცვალებადი კლიმატი გავლენას ახდენს განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაზეც, რასაც შიმშილობამდე მივყავართ. „გლობალ ჰუმანიტარიენ ფორუმის" მონაცემებით, სიკვდილიანობის დიდი წილი (90%-ი) განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2030 წლისათვის დათბობის მსხვერპლთა რაოდენობა ყოველწლიურად 500 ათასამდე გაიზრდება.

*მოამზადა გერა მაჭუტაშვილმა*

## TV პროგრამა

**სამშაბათი 20 ნოემბერი**

**06.30** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** „ჩვენი დილა„ **09.00, 10.00, 11.30, 12.00, 13.30, 14.00, 15.30, 16.00, 19.00, 19.30, 20.00, 02.40** „მოამბე„ **10.30** „დილის საუბარი„ **11.00** „სამოთხის ვაშლები„ **12.45** „პირადი ექიმი„ – მარი მალაზონია **13.30** „დღეს ორის ნახევარზე„ **15.00** „სოციალური აზრი„ **15.30** მულტსერიალი: „პაპირუსი„ **17.00** დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ **18.00** „პეპე და მეგობრები„ **19.05** სერ.„**ღირსება და პატივი**„ (გ) **21.00** სერ. „საიდუმლო აგენტები„ (გ) **22.00** „აქცენტები„ **23.40** ფეხბურთი. **ჩემპიონთა** ლიგა. **ჯგუფური** ტურნირი. **00.40** მხ/ფ. „სასიკვდილო იარაღი-3„ (**მ. გიბსონი**) (12) **03.00** მხ/ფ. „სიცოცხლის მტკიცებულება„ (**რ.ქროუ**) (12) **05.10** მხ/ფ. „საქორწილო ალიაქოთი„ (გ)

**08.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00** „ბრიფინგის დროით„ **11.00** დ/ფ „ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე„ **12.00** „ბრიფინგის დრო„ **14.00** დ/ფ „შავწვერა„ **15.00, 17.00, 20.00, 23.00** „ბრიფინგის დრო„ **16.00** დ/ფ „რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა„ **19.00** დ/ფ „შავწვერა„ **22.00** „თავისუფალი ტრიბუნა„ **00.00** „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ/ფ „სასიკვდილო იარაღი-2„ (**მ. გიბსონი**) (12)

**08.00 ან.ფილმი:** „პიტერ პენი და მეკობრეები„ **09.00 ქ.სერ.** „ცხელი ძაღლი-2„ (გ/ჩ) **10.00** სერ. „იღბლიანი მოახლე„ **11.00** სერ. „უკვდავი ამბავი„ **12.00** სერ. „მემკვიდრეები„ **13.00** სერ. „გაქცევა-2„ **14.00** სერ. „თვალი არ მომაცილო„ **15.00** მხ/ფ „იქირავეთ ბავშვი„ **17.00** სერ. „მოჯადოებული„ **18.00** სერ. „მეწამული ცა„ **19.00** სერ. „სახიფათო ვნება„ **20.00 ქ.სერ.** „ჟავა და ლუდი-2„ **21.00** სერ. „მემკვიდრეები„ **22.00 ქ.სერ.** „შუა ქალაქში„ (გ/ჩ) **23.00 ქ.სერ.** „ცხელი ძაღლი-3„ **00.00** ახალი ქართული ხმა (**17.11.12 გ/ჩ.**) **01.50** მხ/ფ „ჩემი ძმაკაცის შეყვარებული„ (**ა. ბოლდუინი**) (12) **03.35** მხ/ფ „ძმები მეტოქეები„ (**ა.უორნერი**) **05.15** მხ/ფ „ცეცხლოვანი ველი„ (**ჯ. კორბეტი**) (15) (ტიტ) **07.00** მუსიკა

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ.„**ქალის მხვერპლი**". **11.00** სერ. „**ეჭვი და სიყვარული**". **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები. **13.00** შუა დღე. **15.30** ვანოს შოუ. **17.00** სერ.„**ვნების უფსკრული**„ **18.45** სერ.„**მგზნებარე გული**„ **19.50, 20.05** სერ. „**ღირსება და ამბიცია**„ **21.50** ეროვნული ლატარეა. **22.00** სერ. „**ჩემი ცოლის დაქალები**„ **23.40** ჩემპიონთა ლიგა. **02.00** ჩემპიონთა ლიგი მიმოხილვა. **02.30** მხ.ფ. (ტიტ.) **04.30** კურიერის დაიჯესტი.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.15** სპექტაკლი „პეპო„ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** დილის პროგრამა „განთიადი„ **10.05, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ლექსით ქებათა ქება **10.35** მოკ/ფ „ჯლავერდობა„ **11.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.15** მხ/ფ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ„ **13.30** კონცერტი-საგუნდო მუსიკის ფესტივალი **15.05, 18.53, 22.55** ერთი ნივთის ისტორია **15.10** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **15.35** შემეცნებითდოკ/ფ „ველური ბუნება„ **16.00** დოკ/ფ „დავით გარეჯი„ **18.10** სალბუნი **18.25** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნების **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ „კაპელანი„ **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.15** კარაბადინი **01.40** ირაო

მაესტრო **07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 00.00, 02.35, 06.00** ახალი ამბების კოლაჟი. **07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.45, 15.30, 16.30, 18.40, 05.30, 06.35** უცხოეთის ამბები. **08.30, 09.15** შალვა რამიშვილის „დილა„ **11.30, 22.00, 02.15** ყოველდღიური ამბები. **13.30** აკრედიტაციის გარეშე. **14.05** მაესტროს პრესკლუბი. **17.10, 04.50** თოქ-შოუ „პირდაპირი საუბარი„ **19.05** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ **19.30, 00.55** თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ **22.20, 03.10** თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 noemberi

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6662

ევრო —2,1237

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

აღმოსავლეთ საქართველო: დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 20–21, ღამით — 15–17.
დასავლეთ საქართველო: დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 21–23, ღამით — 16–17
სამხრეთ საქართველო: დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 16–17, ღამით — 7–8







## 19 ნოემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

## „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“

### ოთხტომეულის მე-3 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება

1. რჩეული ქართული ზღაპრების სამტომეული
2. ჰიტლერი
3. ისტორიის უდიდესი ბრძოლები

---

·ღცჯფვ უფბსღფკბცობყცს=

**წარმატებული დღეა**




**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — გამოჯანსაღდებით, ახალ სამსახურსაც დაიწყებთ. **ქალწული** — მეგობრებისგან ახალ ამბებს გაიგებთ, გახარებული ხართ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მოასწრებთ. **ღრიანკალი** — გამოგისწორდებათ ფინანსური მდგომარეობა. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ახალი ენერგიით შეუდგებით საქმეს, შედეგიც შესაფერისია. **მერწყული** — ახალ ცხოვრებას იწყებთ და გიხარიათ. **თევზები** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

უბცე3ღტ,ს ,ტღყბტ3 ღქტს=

---

h3xцღx3ღბ ფ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო ევროპაში; 2. ოპერა „ფალსტაფის“ მუსიკის ავტორი; 3. უფროსი მღვდელი ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში; 4. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. უბანი თბილისში; 12. სხვადასხვა ნაწილებისგან შეკოწიწებული რამე; 14. ფულის გამოძალვა; 15. ქონება, რომელსაც ატანენ საპატარძლოს მშობლები გათხოვებისას; 17. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 20. ბურთიანი ჰოკეის ინგლისური სახელწოდება.

**თარაზულად**: 5. ქართული ლუდი; 6. გამოფენა, კინოფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ქიმიური ელემენტი, აირი; 11. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. თხრობითი ხასიათის ლექსი; 19. ფულის ერთეული ირანში; 21. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 22. საიდუმლო, გულისნადები; 23. იატაკის ხის საფარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




---

## მსოფლიო ბანკი კლიმატურ ცვლილებებზე საგანგაშო ანგარიშს ავრცელებს

მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, კლიმატურ ცვლილებებს საუკუნის დასასრულისათვის კატასტროფული შედეგები მოჰყვება. საკვების უკმარისობა, ზღვის დონის ზრდა და დატბორვები, ხშირი ციკლონები და გვალვა, რომელიც მსოფლიოს ულარიბეს ქვეყნებს კიდევ უფრო გააჩანაგებს — ასეთი მოვლენები, მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, საუკუნის ბოლოსათვის სრულიად ნორმალური გახდება. სიმბოლური სახელწოდების მქონე ანგარიშში,



„დაუწიე სიცხეს“, ნათქვამია, რომ თუ ქვეყნები თავიანთ ახლანდელ პოლიტიკას არ შეცვლიან, საუკუნის დასასრულს მსოფლიოში ტემპერატურა 4 პროცენტით მოიმატებს. ამის აშკარა მაჩვენებლები უკვე არსებობს: რეკორდული ტემპით მიმდინარეობს ყინულის დნობა არქტიკასა და ანტარქტიკაში, ა.შ.შ.-სა და რუსეთს კი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში არნახულის სიხშირისა და სიძლიერის გვალვები დაატყდა თავს.

ანგარიშში აღნიშნულია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, შეასრულებენ თუ არა ქვეყნები საკუთარ მოვალეობებს გარემოს დაცვის კუთხით, მსოფლიოში 3 გრადუსით დათბობა მაინც გარდაუვალია. „ეს თითქოსდა უმნიშვნელო სამი პროცენტი — განაცხადა ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჯიმ იონგ კიმმა — ნიშნავს იმას, რომ მაგალითად, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში ივლისში ისეთივე ტემპერატურა იქნება, როგორიც ახლაა ლიბიის უდაბნოში“.

გლობალური დათბობა, დედამიწის ატმოსფეროს მიწისპირა ფენის და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის სწრაფი ზრდის პროცესია. კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ჯგუფის დასკვნით „დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა მე-20 საუკუნის შუა წლებიდან სავარაუდოდ განპირობებულია ანთროპოგენური (ანუ ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი) სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდით“,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

---

## საქართველოს კალათბურთშიც ესპანეთი ერგო



სლოვენიის ქალაქ პოსტოინას მღვიმეში ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის კენჭისყრა ჩატარდა. კონტინენტის პირველობის 24 გუნდი ჯგუფებში გაანაწილეს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, უპირველესად საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები გვაინტერესებს. მაშ ასე:

გაგრძელება მე-9 გვერდზე

---

## რობერტ სტურუა: ვბრუნდები!

ეკა ირემაშვილი

რუსეთში სამუშაოდ გადახვეწილმა ქართველმა რეჟისორმა რობერტ სტურუამ სოციალურ ქსელებში „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„გადავწყვიტე! მოვდივარ! თეატრი არც უფერული მსახიობის ზალიკო (ჩიქობავას) კუთვნილებაა, არც ოლივერის და არც პატარა ტკიპების, მმართველმა როგორც მურმანივით შეასია თეატრს. მოვდივარ, ეს თეატრი ილიასი, აკაკის, იაკობის დაარსებულია და კოტეს ვნებები, ახმეტელის სისხლი, დოდოს თეატრალობა, მიშას ერთგულება მაიძულებს ამ უზურპატორებს გავუსწორდე. ვინ არიან ეს პუკები, ან გაზარმაცებული მსახიობები — თამაში რომ აღარ უნდათ, უბრალოდ ეშინიათ. ან იმ რეჟისორების სიამაყე, ლონდონის 40 წლის წინ დადგმულ სპექტაკლს ქართულ თეატრში უნიჭოდ რომ იმეორებენ. ამიტომ მოვდივარ! ამ თეატრში მეც ვმუშაობდი და ჩემი ვალია, არ მივატოვო ჩემი სახლი, სადაც 50 წელი გავატარე. ხოლო იმ ვითომ ინტელექტუალურ რეჟისორებზე მეტი ნამდვილად წამიკითხავს. ერთი წიგნით მეტი მაინც. იმ ნიჭიერ მსახიობეს, ვისი ხელფასიც ბევრად დაბალია, ვიდრე უნიჭო არტისტების, ნამდვილად ვუშველი. ბოლოს და ბოლოს ეს რუსთაველის თეატრია! ქართველების ერთადერთი თეატრი. სამწუხაროდ... მოვდივარ!“

მიუხედავად იმისა, რომ რობერტ სტურუა რუსთაველის თეატ-



რის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, თეატრში ბევრი მსახიობი მას დღემდე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად თვლის. თეატრის შენობაში კვლავ არის გაკრული ტრანსფარანტები — შეცდომაა, რობერტ სტურუა აღარ არის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი! სწორია — რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.

რუსთაველის თეატრში დაკა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე